


# სულიერების გზა



2

საქართველოს საბავშვო გამომცემლობა  
თბილისი - 1988



ჯვარი ვაზისა – შემკული მოციქულთა სწორის წმიდა ნინოს თმით, IV ს.

ძლიერებაო ჯვარო ვაზისაო,  
დაგვიცვე და დაგვიფარე ჩვენ



ქრისტი

დაიბეჭდა უშიდესისა და უნეტარების, სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქ ილია II ლიცენზიის-კურთხევით





ᠰᠤᠭᠤᠨ ᠤᠯᠤᠰ

ᠨᠠᠭᠤᠨ ᠤᠯᠤᠰ

ᠭᠤᠨ ᠤᠯᠤᠰ

ᠭᠤᠨ ᠤᠯᠤᠰ

როგორც დაგვირგობა არს შეწყვეტითა მადლისდით,  
საფარველსა ღვრთისა ზეცათაღსა განისუენოს.

ჰრქუას უფალსა: კელის აგვრობელი ჩემი ხარი შენ  
და შესავდრებელი ჩემი, ღვერთი ჩემი, და მე ვისავ მას.

რამეთუ მან გივსნეს შენ საფრთხისა მისგან მონადირე-  
თაღსა და სიტქუსა მისგან განსაკროთოველისა.

ბეჭთ-საშუპალითა მისითა გვარვიდეს შენ, და საბრილ-  
სა ფრთეთა მისთასა მსვიდუ; საჭურველად გარე-მოგადგეს  
შენ ჭეშმარიტებად მისი.

არა გეშინოდის შიშისაგან ღმრისა და ისრისაგან, როგო-  
ლი ფრინავს დღისი;

ღუაწლისაგან, როგორც კალს ბნელსა შინა, შემთსუპვი-  
საგან და ეშმაკისა შუპა დღისა.

დაეცნენ მარცხენით შენსა ათასეულნი და გვერუქულნი-  
მარჯვენით შენსა, ხოლო შენ არა მიგამახლნენ.

ხოლო შენ თუაღლითა შენითა ჰხედვიდუ და მისაგებელი  
ცოდვილთად იხილო;

რამეთუ შენ, უფალი, ხარ ხასო ჩემდა და მაღალი გიყო-  
ვიეს შესავდრებელად შენდა.

არა შიშვიდეს შენდა ძვრი, და გუშეად არა მიეახლოს  
საყოფელთა შენთა.

რამეთუ ანგელოფთა მისთადა შრქანებოეს შენთს და-  
ცვად შენდა ყოველთა შინა გზათა შენთა;

კელთა მათთა ზედა აღვიკურან შენ, ნუსადა წარსცე ქვა-  
სა შერპი შენი;

ასვიტსა და ვასილისკოსსა ზედა ხვდოდი და დასთრგუ-  
ნო შენ ღოგი და ვეშაკი.


რამეთუ მე მესვიდა, და ვივსნა იგი და დავიფარო იგი,  
რამეთუ იცნა სახელი ჩემი.

გამ-ქოს ჩემდაგო, და მე ვისმინო მისი და მის თანა  
ვიყო ჭირსა შინა; ვივსნა იგი და ვადიდო იგი.

დღეგრძელეპითა განვადლო იგი და უჩუენო მას მაცხოვრ-  
ებელად ჩემი.



ატენის სომხი. VII ს.



## ს ა ა ღ ღ ო მ ო ე კ ი ს ტ ო ლ ე

უწიღებისა და უნებარების, სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ისა

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის  
ღვთისმოყვარე და ღვთივპურთხეულ საფუძვლს

**„მე ვარ აღდგომა და ცხოვრება. რომელსა ჰრწმენეს  
ნემი, მო-ლათუ-კუდეს, ცხონდესვე“ (იოანე II, 25).**

სიკვდილ-სიცოცხლის გამოუცნობი იდუმალება მუდამ თან  
გვლევს.

ღმერთმა ინება და ღირს გვყო, რომ დღეს კვლავ გვეგრძნო  
ღვთაებრივი საიდუმლო სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვებისა —  
ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომისა.

მათე მოციქული გვამცნობს, თუ როგორ ახარა უფლის საფ-  
ლავთაგან გათენებისას მისულ მენელსაცხებლე დედათ ღვთის ან-  
გელოზმა: „ნუ გეშინინ თქუენ, ვიცი, რამეთუ იესოს ნაზარეველსა  
ჯუარ-ცმულსა ეძიებთ. არა არს აქა, რამეთუ აღდგა... და ადრე წარ-  
ვედით, და უთხართ მოწაფეთა მისთა, ვითარმედ: აღდგა მკუდრე-  
თით“ (მათე 28, 5—7).

მას შემდეგ, აი უკვე ოცი საუკუნეა, რაც ქრისტეს აღდგომის  
სიხარული თაობიდან თაობას გადაეცემა. ამ არამიწიერი, ულვევი  
სიხარულით აღვსილი მეც სიყვარულით მოგილოცავთ:

**ქ რ ი ს ტ ე ა ღ ღ ო ა !**

აღდგა იგი ახლობელთა და შორეულთა, დიდთა და მცირეთა,  
ძლიერთა და უძლურთათვის, „რამათა ყოველსა რომელსა ჰრწმენეს  
იგი, არა წარწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხოვრება საუკუნო“ (იო-  
ანე 3, 15).

ჩვენთვის, ადამიანებისათვის, ჩვენი ხსენისა და ცხოვნებისათვის აღესრულა ეს ყოველივე. ადამიანი რომ ყველაზე ძვირფასია ქმნილებათა შორის. იგი არის დიადიც და ძალიან პატარაც. მასშია ზეცის სიმაღლე და სიმაღაბლე ჯოჯოხეთისა. ცხოვრება განსაცდელია; მიზანი — განღმრთობა. ოღონდაც მარადიული ნეტარება ამქვეყნიური ყოფით, ღვთის მცნებისა და ნების აღსრულებით უნდა დავიძვედროთ, ჩვენი კუთვნილი ჯვრის უდრტვინველი ტარებით უნდა მოვიპოვოთ.

ცხოვრების გზაზე ჩვენს გვერდით მრავალი სხვაც მიაბიჯებს. ჩვენ ერთმანეთისაგან ჯვრის სიმძიმე განგვასხვავებს: ზოგის ჯვარი ძნელად სატარებელია, ზოგისა — მსუბუქი. „ურთიერთას სიმძიმე იტვირთეთ და ესრეთ აღასრულეთ სჯული იგი ქრისტესი“ (გალატ. 6.2), — გვარიგებს მოციქული პავლე.

ვაკეთებთ კი ამას? — სამწუხაროდ, ხშირად არა.

ეფესელთა მიმართ ეპისტოლეში ვკითხულობთ: „განიშორეთ თქვენ პირველისა მისებრ სვლისა თქვენისა ძველი იგი კაცი, განხრწნილი გულის თქუმისა მისებრ საცთურისა, და განახლდებოდეთ თქვენ სულითა მით გონებისა თქვენისაათა და შეიმოსეთ ახალი იგი კაცი, ღმრთისა მიერ დაბადებული, სიმართლითა და სიწმიდითა ჭეშმარიტებისაათა. ამისთვის განიშორეთ ტყუილი, იცოდეთ ჭეშმარიტსა კაცად-კაცადი მოყვასისა თვისისა თანა, რამეთუ ვართ ურთიერთას ასოებ“ (ეფეს. 4,22—25).

ძველი კაცი კვლავ ჩვენშია, ჩვენ შორისაა.

ცოდვამ გაპყო კაცთა მოდგმა. გაპყო ამპარტავნებით, სიძულვილით, მრისხანებით, შურით, ცილისწამებით... ხშირად არ ძალგვიძს, დავძლიოთ ეს გამთიშველი ძალა, რომელიც ჩვენს ხედვას არასწორ მიმართულებას აძლევს და რომლის გამოც პიროვნების ცხოვრების ნამდვილ სახეს დამახინჯებულად აღვიქვამთ და მას რეალურად მივიჩნევთ.

სულიერი სრულყოფის კიბეზე ორ მადლს აჰყავს ადამიანი: უკვდავებასა და სიწმიდეს.

ორ ძალას შთაჰყავს კაცი ჯოჯოხეთში: ცოდვას და სიკვდილს.

სიკვდილი და უკვდავება! რა ხშირად იმყოფებიან ისინი გვერდიგვერდ. ხშირია მათი თანაარსებობა ერთ ოჯახშიც კი, მშობლებსა და შვილებს შორის, დებსა და ძმებს შორის. ძნელია, მაგრამ მათ რომ ერთად ცხოვრება შეძლონ, ერთმანეთის სიმძიმე უნდა იტვირთონ, უნდა დაუთმონ ერთმანეთს.

ღმერთმა ადამიანს მიანიჭა უკვდავება და ამავე დროს — თავისუფალი ნება. არჩევანი ჩვენზეა, რას მივყვებით: სიმართლის საქმეთ — სიწმიდეს, თუ ცოდვის გზას — სიკვდილს?

ცნობილი ფილოსოფოსის, ვლადიმერ სოლოვიოვის სტატიაში „ცხოვრების სულიერი საფუძვლები“, წერია: „ჩვენ ცოდვის სამ მთავარ სახეს ვიცნობთ: მგრძნობელობით — ხორციელ ცოდვას, ანუ ავხორცობას, რომლის საწყისი ფორმა შობს ცოდვას, ხოლო ჩადენილი ცოდვა — სიკვდილს. შემდეგ მოდის ბუნებითი ცოდვა — თავდაჯერებულობა, ანუ თვითგანდიდება. მას თან სდევს ცდომილება; შეცდომისას კი სიჯიუტე სათავეა ტყუილისა და სიცრუისა. და ბოლოს ჩვენი სულისმიერი ცოდვა — ძალაუფლების მოყვარება,



რასაც ძალმომრეობამდე მივყავართ. ძალმომრეობა კი მთავრდება მკვლევლობით. ასეთია გზა ცოდვისა“.

თუ მოვლენებსა და საკუთარ თავს მთელი სიღრმით დავეუკუი-  
რდებით, შიში შეგვიპყრობს: იქნებ ცოდვამ ისე დაგვტოვა ხელი, რომ  
უკვე ვეღარ შევძლებთ გამოსწორებას და აღარ არის ხსნა ჩვენთვის?

გადარჩენა ძნელია, მაგრამ არა შეუძლებელი. და იგი უფალმა  
მოგვანიჭა. მისი მაღლი რწმენით მიმდებელ დავრდომილთა აღმად-  
გინებელია, ნაკლულევანთა აღმავსებელი; ესაა ჩვენი განმათბობე-  
ლი ღვთაებრივი სიყვარული, რომელსაც არა აქვს საზღვარი; იგია  
წყალობა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და სიყვარული ღვთისა  
მამისა და ზიარება სულისა წმიდისა.

სიყვარული მრავალგვარად განისაზღვრება. მის შესახებ მსჯე-  
ლობენ ღვთისმეტყველნი, ფილოსოფოსნი, მწერლები, სოციოლო-  
გები... ცნობილია, თუ როგორ ვლინდება იგი ჩვენში, გარემო სამ-  
ყაროში, მაგრამ კითხვას: კონკრეტულად რა არის სიყვარული? —  
დღემდე ვერავინ გასცა პასუხი. ეს იმიტომ, რომ სიყვარული ღვთა-  
ებრივი წარმოშობისაა; ისეთივე დაუსაბამო და უსასრულოა, რო-  
გორც უფალი.

სიყვარული მარადიულია და საუკუნეთა მანძილზე იგი სხვადა-  
სხვა ძალით იჩენს თავს.

მაცხოვრის ამქვეყნად მოსვლამდე სიყვარული იმდენად იყო  
კაცთა შორის გამოვლენილი, რამდენადაც მათ ამის დატევა შე-  
ეძლოთ. უფალმა თავისი განხორციელებით, ცხოვრებით, ჯვარ-  
ცმითა და აღდგომით ადამიანი სულიერი სრულყოფის ახალ საფე-  
ხურზე აიყვანა, ციური ნათლით განაბრწყინვა, ღვთაებრივ სიყვა-  
რულს აზიარა.

მას რომ მივებახლოთ, სიტყვით და საქმით ქრისტიანულად უნდა  
ვიცხოვროთ, უნდა დავძლიოთ ვნებები და ცოდვისმიერი მისწრა-  
ფებები, მაშინ სული ჩვენი იქცევა სპეტაკ ტაძრად და უფალი ღირს  
გვეოფს, რომ მასში დაივანოს.

ამ სულიერ ბრძოლაში გამარჯვება გპირობის ტოლფარდია.

წმიდა მოციქული პავლე გვასწავლის: მთელი ქონება რომ გლა-  
ხაკთ დაურიგო, ხორცი შენი რომ ცეცხლს მისცე გვემად, ადამიან-  
თა და ანგელოზთა ყველა ენა რომ შეისწავლო, წინასწარმე-  
ტყველის ნიჭითაც რომ იყო დაჯილდოებული და ქვეყნის ყველა  
საიდუმლოს ფარდა ჰქონდეს შენთვის ახილი, რომ გქონდეს ყო-  
ველგვარი ცოდნა და რწმენა, მთების გადაადგილებაც რომ შე-  
გეძლოს და სიყვარული კი არ გქონდეს, მაინც უხმარი სპილენძი  
იქნები, არარაობა იქნები (I კორინ. 13,2), რადგან არ იქნება შენში  
მთავარი მხსნელი ძალა — სიყვარული, რომელიც არის მომცველი  
ყოველთა მცნებათა და აღსრულება მათი.

სიყვარული არ ეძიებს თავისას, რადგან თავისუფალია თავის-  
მოყვარების ეგოისტური გრძნობისაგან. „სიყვარული სულგრძელ  
არს და ტკბილ; სიყვარულსა არა ჰშურნ, სიყვარული არა მაღლო-  
ინ, არა განლაღნის, არა სარცხუნელ იქმნის... არა განრისხნის,  
არად შეპრაცხის ბოროტი, არა უხარინ სიცრუესა ზედა, არამედ  
უხარინ ჭეშმარიტებასა ზედა. ყოველსა თავს-იდებნ, ყოველი  
პრწამნ, ყოველსა ესავენ, ყოველსა მოითმენნ“ (I კორინ. 13,4–7).

დმერთი, მოყვასი და მე — აი ის ღვთაებრივი სამკუთხედი, რომელიც სიყვარულით უნდა იყოს შეერთებული. თუ ამ სამთაგან თუნდაც ერთი რგოლი დაირღვა, დაირღვევა თვით სიყვარული; დამდაბლდება იგი და ბოლოს განქარდება კიდევ.

ის, ვისი ცხოვრებაც ღვთის რწმენასა და სიყვარულზეა დაფუძნებული, აუცილებლად იქნება ღვთის მოშიში, პატივს მიაგებს მშობლებს, შეიყვარებს მოყვასს, არ მოიპარავს, არ ხელყოფს სხვის სიცოცხლეს, არ დასწამებს ცილს ადამიანს, თავისუფალი იქნება შურისგან, იცხოვრებს ეკლესიურად და უსურვებს ყველას მას, რაც თავისი თავისთვის უნდა, რადგან ჭეშმარიტი სიყვარული მოიცავს ქრისტიანის ცხოვრების ყველა მხარეს, განსაზღვრავს და საფუძვლად ედება ურთიერთობას პიროვნებასა და შემოქმედს შორის, ადამიანთა შორის.

სიყვარული ღვთისა და კაცისა, სიყვარული ადამიანთა შორის გამოვლენილი — აი მთავარი თემა სახარებისა.

სიყვარულისა და მოწყალების შესანიშნავ მაგალითებს ვხვდებით წმიდა მამათა ცხოვრებაშიც. აი ერთი მათგანი:

იყო ვინმე სერაპიონი, წარმოშობით ეგვიპტელი. გამოირჩეოდა იგი ქვეყნიურ კეთილდღეობათა დიდი გულგრილობით, ამიტომაც შეარქვეს მშვიდი, აუღელვებელი. წერა-კითხვა რომ ისწავლა, მთელი წმიდა წერილი დაიხეპირა და თავის მთავარ საქმედ სახარების ქადაგება აირჩია.

ერთ ქალაქში ოც მანეთად მონად დაუდგა წარმართ მსახიობებს. მათთან ერთად ცხოვრობდა, მათთვის შრომობდა და თან გამუდმებით უქადაგებდა ღვთის სიტყვას. ბოლოს მიადწია იმას, რომ ყველანი გააქრისტიანა და დაარწმუნა, დაეტოვებინათ წარმართთა თეატრი.

როცა ისინი მოინათლნენ, გადაწყვიტეს, მონობიდან გაეთავისუფლებინათ სერაპიონი. მაშინ ღირსმა მამას უთხრა, რომ იგი მონა არ ყოფილა და მათ მხოლოდ იმისათვის ემსახურებოდა, რომ მათი გადარჩენა და ჭეშმარიტების გზაზე დაყენება სურდა. მსახიობებმა სთხოვეს სერაპიონს, დარჩენილიყო მათთან და სულიერი მამობა გაეწია, მაგრამ უარი მიიღეს. იგი სხვა ქალაქებისა და სოფლებისაკენ გაემგზავრა, სხვა გაჭირვებულთა დასახმარებლად.

ხშირად გაიგონებთ ნათქვამს: სიყვარული უნდა გვქონდეს, მაგრამ სამართლიანობაც აუცილებელიაო.

როცა სიყვარულზე, მშვიდობაზე, ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებასა და მათ შორის კეთილგანწყობაზე ვსაუბრობთ, ვერ დავივიწყებთ ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორცაა სამართლიანობა.

სამართლიანობა არ არის მხოლოდ იურიდიული ან განყენებული ფილოსოფიური აზროვნების გამოვლინება, არამედ ჩვეულებრივი, ცხოვრებისეული ხნობრივი გრძნობაა.

და მაინც, რა არის სამართლიანობა?

ზოგიერთები სამართლიანად მიიჩნევენ მხოლოდ მას, რაც შეესატყვისება მათ აზროვნებასა და უფლებებს; ანუ სამართლიანია ის, რაც მათთვის ხელსაყრელი და სასარგებლოა.

სამართლიანობა იმ კაცისა, ვინც მხოლოდ თავის უფლებებს იცავს და არ აქცევს ყურადღებას სხვათა გაჭირვებას, სხვათა წუხილს, რა თქმა უნდა, ვიწრო ეგოიზმიდან მოდის.

ჭეშმარიტი სამართალი შეიძლება იყოს მხოლოდ იქ, სადაც წონასწორობაა.

სამართლიანობა მოითხოვს, ასეთივე დამოკიდებულება გვექონდეს სხვათა მიმართ. ეს არის ადამიანთა ურთიერთობის გაცილებით მაღალი და სრულყოფილი საფეხური, დაფუძნებული სიყვარულსა და მოწყალებაზე. იგი აღემატება სამართლიანობის მდებალ სახეს, რომლის ნიღაბს ხშირად ისინი იფარებენ, რომელთაც არა აქვთ თანაგრძნობა და სიყვარული მოყვასისა და განიკითხავენ მათ.

აი რას ბრძანებს წმიდა თალასი:

„ვითარცა ჭაობსა შინა არა იპოვების ნელსაცხებელი, ჯრეთვე არცა სულსა შინა ძვირისმოცსენისასა, სუნებებაჲ სიყვარულისაჲ.

სიკუდილი სულისაჲ არს სიძულვილი მოყვასისაჲ და ესე აქუს და ამას იქმს ძუირისმეტყუელისა სული“.

განმკითხველნი უფრო ხშირად ისინი არიან, რომელნიც შურის ტყვეობაში იმყოფებიან, ანდა საკუთარ თავს არ იცნობენ. თითოეული ჩვენგანი ხომ მონაა ცოდვისა. გაფაქიზებული მზერა ადვილად ამჩნევს საკუთარი შინაგანი სამყაროს ნაკლოვანებას და ეს ათავისუფლებს მას სხვათა განსჯისაგან.

დიდი გრიგოლ ღვთისმეტყველი წერს: „მე შენ მოგმართავ, სხეულო ჩემო, განუკურნელო, ფარისეველო, შენ, მტერო ჩემო და მოძულეო. შენ ნადირი ხარ ვერაფერად მომფერებელი, საკვირველი ცეცხლი განმყინველი; და იქნებოდა სასწაული უდიადესი, ოდესმე მაინც, თუნდაც რომ ბოლოს კეთილგანწყობა შენი მეხილა.

შენც, სულო ჩემო, ვინ ხარ, სით მოხვალ? ვინ მოგცა ტვირთი მპორის ზიდვისა, ვინ მიგაჯაჭვა ამ ცხოვრებას და გაიძულა, გამუდმებით ისწრაფოდე დედამიწისკენ?

და თუ შენ, სულო, დაატარებ შენში ზეციურს, რა იქნებოდა, გაგემხილა საწყისი შენი. თუ შენ სუნთქვა ხარ ღვთაებრივი და მისი წილი, მაშ, განუდექი სიცრუეს და გიწამებ მაშინ, როს მცირე ბიწიც შენს სიწმიდეს არ შეეხება“ (გრიგოლ ღვთისმეტყველი, 1844, გვ. 260–261).

ჩვენ რაღა გვეთქმის?!

ამქვეყნად გამეფებული წესი ცხოვრებისა შეიძლება სამ საფეხურად წარმოვიდგინოთ.

პირველი საფეხური ძალისაა. იგი გულისხმობს სუსტთა და ძლიერთა შორის ბრძოლას არსებობისა და გადარჩენისთვის, როცა პირველნი მსხვერპლად ეწირებიან ძლიერთა ამა სოფლისათა; და ეს უკანასკნელნი კი ამას თვლიან ნორმალურ მდგომარეობად.

მეორე საფეხური კანონის საფეხურია. იგი არ ცნობს განსხვავებას პიროვნებებს შორის და ამართლებს პრინციპს, რომლის შესახებაც ჯერ კიდევ ძველი რომაელები ამბობდნენ: *Dura lex, sed lex* — კანონი მკაცრია, მაგრამ კანონია. კანონი ყველას უყენებს გარკვეულ პირობებს და სჯის, ვინც არ ემორჩილება მის წესებს.

მესამე საფეხური არის სიყვარულისა და თანაგრძნობისა. იგია გზა ქრისტიანული მოწყალებისა. ერთნი გასცემენ ღვთის სადიდებლად, სხვანი კი იღებენ ასევე ღვთის სადიდებლად, ისე რომ არ შელახონ ერთმანეთის ღირსება. აქ მეფობს სული ქრისტესმიერი ერთობისა. მან არ იცის კეთილ საქმეში უკან დახევა, რათა აღსრულდეს სიტყვები უფლისა: „რომელი გთხოვდეს შენ, მიეც; და რომელსა უნდეს სესხებად შენგან, ნუ გარე — მიიქცევი“ (მათე 5,42).

საქმეში გამოვლენილი ქრისტიანული სიყვარული შინაგანი სრულყოფით მოიპოვება, რომლის მისაღწევად წმიდა იოანე კიბის აღმწერელმა ოცდაათ სულიერ საფეხურზე ამადლების აუცილებლობა გვიჩვენა.

ქრისტიანული სიყვარული სათავეს იღებს იქ, სადაც მთავრდება ეგოიზმი და იწყება თავდადებული მსახურება მოყვასისათვის; ოღონდ ისიც უნდა ვიცოდეთ, ვის როგორ დავეხმაროთ.

ხომ უაზრობაა, ფული მისცე მდიდარს, რომელსაც მორალური შეწვევა ესაჭიროება; უფრო დიდი შეცდომაა ავადმყოფ, მშვიერ და უსახლკარო კაცს მხოლოდ ზნეობრივი დახმარება შესთავაზო.

კარგად არც მაშინ ვიქცევით, როცა ვცდილობთ, სხვას იძულებით მოვახვიოთ ჩვენი აზრები, ჩვენი შეხედულებები, თუნდაც სწორი იყოს ისინი.

მთავარია, შევქმნათ იმის პირობები, რომ პიროვნება თვითონ მივიდეს ჭეშმარიტებამდე, თვითონ იგრძნოს, თვითონ აღმოაჩინოს სინამდვილე.

მე მინდა მოტლანდიელი ფილოსოფოსის — ბიატის ცხოვრების ერთი ფურცელი შეგახსენოთ.

მას ჰყავდა ვაჟი, რომელიც ძალიან უყვარდა, და სურდა, მისთვის სასულიერო განათლება მიეცა. ამიტომაც ცდილობდა, ღვთის სიყვარული თავიდანვე გაედვივებინა მასში.

როდესაც ბავშვს 5-6 წელი შეუსრულდა და კითხვა ისწავლა, მამამ ასეთი გამოცდა ჩაუტარა: ბაღის ერთ კუთხეში, ხნულზე, ისე, რომ არავის დაენახა, შეიღის სახელი დაწერა, კვლებში ყვავილების თესლი ჩაყარა, მერე მიწა მიაყარა და გაასწორა. რამდენიმე დღის შემდეგ ბიჭმა მამასთან მიიღბინა და გახარებულმა უთხრა, რომ ბაღში თავისი სახელი ნახა ყვავილებზე დაწერილი. მამამ გაიცინა და ისეთი სახე მიიღო, თითქოს ამას დიდ ყურადღებას არ აქცევდა. ბიჭი არ მოეშვა და აიძულა, წაჰყოლოდა იმ ადგილის სანახავად. როცა მივიდნენ, მამამ თავშეკავებით თქვა, რომ ამაში საკვირველი არაფერი იყო, და იგი შემთხვევითობას მიაწერა. ბიჭი არ დაეთანხმა.

მაშ, მიგაჩნია, რომ შენი სახელი თავისით არ დაწერილა აქ? — ღიახ. — მტკიცედ მიუგო პატარამ.

ბოლოს მამამ აღიარა, თუ როგორ დათესა კვლებში ყვავილების თესლი და დაუმატა, რომ მსგავსად ამისა, არც სამყარო და არც მასში დაცული გასაოცარი წესრიგია თავისით შექმნილი, რომ იგი გამოვლენაა ღვთაებრივი გონისა და სიყვარულისა, ქმნილებაა ღვთის ხელისა.

ღიახ, ცა მიწა, ზღვა... მთელი კოსმოსი დიდი და ბრწყინვა-

ლე წიგნია უფლისა, რომელშიც უსიტყვოდაა განცხადებული ღმერთი. ჩვენ უნდა ვიცოდეთ ამ წიგნის კითხვა, რომ სწორად ვიცხოვროთ. სწორად კი ვიცხოვრებთ მაშინ, თუ მართლმადიდებელი ეკლესიის კანონებს აღვასრულებთ.

სათნო ვეყოთ ღმერთს, — აი ჩვენი ნეტარება.

ვიყოთ მუდამ მასთან — აი, ჩვენი მოწოდება.

„უმეტეს ყოველთა შეიყვარეთ ღმერთი — გვარიგებს ეფრემ ასური, — ვისაც წრფელი გულით უყვარს იგი, მისი გონება მუდამ ზეცისკენ ისწრაფვის, იქიდან იღებს ის სულიერ საზრდოს, იქიდან ნათლდება, იქიდან ივსება იგი ღვთაებრივი სიყვარულის სიტკბოებით“.

მწერლები, სოციოლოგები, ფილოსოფოსები დღეს აყენებენ კითხვას: აქვს კი მომავალი სიყვარულს? და თუ აქვს, როგორი იქნება იგი?

ჩვენ ვცხოვრობთ მატერიალურ-ტექნიკური პროგრესის საუკუნეში, მატერიალურ სიუხვეთა დაგროვების ხანაში, როცა ხშირად გვავიწყდება ჩვენი უკვდავი სული, გვავიწყდება სიყვარული, ზნეობრივი ღირებულებები.

ვერც ვგრძნობთ, რომ გვაკლია სულიერი საზრდელი, ნდობა და კეთილგანწყობა. ადამიანი გახდა როგორღაც გულქვა, დაუნდობელი, ჩაიკეტა თავის თავში.

ქრისტიანული ერის მეოცე ასწლეულმა ღრმა კვალი დატოვა კაცობრიობის ისტორიაში. ეს არის ამაყი საუკუნე, საუკუნე ნგრევისა და შენებისა, საუკუნე საგსე ტკივილით, ტანჯვით, ღირებულებათა გადაფასებით; გამორჩეული დიდი მიღწევებით და ამავე დროს, სულიერი სიღატაკით ნიშანდებული. საუკუნე ბრძოლისა და განყოფისა.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ადამიანის აზროვნების წინსვლასთან ერთად, ღვთის კურთხევით, სულიერადაც განვითარდებით. ვპოვებთ ჩვენში ძალას, განვთავისუფლდეთ მატერიის მონობისაგან, ტექნიკის შემოტევისა და გონების ამპარტავნებისაგან. გვწამს, რომ შევძლებთ ღვთის, საკუთარი თავისა და მოყვასის დანახვას.

დღეს ბევრს ვლაპარაკობთ გარდაქმნაზე. მადლობა ღმერთს, რომ ეს პროცესი დაიწყო. მაგრამ ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ გარდაქმნა, უპირველეს ყოვლისა, ჩვენს სულსა და აზროვნებას უნდა შეეხოს და მერე გარეგნულ ფორმებში უნდა გამოვლინდეს.

თუ არ შეიცვლება ჩვენი შინაგანი სამყარო, ყველა მცდელობა ამაო იქნება. უნდა ვეცადოთ, აღვზარდოთ ადამიანი შემოქმედებითად, ისე, რომ იგი გრძნობდეს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, აღიქვამდეს ჩვენს სახლს, დედამიწას, როგორც ერთიანს, მთლიანს, რომლის ჭერქვეშ ყველამ მშვიდობიანად უნდა იცხოვროს.

მაგრამ არც მხოლოდ მშვიდობიანი ყოფა არის საკმარისი. აუცილებელია ცხოვრება რწმენით, იმედით, სიყვარულით, ანუ მაცხოვრის მცნებით.

თუ ვერ განვეშორებით მტრობას, ვერაგობას, ბოროტებას, შურსა და რისხვას და ყოველ საქმეთ ღვთისა და ჩვენს შეურაცხ-

მყოფელს, ვერც აღდგომის დღესასწაულის ძალას ვიგრძნობთ.

დღეს უფალი, მართალია, გვიხმობს სიხარულად, მაგრამ იგი, უპირველეს ყოვლისა, მოგვიწოდებს სინანულისთვის, სიყვარულის, თანაგრძნობისა და მოწყალებისთვის, ლოცვის, მარხვისა და ცოდვათა შენდობისათვის. ამიტომაც წერს ძველ ცნობილ მოღვაწეთაგანი, აბბა ევაგრე, უფლის პასექი ბოროტების სიკეთით შეცვლაათ.

მეც გისურვებთ ამ ღვთის სათნო ფერისცვალებას, ძველი კაცის ძველი ტანსაცმლის ქრისტეს სიყვარულის ახალი ბრწყინვალე სამოსით შეცვლას, რათა დაიმკვიდროთ სასუფეველი ღვთისა.

„აღსდევ რა ქრისტესთან ერთად, — ბრძანებს გრიგოლ ღვთისმეტყველი, — ახალ ქმნილებად იქმენ, რომელი განმზადებულ არს კეთილ საქმეთა აღსრულებად. დე, განახლდეს სრულად ცხოვრება შენი და გზა შენი მოღვაწებისა განახლდეს სრულად“.

სააღდგომო ეპისტოლე წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველისვე სიტყვებით მინდა დავამთავრო: „შეკრიბეთ საუნჯე დაუსრებელთა საუკუნეთათვის... დროში აშენებულს დროვე დაარღვევს“.

ყოვლადუსამღვდელოესნო მიტროპოლიტნო, მთავარეპისკოპოსნო, და ეპისკოპოსნო, ღირსნო წინამძღვარნო და დიაკონნო, ღვთისსაყვარელნო ბერ-მონაზონნო, ღვთივეკურთხეულნო ივერნო, საზღვარგარეთ მცხოვრებო თანამემამულენო, შვილნო საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა, გილოცავთ წმიდა პასექის დიად დღესასწაულს.

მოვედით და იხარებდით ტრაპეზსა ზედა ქრისტეს აღდგომისასა. „ვიყუარებოდეთ ურთიერთას, რათა ერთობით აღვიარებდეთ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა“.

**ქ რ ი ს ტ ე ა ღ ს ღ ბ ა !**

**ჭ ე შ მ ა რ ი ტ ა დ ა ღ ს ღ ბ ა !**

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი


**ი ლ ი ა II**

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.**

ნ ა შ რ თ მ ი

გ ა ნ ძ ა ლ

ღ ა შ თ ე ბ ი ს



**წმიდა ნინო**

(ვუძღვნი ქართველ ქალთა საზოგადოებას)


სასახელოა ჩვენთვისა  
დედათმთავარის დღეობა,  
იმის წყალობით განმტკიცდა  
ქართლში ახალი ზნეობა.  
ვცანით იესო ქრისტესი  
ჭეშმარიტის დეთის ძეობა  
და ქრისტეს სწავლა—მოძღვრების  
სიდიდე, მძლეობა და მტკიცება.  
ვინც ქრისტეს მცნება გვასწავლა,  
ქართველთ გვწამს მისი ზნეობა.  
იკურთხოს მისი სახელი,

.....  
ცამ მონიჭოს ჩვენს ქალებს  
სიდიდე ნინოს სულითა,  
რომ შესძლონ ქვეყნის აღდგენა,  
განკურნება იმის წყლულისა;  
ობლისა მოვლა, გამძლეობა,  
მოხელეობა და კარგულისა.  
არ დაეკარგოს ამაგი,  
ვინაც სამშობლოს უვლისა.  
იკურთხოს დედათა ღვაწლი,  
მადლი სწყალობდეს უფლისა

**კაჟა-ფშაველა**



თბილისი. სიონის საპატრიარქო ტაძარი. ბატონი ჯორჯ შულცი და უწმიდესი და უნეტარესი ილია II.





# ქვეყნის დღის წიგნარი

## ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ბატონი ჯ. შულცი თბილისში

23–24 აპრილს თბილისში იმყოფებოდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ბატონი ჯ. შულცი, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობისა და საბჭოთა კავშირ-ამერიკის ახალი უმაღლესი დონის შეხვედრისათვის მზადების მიმდინარეობის საკითხთა განხილვის განსჯარობად.

24 აპრილს, დილით ბატონი ჯ. შულცი მუდლითურთ მობრძანდა სიონის საპატრიარქო ტაძარში, სადაც დაესწრო წირვას. ქართული ეკლესიის საკეთმპერობელმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სიტყვით მიმართა საპატრიარქო სტუმარს.



წირვა სიონის საპატრიარქო ტაძარში

**ს რ უ ლ ი ა დ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს**  
**კ ა თ ო ლ ი კ ო ს - კ ა ტ რ ი ა რ ქ ო ლ ი ა II-ის**  
**ს ი ტ ყ ვ ა**

ბატონო სახელმწიფო მდივანო, ბატონებო და ქალბატონებო! საქართველოს სამოციქულო ეკლესიის სახელით გულითადად მოგესალმებით ამ წმიდა ტაძარში, რომელსაც ქართველი აღამიანი უწოდებს ღედა ეკლესიას. ეს ერის წმიდა ადგილია. აქ ინახება ქართველთა განმანათლებლის, წმიდა ნინოს ჯვარი ვაზისა. ჩვენი ეკლესია I საუკუნეშია დაფუძნებული; ხოლო სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობა საქართველოში IV საუკუნეში გამოცხადდა. V საუკუნის მეორე ნახევრიდან კი ქართული ეკლესია ავტოკეფალური, დამოუკიდებელია და მას შემდეგ, რაც საქართველოში შექმნილა, ყველაფერი ქრისტიანობაზეა დაფუძნებული.

ჩვენი ერი და ეკლესია მუდამ ერთად იყო და ყოველთვის მამულისა და რწმენის შენარჩუნებისათვის იბრძოდა. კიდევ ერთხელ მოგესალმებით.

ის პრობლემები, რომლებიც დღეს მსოფლიოს წინაშე დგას და რომლებზედაც თქვენ მუშაობთ, უცხო არ არის ეკლესიისათვის. რა გზები არსებობს მშვიდობის შენარჩუნებისათვის და რა შეუძლია გააკეთოს ეკლესიამ ამ მიმართულებით? ეკლესია ზრდის მორწმუნეებს სი-

ყვარულისა და მშვიდობის სულისკვეთებით. მეცნიერებაში და ტექნიკაში გიგანტური ნაბიჯები გადადგა წინ, სულიერი განვითარება კი ჩამორჩა. ეს საშიშია. სულიერი განვითარება აუცილებელია. როდესაც ეს ჩამორჩენა მოისპობა, ის საფრთხე, რომელიც ემუქრება კაცობრიობას, აღარ იქნება საშიში. ამას ემსახურება ქრისტიანული ეკლესია, მათ შორის, ქართული ეკლესია.

აღვაკლებთ ლოცვებს მშვიდობისათვის, კეთილდღეობისათვის, ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება—განმტკიცებისათვის. ჩვენი ქვეყნების სულიერი და მატერიალური პოტენციალი დიდია, ამიტომ უნდა გვქონდეს მეგობრული ურთიერთობა. თქვენ ბევრს აკეთებთ ამისთვის.

დღევანდელი დღის აღსანიშნავად მინდა მოგართვათ წმიდა გიორგის მინანქრის ხატი. მეტად სასიხარულოა, რომ თქვენ გიორგის სახელს ატარებთ, წმიდა, ძლევამოსილი და საკვირველმოქმედი გიორგი იყოს პირადად თქვენი და ჩვენი ქვეყნების მფარველი.

**ბ ა ტ ო ნ ჯ ო რ ჯ შ უ ლ ც ი ს ს ი ტ ყ ვ ა**

ჩემთვის და ჩემი მეუღლისათვის დიდი პატივია ამ კვირადღით თქვენს საღვთო წირვაზე დასწრება.

თქვენ ბრძანეთ ტექნიკურ პროგრესზე და რელიგიისა და რწმენის შემდგომი წინსვლისა და განმტკიცების აუცილებლობაზე დღევანდელ მსოფლიოში. ალბათ, მხედველობაში გქონდათ უფრო მეტი შეცნობა და მიღება რწმენისა, რადგანაც რწმენა წმენდს, ცვლის აღამიანს. სწორედ ესაა თვალში საცემი აქაც, დვთისმსახურებაზე.

თქვენი მშვენიერი ქვეყანა, ამ მიწის მკვიდრნი მოწმენი არიან იმისა, რომ ისტორიის მანძილზე თავს იჩენენ და მერე ქრებიან ხოლმე სხვადასხვა დაბრკოლებები,

სხვადასხვა პრობლემები, ეკლესია კი მარადიულია. ეს უწყვეტობა, ეს შინაგანი წვა, რომლის განსახიერებაც ეკლესიაა, რწმენის ძალასა და სიძლიერეზე მიუთითებს. ამას განსაკუთრებით ვგრძნობთ დღეს, როცა აღინიშნება რუსეთის გაქრისტიანების 1000 წლისთავი.

ამ, ხალხით სავსე ტაძარში ჩვენ მოვისმინეთ რაღაც უჩვეულო, დიდებული გალობა მშვენიერი გუნდისა და მინდა ამისათვის მადლობა გადავუხადო მათ.

ახლა კი, ჩემთვის და ჩემი მეუღლისათვის ფრიად სასიამოვნო იქნება, თუ გვექნება საშუალება, დავესწროთ და მოვუსმინოთ საკვირაო წირვას.

თბილისის აეროპორტიდან


მის უწმიდესობას  
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია II-ს

თქვენო უწმიდესობავ,

ქალგატონ შულცს და მე გვხვდა ღიღი ბებივი, დავსწრებოდით წირვას სიონის საკატრიარქო ტაძარში. ის მიზნობრივი როლი, რომელიც საქართველოს კულესიამ შეასრულა, ქართული კულტურის, ენისა და სულის ამაღლებასა და განმტკიცებაში, ნამდვილად შთაგებავდავია.

გთხოვთ, მიიღოთ ჩვენი უღრმესი მადლობა.

გულწრფელად თქვენი ჯორჯ კ. შულცი.  
თბილისი.



საქართველოს საკატრიარქო რეზიდენციის ეზო.





მისი უწმიდესობა და უნეტარესობა ილია II და უნეტარესი  
პარტენოს III.

# ვიზუალური ურთიერთს

ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის  
პაპი და კატრიკი კარტენოს III  
სამართველოში



სონის საბატრიკო ტაძარში.



ქაშუელოში

მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს—პატრიარქ ილია II-ის მოწვევით ა. წ. 9—13 მარტს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ოფიციალური ვიზიტით ესტუმრა უნეტარესი პართენიოს III — პაპი და პატრიარქი დიდისა ქალაქისა ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკისა.

მის უნეტარესობას თან ახლდნენ: მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა პელუსიის მიტროპოლიტი ბარნაბა, მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა აქსუმის მიტროპოლიტი პეტრე; არქიმანდრიტი იოანე (ცაკირისი), არქიმანდრიტი თეოდორე (ხორევეტაკისი).

ეს ვიზიტი არის გაგრძელება იმ ისტორიული და ტრადიციული ურთიერთობისა, რომელიც ორ უძველეს საპატრიარქოს შორის საუკუნეთა მანძილზე არსებობდა. თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული ღვაწლი ჩვენი კავშირის განმტკიცებაში მიუძღვის ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის აწ განსვენებულ პატრიარქს, — ნიკოლოზ VI-ს, რომელიც არაერთხელ ყოფილა საქართველოში და ჩვენი სამღვდელნიც არაერთხელ მიუწვევია თავისთან.

ვიმედოვნებთ. ახალი პაპი და პატრიარქი პართენიოს III, რომელიც სულ ერთი წელია, რაც აღსაყდრდა, გააგრძელებს ამ ტრადიციას.

9 მარტს მისი უნეტარესობა, პართენიოს III და მისი

თანმხლები პირნი თავის რეზიდენციაში მიიღო სრულიად საქართველოს კათოლიკოს—პატრიარქმა ილია II. ორ პატრიარქს შორის გაიმართა გულითადი საუბარი, რომელიც შვეხო, როგორც ჩვენი ეკლესიების ურთიერთობას, ისე საერთო მართლმადიდებლურ საკითხებს.

ვიზიტის დროს სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის ტაძრები, მუზეუმები, ეწვივნენ სახელმწიფო უნივერსიტეტს, მცხეთას, თაყვანი სცეს ჯვარს, სვეტიცხოველს... იყვნენ ოპერიისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში.

პატრიარქ პართენიოს III-ის თანამწიფელობით სიონის საპატრიარქო ტაძარში შესრულდა საღმრთო ლიტურგია. წირვის დამთავრების შემდეგ ეკლესიის მწვემსმთავრებმა ერთმანეთს მიმართეს სიტყვებით...

11 მარტს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გილაშვილმა მიიღო ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპი და პატრიარქი პართენიოს III, სრულიად საქართველოს კათოლიკოს—პატრიარქი ილია II და მათი თანმხლები პირნი.

საუბარში მონაწილეობდა საქართველოს სს რესპუბლიკაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს რწმუნებული ა. წიკლაური.



წირვის შემდეგ

# იქცისკონსტანტის

## ლოცვისათვის

ლოცვა მუდმივი შეგრძნებაა სულიერი სიგლახაკისა და უძლურებისა, ღოცვა საკუთარ თავში, ადამიანებსა და ბუნებაში ღვთაებრივი სიბრძნის, სახიერების, ყოვლისშემძლეობისა და ღიღების ჭვრეტა; ღოცვა მაღლია გარდამოსული. ხშირად სწორედ ის მიანიხილავს ღოცვად, რაც არ არის ღოცვა. ხდება: შევა კაცი ეკლესიაში, დადგება, შეხედავს ხატებს, მერე ადამიანებს, დააკვირდება მათ ჩაცმულობას, გამოვა და იფიქრებს: „ვილოცო“. ანდა, შინ ხატების წინ ერთი თუ მოიხარა თავი და სწრაფად, შეუგნებლად, ყოველგვარი განცდის გარეშე ჩაილაპარაკა დაზეპირებული სიტყვები, შეიძლება ეგონოს „ვილოცო“. თუმცა მას, გულით, გონებით სულაც არ ულოცია, ღმერთთან კი არა, სხვაგან, სხვადასხვა საგნებთან და ადამიანებთან იყო ღოცვისას. ღოცვა გონებისა და გულის ზეამადლებაა ღმრთისაკენ, ჭვრეტაა ღვთისა, ქმნილების კადნიერი საუბარია შემოქმედთან, მოკრძალებული დგომაა სულისა მის წინაშე, როგორც წინაშე მეფისა და თვითარსისა, რომლისგან არს ცხოვრება ყოველთა. ღოცვა უფლისათვის ყველაფრის დატევებაა, ღოცვა საზრდელია სულისა, პაერია, ნათელია, სითბოა, ხელისა გაცოცხლებული, განმზანელია ცოდვებისა, უღელია ტკილი ქრისტესი, ტვირთია მისი. მსუბუქი ღოცვა გამომდებელი შეგრძნებაა საკუთარი უძლურებისა, იგივე სულიერი სიგლახაკისა, კურთხევაა სულისა, განცდაა მომავალი ნეტარებისა, ნეტარებაა ანგელოზებრივი, ცვარია ზეციური, განმყოფიერებელი და განმაგრილებელი, ძალია და სიმტკიცეა სულისა და სხეულისა, განწმენდა და განახლებაა გონისა, განათლებაა პირისა, მხიარულებაა სულისა, ჯაჭვია ოქროსი, ქმნილების შემოქმედთან შემაერთებელი, მღვიძარება და სიმხნეა ჭირისა და განსაცდელში სანთელია ცხოვრებისა, წარმატებაა საქმეთა შინა, ანგელოზებრივი ღირსებაა, ბეჭედია სარწმუნოებისა, სასოებისა და სიყვარულისა. ღოცვა ანგელოზებთან და წმიდანებთან თანამგვიდრობაა. ღოცვა გამმართველია ცხოვრებისა, შემმუსვრელია გულისა, მშობელია ცრემლისა, აღმშვერელია მოწყალეებისა; ღოცვა ცხოვრებაა უშიშარი, განმგებელია სიკვდილის შიშისა, მიწიერ საუნჯეთა დამფიწყებელია, ზეციერ ნიჭთა სურვილია, ღოცვა მოლოდინია ამა სოფლის მსაჯულისა, ყოველთა აღდგომისა, საუკუნო ცხოვრებისა. მდებლობაა მხურვალე საუკუნო ტანჯვისაგან განთავისა, ძიებაა განწვევტილი ზეციური მეუფის წყალობისა, ცხოვრებაა წინაშე ღვთისა, წყალია ცხოველი სულისა, დამდაბლებაა ნეტარი ყოვლისშემქმნელი და ყოვლისაღმგებელი შემოქმედის წინაშე, დატევნაა გულში ყოვლაღმწიდა სამებისა „მოვიდეთ მისა და მის თანა დავადგეთ“. (ინ. 14.23).

### ბრძოლა ცთუნებებთან ღოცვისას

ღოცვისას ზოგჯერ მომაკვინებელი წველიადისა და გულის შემაჭირვებელი წუთებიც დგება, ესაა ნაყოფი გულის ურწმუნოებისა. ბოროტი ცდილობს მშრალ ქვიშასავით განახნოს ღოცვა, სიღობ — სიტყვათა დამაკვშირებელი ძალა და გულისმიერი სითბო გამოაცალოს მას. ამიტომაც, რომ მლოცველის მერყევი სულიერი განწყობილების მიხედვით, ღოცვა ხან ქვიშაზე აგებულ სახლს ემგვანება, ხან კი კოშკს კლდეზე დამტკიცებულს.

ა). პირველ ყოვლისა, ღოცვისათვის განწყობილების შექმნა, მომზადებაა საჭირო, რაც გარეგანი და შინაგანი ცთუნებების წინააღმდეგობას ნიშნავს. თუ ღოცვისას ღვთისაგან რაიმე ნიჭს ითხოვ, უეჭველი სარწმუნოებაც უნდა გააჩნდეს. უნდა განაგლო ყოველგვარი ეჭვი და ურწმუნოება. ცუდია, თუ ღოცვისას შეგეპარა ეჭვი, შეგერყა რწმენა; მაშინ არ მოგეცემა თხოვნილი, რამეთუ შენ შეურაცხევე ეჭვით უფალი. მგობელს ღმერთი არ მისცემს თავის ნიჭთაგან. „ყოველსა რაოდენსა ითხოვდეთ ღოცვასა შინა სარწმუნოებით, გეყოს თქვენ“ (მთ. 21, 22) — ამბობს უფალი, — „პრქუათ თუ მთასა ამას: აღიფხურ ამიერ და შთავარდი ზღუასა, იყოს ეგრეთ“ (მთ. 21,21) ხოლო მოციქული იაკობი ამბობს: „ითხოვდინ ხოლო კაცი იგი, (ორგულეობით თხოვნელი, ვითარმედ მო-რაიმე-ილოს ღმრთისაგან. — კაცი ორგული დაუღვრომელ არს ყოველთა გზათა მისთა (იაკ. 1, 6-8). ღვთის ყოვლისშემძლეობაში დაეჭვებული გული ამ ეჭვისათვის ისჯება; იგი წუხს და სხეულივით იჭირვის ღოცვისას. ღვთის ყოვლისმფლობელი გული, ეჭვის ჩრდილითაც კი არ უნდა განარისხოს კაცმა, და განსაკუთრებით მან, ვინაც მრავალჯერ გამოსცადა ღვთის ყოვლისშემძლეობა და მოწყალება. ეჭვი გმობაა ღმრთისა.

გეშინოდეს ეჭვისა, ვითარცა გველისა წაშლოვანისა, უმჯობესია, სულ მოიკვეთო იგი, არ მიაქციო მცირედი ყურადღებაც კი, გახსოვდეს, რომ უფალს შინაგანად უნდა გასცე პასუხი კითხვაზე: გწამს, რომ ძალგძის ამის ყოფა? და შენ გულის სიდრმეში უნდა გქონდეს პასუხად: მწამს, უფალო! და მაშინ გეყოს შენ რწმენისაებრ შენისა. შემდეგი მსჯელობა: რას სთხოვ ღმერთსა?

უფალს რაღაც წარმოსახვითს, ოცნებისმიერსა და ფანტასტიურ ნიჭს კი არ ვთხოვ, არამედ, არსებულს. ყოველივე არსებულმა კი ღვთისაგანვე მიიღო არსებობა, რამეთუ „თვნიერ მისა არცა ერთი რაჲ იქმნა, რაოდენი—რაჲ იქმნა“. (ინ. 1,3). ეს იმას ნიშნავს, რომ მის გარეშე არაფერი არ არსებობს. ყოველივე არსებულმა მისგან მიიღო არსებობა. ხოლო გონიერ არსებათა მოქმედე-

ბა მისივე ნებით, ან დაშვებით ხდება. ასე რომ, ყველაფერსა და ყოველივე არსებულსა ზედა ღმერთთა უზენაესი ძეგლი: გარდა ამისა, „ოგი უწესენ არაარსსა მას, ვითარცა არსსა“. (რომ. 4,17) ეს იმას ნიშნავს, რომ მას ჩვენთვის ძალუძს არსებულის შექმნაცა და მოციმაც.

ასე რომ, ღვთისაგან, რაც ჩვენი შემეცნებისთვისაც კი წარმოუდგენელია, ისიც კი მოგვეცემა, მაგრამ ჩვენი სისუსტეა ჩვენივე უძლური გონება, რომელიც ობობასავით ცდილობს ანალოგიების, მსჯელობებისა და დასკვნების ქსელში გააზვიოს ჭეშმარიტება. ჭეშმარიტება რწმენით უმაღლესი მიიწვდომება, შემეცნება (განსჯა) შორი გზიდან უფლის.

რწმენა — სულიერის წვდომის საშუალებაა, განსჯა ფშვიანიერია და იგი მხოლოდ მატერიალურს მოიცავს.

ლოცვისათვის საჭიროა შესაბამისი სულიერი განწყობილება. ზოგჯერ ადამიანი მონდომებით ლოცულობს, მაგრამ მის ლოცვას არ მოაქვს სულიწმინდისმიერი სიმშვიდე და სიხარული. რატომ? იმიტომ, რომ ლოცვისას მას არ გააჩნდა გულწრფელი სინანული იმ ცოდვითა გამო, რომელიც მან იმ დღეს ჩაიდინა, რითაც შეიძლება ქრისტეს ტაძარი, გული საკუთარი, რითაც განარისხა უფალი. იგი მხოლოდ იმეორებდა გაზეპირებულ ლოცვებს ბეჯითად. თუკი გულწრფელად გაიხსენებ და შეინანებ საკუთარ ცოდვებს, თუკი წრფელად განიკითხავ საკუთარ თავს, მაშინვე დაიბეჭდები გულში მშვიდობა ღმრთისა, „რომელი მძაბს ყოველთა გონებათა“ (ფილიპ. 4,7).

საკლესიო ლოცვებში ჩამოთვლილია ცოდვები, მაგრამ ხშირად სწორედ ის ცოდვებია გამოტოვებული, რომლებიც ჩვენ ბორილებად გვაღვეს ლოცვისას. აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ისინი, ცხადად, გულის შემუსვრითა და სიმდაბლით უნდა ვიცოდებდეთ მათ სიმძიმეს. აკი საღამოს ლოცვებშიაც ნათქვამია: „ანუ სხვა რაიმე ბოროტი მიქმიან“ ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა გავიხსენოთ ყველა ცოდვა.

გ). მაგრამ ხანდახან, ლოცვისათვის ერთგვარად მომზადებულებსაც კი გვეუფლება დახსნილება, სულმოკლეობა, გვეფანტება აზრი. როცა ლოცვისას შენს გულს ურვა და წუხილი მოიცავს, იცოდე, რომ ეს ეშმაკის მანქანებით ხდება. იგი ერთის ცდაა: როგორმე მოგწვეტოს ლოცვას. განმტკიცდი, გამხნევი და ღვთის სხენებით განდევნე მომაკვდინებელი შეგონებები.

თუკი მარტო ლოცულობ და მარტოობისაკენ გული ურვამ მოიცვა, მოიწყინა და დამძიმდა, გაიხსენე ღმერთი, რომელიც მარად გიშურს შენ. გაიხსენე შენი მფარველი ანგელოზი, წმიდათა და ანგელოზთა ურიცხვი დასები, რომელნიც მარადის ისმენენ და ხედავენ შენს ლოცვას. მხურვალე გულით გამუდმებით უნდა ლოცულობდე. ეს რომ შეძლო, უზომო ჭამა-სმას არ უნდა მისცე თავი. უნდა გახსოვდეს ვის ესაუბრები, რადგან ხშირად ლოცვისას ავიწყდებათ კიდევ, რომ ესაუბრებიან ღმერთს ყოვლისმხედველსა და მარადმღვიძარეს, და ამ საუბარს ისმენენ ყოველნი ზეციერი ძალი და წმიდათა დასნი.

ლოცვის დროს, გამხნეების ასეთი საშუალებაც არსებობს: „ერთი კაცი, როცა ლოცვით მოიღლებოდა

და ძილი მოერეოდა, ხოლმე, ასეთი კითხვით მიმართავდა თავის თავს: სულს ჩემო, ვის ესაუბრები? — და მერე ცხადლივ წარმოიდგენდა უფალსა, რის შედეგადაც დიდი ღმობიერებითა და ცრემლით იწყებდა ლოცვას. მისუსტებული ყურადღება უმხვილდებოდა, გული — უნათლებოდა, ცოცხლდებოდა მთლიანად. აი, რას ნიშნავს ცხადად უფლის წარმოდგენა, შეგნება მისი მუნყოფობისა!

სულს ჩემო, თუკი შენზე მაღლა მდგომი ადამიანისათვის ვერ გიკადრებია დაუდევარი საუბარიო, ეუბნებოდა იგი თავის თავს, უფალს როგორღა უკადნიერდებო. კეთილნაყოფიერი ლოცვის აუცილებელი პირობაა მთელი ნებისყოფით მოკრებილი ყურადღების მიპყრობა ღმრთისაკენ.

ლოცვისას, კაცის გულს ხშირად ეხდება ხოლმე ბოროტი ზრახვა, გზნება მრავალი. ასეთ დროს, მათ შემდეგი აზრით უნდა დაუპირისპირდე; მხოლოდ ღმერთთა ჩემთვის ყველაფერი. ავადყოფობასა, მწუხარებასა და უბედურებაში კი შეახსენე საკუთარ თავს: ღმერთთა ძალი შენი და შენით ვერაფერს დაითმენ.

### ჭეშმარიტი ლოცვის პირობები.

ჭეშმარიტი ლოცვის მამიებელთ, როგორც წესი, ლოცვაშივე ეწევათ ხოლმე მრავალი განსაცდელი. არასწორად მლოცველთ, მათი რიცხვი კი ბევრად მეტია, სრულიად აკმაყოფილებთ საკუთარი ლოცვა; მათ არ იციან არსი ჭეშმარიტი ლოცვისა და არც ეძიებენ მას. ბევრ ადამიანს ჩვევადაც კი ექცა ეს მდგარი ლოცვა. ისინი თავად ვერ ამჩნევენ ამას, არც სურთ შეამჩნიონ, რადგან ვერ იტანენ მხილებას, არ ეპუებან მამხილებლებს. ასეთ მდგომარეობაზე ისინი ერთბაშად კი არ მიდიან, არამედ თანდათან. პირველად შეიძლება ის გულით ლოცულობდა, მაგრამ გულითადი ლოცვა მძიმე შრომაა, რომლისთვისაც საჭიროა საკუთარი თავის იძულება. აკი ნათქვამია: „სასუფეველი ცათა იძულების“ (მთ. 11,12) ზოგი ამას კი აღარ ცდილობს და იწყება ლოცვების სიტყვების მეტყველება მხოლოდ ბაგეებით, რადგან ასეთი ლოცვა ბევრად იოლია. ამას ემატება ხორცისა და ეშმაკის გაძლიერებული ბრძოლა, ამიტომაც ვეღარ მიდის სიტყვის ძალა გულთან. ასეთები ბევრნი არიან. მათ შესახებ უფალი ამბობს: „მახლობელ არს ჩემდა ერი ესე პირითა მათითა და ბავითა მათითა პატივ—მცემს მე, ხოლო გულნი მათნი შორს განშორებულ არიან ჩემგან (მთ. 15,8).

როგორ პირობებს თხოულობს მლოცველისაგან ჭეშმარიტი ლოცვა?

ა) ლოცვისას ცოცხალი სარწმუნოებაა მთავარი. უბრალოდ, შეუორგულდებლად. უნდა ითხოვდე; უნდა ითხოვდე არა მარტო შენთვის, არამედ ყველა მორწმუნისათვის, ეკლესიის მთლიანი სხეულისათვის, როგორც ნაწილი ამ სხეულისა. ითხოვდე ზეციურ და ქვეყნიურ ნიჭთაგან. და მამა ზეციერი, მოსიყვარულე ყოველთა, აგავსებს უდიდესი მშვიდობითა.

ბ) აუცილებელია, აგრეთვე გაგაჩნდეს ურყევი სასოება ღმრთის შეწყვენისა. ჩვენი იმედი ღვთის უსაზღვრო მოწყალებას ემყარება. უნდა გვახსოვდეს და გავიხსენ-



ნოთ ურიცხვი მაგალითები ღვთაებრივი სახიერებისა და მოწყალებისა წმიდა წერილიდან, წმიდათა ცხოვრებიდან, სხვა ადამიანებისა და ჩვენივე ცხოვრებიდანაც. უკველივე ამის ხსოვნა კეთილად წარმართავს ჩვენს ღოცებს. და მას, რასაც ჩვენ ღვთისაგან ვღებულობთ საკუთარი თავისათვის, ყოველთვის უშუალოდ უფალს, მის მადლს უნდა მივაწეროთ და არა რაიმე შემთხვევას. სამყაროში, რომელსაც ღვთაებრივი განგება მართავს, შემთხვევითობა გამორიცხულია: „თუნიერ მისა არცა ერთი რაჲ იქმნა, რაოდენი-რაჲ იქმნა“ (ინ. 1,3). ბევრს იხიცი ერვენება, ღოცვის შედეგად არ ძისრულდება ნათხოვნიო და ღოცვასაც ანებებს თავს. ამბობენ, ღმერთმა წვენს ღოცვამდე იცისო ყველაფერი და ავიწყდებათ ნათქვამი: „ითხოვდით და მოგეცეს თქუენ; ეძიებდით, და მოუოთ; ირეკდით, და განგელოს თქუენ; (მათ. 7,7). წვენი ღოცვა-ვედრება ჩვენივე რწმენის გასაძლიერებლადაა საჭირო და ცხოვრებაც მხოლოდ ამგვარადაა შესაძლებელი: „რამეთუ მადლითა ხართ გამოხსნილ სარწმუნოებისა მიერ“ (ეფეს. 2,8) და კიდევ: „ჰოი, დედაცაცო! დიდ არს სარწმუნობამა ევე შენი“. მაცხოვარმა ძლიერი ვედრება მოსთხოვა ქალს, რათა მასში ამით უფრო მეტად გაედრებინა რწმენა, გაეძლიერებინა იგი. ხშირად ვერ ხედავენ, რომ მათ არ გააჩნიათ დიდი რწმენა, ღირსება ქრისტიანისა, რომელიც სიცოცხლისათვის აუცილებელია. ვერ ხედავენ, რომ საკუთარი ურწმუნოებით უარვან ღმერთს და შეიქმნებიან ძედ ეშმაკისა. ვერ ხედავენ საკუთარ დაღუპვას და აღარ ეძლევათ ღვთისაგან წალობა.

ჭეშმარიტი ღოცვისას, ღვთის სიყვარული უნდა ენთოს გულში; ღმერთი ისმენს ასეთი გულის ყველა ღოცვას. „უკეთუ თქუენ უკეთურთა, იცით მისაცემელი კეთილი მიცემად შვილთა თქუენტა, რაოდენ უფროსლა მაჰამან თქუენმან მოსცეს კეთილი, რომელნი სთხოვდენ მას! (მათ. 7,11).

გ) ზეციური დედოფლის, ღვთისმშობლის წინაშე სალოცავად განმზადებულს ღოცვის დაწვებამდე, ურყევად გვამდეს მისი შემწეობისა და წყალობისა. იგი მშობელია ყოვლადმოწყალე ღმრთის და სიტყვისა, ურიცხვი და განუზომელია მისი მოწყალება, ზეციურნი და მთელი კვლესია, ამას უგალობს მას. იგი უფსკრულია სახიერებისა და წყალობისა. მის წინაშე მტკიცე რწმენის გარეშე ღოცვა უგნურება და კანდიერება. ეჭვგარეული ღოცვა შეურაცხყოფს მის სახიერებას. როგორ მიისწრაფვიან იმ კაცისაკენ, რომელმაც მრავალჯერ დაამტკიცა თავისი გულმოწყალება? ხომ მშვიდი და იმედიაანია ასეთ კაცთან მიმავალი, დარწმუნებულია მის შეწვევაში და იმიტომ. ხოლო უფლისა და ღვთისმშობლის წინაშე მლოცველს გაცილებით მტკიცე რწმენა უნდა გააჩნდეს მისი შემწეობისა.


დ) ღვთისმშობლისა და წმიდანების წინაშე მლოცველს, მოეცემა გულისაებრ თვისისა (მოგეცინ შენ უფალმან გულისაებრ შენისა); პირფერობისაგან მოწყვეტილს, რწმენით, მთელი გულით, გულწრფელად მლოცველს, ნიჭი ღვთისაც, შესაბამისად ეძლევა. და პირიქით, რამდენადაც ცივი, მცირედმორწმუნე და პირფერია გული, იმდენად უსარგებლოა ღოცვა და განარისხებს კიდევ უფალს, რადგან იგი ეძიებს „თაჯვანის-მცემელთა მისთა სულითა და ჭეშმარიტებითა“ (მნ. 4,24). უფალს,

ღვთისმშობელს, ანგელოზებსა და წმიდანებს მთელი გულით უნდა მიმართავდე. როცა სხვებისათვის, ცოცხლებისათვის ან გარდაცვლილებისათვის ღოცულობ, მათი სახელები გულის სიღრმიდან წრფელი სიყვარულით ამოთქვი და გულწრფელად ითხოვე მათთვის ნიჭი ღვთისაგან. ღოცვისას, მტკიცედ უნდა გქონდეს გაღაწვეტილი — მოცილდე ვნებას, ცოდვასა თუ მავნე ჩვევას. ასევე, გულწრფელად უნდა გსურდეს, რომ სხვაც, ვისზედაც ღოცულობ, გათავისუფლდეს ვნებათა ცოდვათაგან და, ღმერთი აღგისრულებს წაღილს „რაიცა გინდეს, ითხოვდეთ, და გეყოს თქუენ“ (ინ. 15) ასე რომ, ნამდვილად, ძლიერად უნდა გწადდეს ის, რასაც ითხოვ სხვისათვის. „ულოცვედით ურთიერთსა, რათა განიკურნეთ“ (იაკ. 5; 16) ღვთის, ღვთისმშობლის, ანგელოზებისა და წმიდანების წინაშე მლოცველებმა მთელი გულსიყური მათ უნდა მიაპყროს. ამ დროს, გონებამ სრულიად უნდა დაუტევოს ამაო საზრუნავი ამა სოფლისა.

ვ) ღოცვისას, დიდი ყურადღება გვმართებს სიტყვებისადმი. ბევრნი, ღოცვის ნაცნობ სიტყვებს ნაჩქარევად, უგულისხმოდ იმეორებენ. ამ სიტყვებს დიდი ძალა აქვს, მათი წარმოთქმა უნდა ხდებოდეს გონებისა და გულის დატანებით, შეგნებით. მხოლოდ ასეთნაირად წარმოთქმული ღოცვის სიტყვებს მოაქვთ ნაყოფი: თუ ღოცვისას სიცივე, უხალისობა მოგეძალა — შეჩერდი. გამთავზიზღე შენი გული და გონება საკუთარი სულიერი სიდატაკის, სიგლახაკისა და სიბრმავის ცოცხალი შეგრძნებით. ანდა გაიხსენე, რა უსაზღვროდ წყალობს უფალი ადამის მოდგმას, განსაკუთრებით ქრისტეს კვლესიას და პირადად შენ. მერე გააგრძელე ღოცვა, მშვიდად, აუჩქარებლად. არაა დიდი დანაშაული, ყველა ღოცვის წაკითხვა თუ ვერ მოასწარი. მრავლისმეტყველების გამო არ ეძლევა კაცს ღვთის წყალობა, აკი ამბობს პავლე მოციქული: „მნებავს ხეთ სიტყუა გონებითა ჩემითა სიტყუად, ვიდრე ბევრითა სიტყუათა ენითა“ (1 კორ. 14—19) ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ხანგრძლივი ღოცვა უსარგებლო იყოს. უფალი მოხედავს მოდგაწევებს, მის წინაშე ხანგრძლივად მვედრებლებს. კარგია ხანგრძლივი, განუწყვეტელი ღოცვა, ღვაებრივი შუქი და მშვიდობა ეფინება ამ დროს სულს, მაგრამ „არა ყოველთა დაიტონ სიტყუაჲ ევე; არამედ რომელთა და მოცემულ არს“ (მათ. 19, 11,12).

ზ) კარგია, თუკი საკუთარი სიტყვებითაც მივმართავთ ღოცვისას უფალს. სხვის სიტყვებს რაღაცნაირად ვეჩვევით და ვცივდებით მათ მიმართ. ჩვენი უბრალო სიტყვებიც, მოსიყვარულე მორწმუნე გულიდან ამოთქმული სათნოდ უჩნს უფალს. ასეთი ღოცვა უფრო წრფელია, გონებაც გულს მისდევს, ნაკლებად ეძება ფუჭისა და ამბოს ზრუნვა, ეს ღოცვა უმაღლესად უფლის ყურამდე.

აღამიანში გულია მთავარი. უფრო მეტიც: აღამიანის არსი გულშია. ამიტომაც არაგულითად ღოცვასა და ყველანაირი ღვთისმსახურებას არ შეიწირავს უფალი. რადგან, ღმერთს, გული სურს ჩვენი — „მომეც მე, შვილო გული შენი“ (იგვ. 23,26) უსულგულო ღვთის მსახურებასა და ღოცვაზე ამბობს უფალი: „მახლობელ არს ჩემდაერი ესე, პირითა მათითა და ბავითა მათითა პტივეცემს მე, ხოლო გულნი მათნი შორს განშორებულ არიან ჩემგან (მათ. 15,18).



# ქ ა ლ ა ბ მ ბ ა ნ ი ...

## ს წ ა ვ ლ ა ნ ი

### შეღები შვილის კვირას

ქრისტეს მიერ საყვარელნო! დღევანდელ დღეს წმიდა კვლესია კიდევ ერთხელ იხსენებს სახარებისეულ იგავს უძღვები შვილის შესახებ. დღეს ჩვენ კიდევ ერთხელ ვხვდებით მოწმენი ერთი შეძლებული კაცის ოჯახში დატრიალებული ამბის: მამა ევლებოდა თავის ორ ვაჟი-შვილს, არაფერს იშურებდა მათი ბედნიერებისათვის. ხარობდა მოხუცი შვილების კეთილდღეობით; მაგრამ ერთ დღეს უსიამო ამბავმა აუფორიაქა გული: ცალკე მინდა ვიცხოვრო — გამოუცხადებს მას უმცროსი შვილი. მშობელმა იცოდა, რა მოელოდა შვილს, სამშობლოდან გადახვეწილს, და შესთხოვა კიდევ, ამოეღო გულიდან აზრი სახლიდან წასვლისა. მაგრამ შვილმა არ დაიშალა და მამაც იძულებული გახდა მიეცა მისთვის მთელი თავისი ქონების ნახევარი. შვილმა მიიღო მამისეული მონაგებიდან თავისი კუთვნილი და გაემგზავრა შორეულ ქვეყნებში, იწყო ცხოვრება მიწიერი და აღვირახსნილი. გაფლანგა მამისაგან მიცემული სიმდიდრე და უკიდურეს სიღატაკეში ჩავარდა. ფუფუნებასა და სიმდიდრეში გაზრდილმა იწყო ღორების მწყესობა და მათივე საკვებით მათთან ერთად იკვებებოდა. ასეთ სიმწარეში ბოლოს ჩაუფიქრდა თავის მძიმე მდგომარეობას და აეხილა თვალი. მიხვდა, რა დიდი შეცდომა დაუშვა მამისეული სახლიდან წასვლით და ბედნიერი და მშვიდი ცხოვრების დატკეპით. მწარე სინანულმა დაისადგურა მის სულსა და გულში. გაიხსენა ფუჭად გაფლანგული დრო და სიმდიდრე ქვეყნიური. ჯოჯოხეთური ტკივილები განიცადა მიუღ სხეულში. რამდენი წყალობა ჰქონია ბოძებული და რა უცებ დაუკარგია ყოველი. ეხლა მიხვდა ყველაფერს. უკანასკნელი მსახურიც კი ბევრად აღემატებოდა მას, უწესო ცხოვრებით გაძარცვულს, დამდაბლებულს. და ამოუშვა ქვითინი, რა ქნას, როგორ მოიქცეს, ვინ გაუკებს, ან ვინ მოუსმენს უწმიდურ პირუტყვებზე მეტად შერყვნილს? შეძლებს კი ვინმე მკურნალობას მისი წყლულების და პატიებას შეცდომების? ისევ მამისეულ სახლისაკენ გაუწევს გული. უნდა როგორმე გაბედოს და დაბრუნდეს მამასთან სახლში. მხოლოდ მას შეიძლება თხოვოს პატიება შეცდომების. მხოლოდ იგი შესძლებს გაგებას მისი მდგომარეობის. მაგრამ

როგორ მივიდეს, მან ხომ არ ისმინა კეთილი რჩევანი მისი, მიმოფანტა ქონება მამისეული და უკიდურეს გაჭირვებაში ჩაიგდო თავი თვისი. როგორ უნდა გამოცხადდეს მასთან? იგი ნამდვილად აღარ არის ღირსი შვილად წოდების, მაშ რა ქნას, რანაირად წარდგეს იმის წინაშე, რომელიც შეძლებს პატრონობას მისი შერყვნილი და დამდაბლებული სულისა და სხეულის? და აი, ახსენდება უძღვები შვილს, რომ მამამისს მრავლად ემსახურებიან მონანი. იქნებ წარუდგეს იგიც, როგორც უკანასკნელი მსახური და მონა მისი? იქნებ ამით მინც გამოხატოს სინანული და წუხილი დიდი, დაკარგული ბედნიერებით გამოწვეული? მოეწონა ეს აზრი და გადაწყვიტა სისრულეში მოეყვანა. მაშინვე მიატოვა იქაურობა და მამისეულ საყოფელოში დაბრუნდა. მამამ შეიტყო რა დაკარგული შვილის დაბრუნება, თვალცრემლიანი გამოეგება, მოეხვია და გულში ჩაიხუტა. დარცხვენელმა შვილმა მდაბლად მოახსენა: მამაჩემო, ვცოდე ლთვისა და შენს წინაშე. მე შენი შვილად წოდების აღარ ვარ ღირსი. ამიტომ მიმიღე, როგორც უკანასკნელი მსახური შენი. შვილის გულწრფელი აღსარებით კიდევ უფრო გაიხარებს მშობელი და უბრძანებს მსახურთ შემოსონ იგი ძვირფასი სამოსელით და გადაიხადონ ღვინო. ხარობს მოხუცი მამის გული. ხედავს დაკარგულსა და დადუღულ შვილს, მშობიურ სახლში დაბრუნებულს და აღდგომილს მკვდრეთით. მამის სიხარული ვერ გაიზიარა მხოლოდ უფროსმა ვაჟიშვილმა. მოხუცი მამა შეატყობს რა უფროს შვილს წუხილს, დაუყვავებს და ეტყვის: „გაიხარე, შვილო, შენ მუდამ ჩემთან იყავი, მამა შენი კი მკვდარი გვეგონა, დაგვიბრუნდა და აღსდგა მკვდრეთით; ამიტომ გვმართებს დღეს შეება და სიხარული.“ ასე და ამგვარად დაუბრუნდა მამას ურჩი და უძღვები შვილი. დაბრუნდა მშობლიურ სახლში კაცი მონანული და დამდაბლებული.

საყვარელნო, დიდია ამ იგავში მოცემული სწავლების აზრი. მოწალე მამა — ეს უფალი ღმერთია, შვილები კი ჩვენ, ცოდვილნი და უმეცარნი. ღმერთო დიდებულო, რა საკვირველადაა მოთხრობილი იგავი ესე სახარებაში. ყველაფერი ჩვენზეა თქმული. ვინ იცის, უფალო, რამდენჯერ გავგჩენია სურვილი შენგან განდგომის? ვინ მო-

თვლის, რამდენჯერ გადავსულვართ შენს მცნებებს და ჩაემირულვართ ამოების ჭაობში. შემდეგ რამდენჯერ მოვსულვართ გონს, დაგვიტევებია საქმე იგი სულისა და გონების წარმწყმედელი და მიგვიმართავს ისევ ყოველად კეთილი და სახიერი ღმერთისათვის. შენ კი, უფალო, როგორც მოწყალე მამას, არასოდეს გიკრავს ხელი, არ გიგრძნობინებია სიძულვილი და ზიზღი ჩვენ ცოდვილთათვის, ყოველთვის სიხარულით მიგიღია ჩვენი გულწრფელი სინანული და დიდი სულგრძელებით გიპატიებია დანაშაული.

## მეზვერისა და ფარისევლის კვირა

„როგელან აღიმაღლოს თავი თჳსი, იგი აღამაღლდეს,  
და როგელან დაიმდალოს თავი თჳსი, იგი ამაღლდეს“  
(ლკ. 18,14).

ქრისტეს მიერ საყვარელნო! დღეს წმიდა ეკლესიამ გაგვახსენა იგავი მეზვერისა და ფარისევლისა, რომლის შინაარსიც ასეთია:

ორი კაცი, ფარისევლი და მეზვერე, ე. ი. გადასახად-თა ამერეფი, შევიდა ტაძარში სალოცავად. წინ მდგომი ფარისევლი ამბობდა: გმადლობ ღმერთო, რამეთუ არა ვარ მტაცებელი და მეძრუმი, როგორც ეს მეზვერე; კვირაში ორგზის ვმარხულობ და მონაგებისაგან ვწირავ მეთაღსო. უკან მდგომი მეზვერე კი ზევით ახედვასაც ვერ ბედავდა თავისი ცოდვილი მდგომარეობის გამო და მკერდზე ხელის ცემით ამბობდა: ღმერთო, მილხინე მე ცოდვილსაო. მეზვერე ტაძრიდან გამოვიდა გამართლებული, ფარისევლი კი ცოდვით დამძიმებული, რადგან განიკითხა მოყვასი თვისი და დაამდაბლა.

შევეცადეთ ჩაეწვდეთ აღნიშნული იგავის სიღრმეს: ფარისევლი, თუ მის ნათქვამს დავუჯერებთ, ღვთის მცნებათა დამცველი იყო. მარხულობდა ზომიერად მეტს, მეთაღს მთელი თავისი მონაგებისა სხვებს აძლევდა და ყოველივე ამისათვის ღმერთსაც მადლობდა. მიუხედავად ამისა, იგი ღვთის მართლმსაჯულებით გამტყუნდა. ბუნებრივია, იბადება კითხვა: რატომ გაამტყუნა ღმერთმა ფარისევლი და რატომ გაამართლა ცოდვილი მეზვერე? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა გავარკვიოთ, თუ რა არის საერთოდ ფარისევლობა: ფარისევლობა ერთ-ერთი უსაშინლესი ცოდვათაგანია. ქვეყნად მხელად მოიპოვება კაცი, ამ ცოდვაში რაღაცნაირად რომ არ იყოს გარეული. ფარისევლობის არსი მდგომარეობს შემდეგში: ხშირად აღამიანი გარეგნული მოჩვენებითი სიკეთითა და სიმშვიდით ფარავს თავის შინაგან ბოროტებას. ასეთი აღამიანი გარეგნულად გამოიყურება, როგორც კეთილი და პატიოსანი, მაშინ, როცა გული მისი სავსეა ათასგვარი სისამაგლით. ზოგჯერ მორწმუნე აღამიანიც კი ატარებს სათნოების ნიღაბს, როცა სინამდვილეში შორსაა სათნოებისაგან. ასე რომ, საყვარელნო, ჩვენც ხშირად ვემსგავსებით ფარისევლებს. ვინ მოთვლის, რამდენჯერ გაგვიმართლებია საკუთარი თავი, სხვა კი გაგვიმტყუნებია! ჰოი კაცო, შენ თავი მიგა-

ამიტომ საყვარელნო, რომელნიც განვშორებივართ მოწყალე მამას, ნიჭი და სიკეთე მისგან მოცემული უნურ ცხოვრებაში გაგვიბნევიან, დავუტყევთ ბიწი და ჭუჭუი, მივიტყევთ ისევ უფლისადმი და აღვუაროთ ცოდვანი ჩვენი. უძლები შეილის მსგავსად დავიმდაბლოთ თავი და მოვიპოვოთ გულწრფელი სინანული, რომ მონანულთ მოგვეცეს გამართლება უფლისა მიერ, უფლისა, რომელსა ვშვენის დიდება და სიხარული უკუნიითი უკუნი-სამდე, ამინ!

ჩნია სხვაზე უკეთესად და ამით ამაყობ, როცა შენზე ბევრად ძლიერნი და უკეთესნი არსებობენ ქვეყანაზე? რატომ ადარებ შენ თავს ცოდვილ აღამიანს, აბა სცადე და წაუყენე საკუთარ თავს ის მოთხოვნები, რაც მუდამ ამკობდა მაღალი სულის აღამიანს და მიხვდები, ფუჭი და დამღუპველია დიდობა და მაღლა დგომა შენი.

ფარისევლი იმიტომ გამტყუნდა, რომ სიამაყით განიკითხა სხვები. მან არა მარტო სხვებზე მაღლა დააყენა თავი, არამედ ავად მოიხსენია ცოდვილი მეზვერე და ქედმაღლურად განიცხა იგი. როგორ ბედავ, ცოდვილო აღამიანო, სხვის გასამართლებას? ვინ მოცა ამისი უფლება? უფალი ხომ პირდაპირ გვიკრძალავს მოყვასის განსჯას: „ნუ განიკითხავთ, რათა არ განიკითხნეთ“. გახსოვდეთ, საყვარელნო, რომ ერთი კანონმდებელი და ყველას მსაჯული — უფალი და ღმერთი, გამწენი და მზრუნველი მამა ჩვენი. მართალია, შენ გაქვს მინიჭებული უფლება სიმართლისა, მაგრამ ვისზე? — მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავზე. შენი თავი განიკითხე და გაასამართლე, ცხოვრობ თუ არა ღვთის მცნებათა მიხედვით, აი უმთავრესი, რაზეც უნდა ზრუნავდეს ყოველი ქრისტიანი.

ქრისტეს მიერ საყვარელნო, ალბათ შეგიმჩნევიათ, თუ როგორ იცვლის ბუნება ფერს უფლის ფერისცვალების შემდგომ: ღამაზი, ცოცხალი, მხიარული ფერები ზაფხულისა იცვლება შემოდგომის სევდიანი ფერებით, რაც ზამთრის მოახლოებაზე მიანიშნებს. დღევანდელი კითხული სახარება, მორწმუნეებს გვამცნებს დიდი მარხვის მოახლოებას და სინანულის სამოსლით შემოსვი-საკენ მოგვიწოდებს ყველას. როგორია ეს სამოსელი? ეს ის სამოსელია, რითაც იყო შემოსილი ტაძარში მდგომი, ცოდვილი მეზვერის სული; მეზვერისა, რომელიც მიხვდა თავის ცოდვებს, წარმოიდგინა უძმომესი სასჯელი, ღვთისაგან რომ ელოდა მას და შიში და პრწოლა დაეუფლა. მეზვერემ იცის, რომ ღმერთს, რომელიც მან შეურაცხყო, შეუძლია მისი გადარჩენა და მიმართავს თვალცრემლიანი: „ღმერთო, მილხინე მე ცოდვილსა

ამას!“ რამოდენა აზრია ჩაქსოვილი ამ სიტყვებში. აქ არ არის მარტო თხოვნა-შეწყალება პატიებისა. აქ უპირველეს ყოვლისა, ადგილი აქვს საკუთარი უსუსურობისა და უმწყოების აღიარებას. მეზვერეს რომ არ შეეგნო მთელი სიცხადით თავისი ცოდვების სიმძიმე, რომ არ შეეცნო საკუთარი სიმდაბლე, მაშინ არც ასე გულწრფელი სინანული დაეუფლებოდა და სინანულის გარეშე ხომ უფალიც არ შეიწყნარებდა მას.

სინანული — აი საითკენ გვიბიძგებს ყველას წმიდა ეკლესია. ალბათ გაიგონეთ, ეკლესია უკვე გალობს სინანულის საგალობელს: „მსწრაფლ განუხვენ სინანულისა ბჭენი სულსა ჩემსა, ცხოვრების მომცემელო“. წარდგნამდე ხსნისათვის მხოლოდ ერთი კარი არსებობდა, — ეს იყო კარი ნოეს კიდობნისა; ერთი კარი არსე-

ბობს დღესაც ცოდვის წარდგნისაგან სახსნელად — ეს არის კარი სინანულისა. ამიტომ ნუღარ დააყოვნებთ სინანულს. ზაქე უკვე იხანებს უფლის წინაშე და ცდილობს თავის გამართლებას, მეზვერე გულზე იცემს ხელს და მწარედ დასტირის თავის ცოდვებს. შენ რაღას უღეგებარ, დაიმდაბლე თავი და შექადაგე უფალს... „ღმერთო, მილხინე ცოდვილსა ამას და შემიწყალე მე“.

შევთხოვთ უფალს, რომ მოგვანიჭოს განცდა საკუთარი ცოდვებისა და არა განკითხვა მოყვასისა, რათა მოვიპოვოთ გამართლება უფლისძვიერი, რომლისა არს დიდება და პატივისცემა უკუნითი, უკუნისამდე, ამინ!

უბისკობისი ზონიძე (შოთაშვილი)

## მღვდლის იდეალი

(ა რ ძ ი ვ ი ღ ა ნ)

იოანე სიმონის ძე ლუკაშვილი დაიბადა 1877 წელს სოფ. ბერაშუეთში. მისი მამა სიმონ ლუკაშვილი სოფელ ბერაშუეთის მღვდელი იყო.

თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ იოანე ლუკაშვილი ეკურთხა მღვდლად და დაინიშნა თიანეთში. დეკანოზად კურთხევის შემდეგ გადავიდა ჯერ საგურამოში, შემდეგ თბილისში, ანჩისხატის ტაძრის წინამძღვრად, საბოლოოდ კი მოღვაწეობდა წმიდანის ეკლესიაში. (კუკიახე).

1945 წელს მას ებოძა მიტრა.

გარდაიცვალა 1959 წელს. დაკრძალულია წმიდა ნინოს ეკლესიასთან ახლოს, კუკიის სასაფლაოზე.

აღსანიშნავია, რომ დეკანოზი იყო მისი მამც, ზაქარია ლუკაშვილი, რომელიც პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა და რომლის კალამს

ეკუთვნის არა ერთი ქადაგება, წერილი თუ მოგონება. ზაქარია ლუკაშვილის სიმაზრი იყო არქიმანდრიტი მაკარი.

ზაქარია და იოანე ლუკაშვილების სიძე ნიკიტა მაღაქიას ძე თალაკვაძეც (წარმოშობით სასულიერო ტრადიციის ოჯახიდან) დეკანოზი იყო, ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას. იყო შესანიშნავი მოქადაგე.

იოანე სიმონის ძე ლუკაშვილი არაერთი ორიგინალური თხზულების ავტორი და ჩინებული მთარგმნელია. მისი თხზულებებიდან აღსანიშნავია: „აპოლოგია ქრისტიანობისა“, „მღვდლის კინაობა“ და სხვა; თარგმანებიდან: ლობუხინის ფარარის, სენკვიჩის ნაწარმოებები. აღსანიშნავია მისი დაუდღაღვი შრომა ლექსიკოლოგიის საქმეშიც.

XXX

ცხადი ჭეშმარიტებაა, რომ ყოველივე საკითხის ახსნა-განმარტებას ჩვენ უნდა მივუდგეთ ქრისტიანულის თვალსაზრისით; ესე იგი, იმ თვალსაზრისით, როგორც განმარტავდა თვით ქრისტე მაცხოვარი, რომელიც ჩვენთვის ყოველივე საქმეში არის ალფა და ომეგა, არის უმაღლესი მისაბამი იდეალი. ამიტომ მღვდლის იდეალის დასახვაშიც, პირველ ყოვლისა, უნდა წარმოვიდგინოთ ის სახე მღვდლისა, რომელიც მან მოგვცა თავისი მოძღვრებით და ცხოვრებით. მაცხოვარმა იესო ქრისტემ თვითონ უწოდა თავის თავს „მ წ ყ ე მ ს ი კ ე თ ი ღ ი“, რომელიც სულსა თავისა დასდებს ცხოვართათვის (იოან. 10,11,14-15), წინააღმდეგ მწყემსისა, სასყიდლით დადგინებულია, რომელიც დაუღვერად ექცევა ცხვრებს და სტოვებს მათ თავიანთ ანაბარა საშიშროების გამოჩენაზე.

თუ რა დიდი ყურადღება აქვს მაცხოვარს მიქცეული სულიერ ცხოვართა დამწყვავაზე — სჩანს იქიდან, რომ, შემდგომ მკვდრეთით აღდგომისა თვისისა, როდესაც მან ჰკითხა შეცთომილ პეტრე მოციქულს: „სიმონ-იონაზო! გიყვარ შეა?“ მიიღო რა დადებითი პასუხი, მაცხოვარმა უბრძანა: „და მ წ ყ ე მ ს ე ნ ც ხ ვ ა რ ნ ი ჩ ე მ ნ ი“. (იოან. 21,15-17).

თვისება იმ მზრუნველობისა, რომელსაც უნდა იჩენდეს მღვდელი თავის საშწესოზე, მაცხოვარმა გამოსახა ნაზის გულისმომწყველელობით იგავში მწყემსზე, რომელსაც ჰყავდა ასი ცხვარი; ერთი ცხვარი ასცდა გზას და დაიკარგა. მწყემსი ტოვებს 99 ცხვარს უდაბნოში, და მიდის სამებნელად გზა-აბნეულისა, და არ მოისვენებს მანამდის, სანამ არ იპოვნის დაკარგულ ცხვარს, ხოლო

როდესაც იპოვნის, სიხარულით და მზრუნველობით შეისვენებს მხარზე, მიიყვანს შინ, დაუძახებს მეგობრებს და შეზობლებს, რომ გაიხარონ მასთან, დაკარგული ცხვრის პოვნაზე (ლუკ. 15,4-6).

მაცხოვარმა არა მარტო სიტყვით წარმოგვიდგინა

ჩვენ კეთილი მწყემსის იდეალი, არამედ სინამდვილეზე-დაც სავსებით განახორციელა იგი: მისი ქვეყნიური ცხოვრება იყო მთლად თავგანწირული მსახურება ქვეყნის საკეთილ-დღეოდ, უბედურთა მძიმე ტვირთის შესამსუბუქებლად...

### მომზადება მღვდელობისათვის

ჩვენ რომ დავსახოთ იდეალი მღვდლისა, საკმარისი არ იქნება, რომ ავიღოთ მღვდელი ერთს რომელიმე მომენტში. იგი უნდა გავშინჯოთ ჩვენ თავიდანვე, მანამ ის მღვდელობას შეიმოსავდეს. იგი უნდა იყვეს ამ სამსახურისათვის ჯეროვანად მომზადებული, და ზნეობრივის თვისებებით შეესაბამებოდეს მღვდლის მაღალ თანამდებობას.

საჭიროება ჯეროვანის მომზადებისა მღვდელობისათვის მუდამ ჰქონდა ეკლესიას გათვალისწინებული. მაცხოვარმა, მართალია, უბრალო და უსწავლელი ადამიანები ამოირჩია მოციქულებად, მაგრამ ისინი უცებ არ შესდგომიან თავიანთ თანამდებობის შესრულებას. ისინი სამი წლის განმავლობაში ისმენდნენ ღვთაებრივ მოძღვრებას მაცხოვრის პირიდან, და ამნაირათ ემზადებოდნენ მოციქულობის ღვაწლისათვის. სწავს, რომ ხანგრძლივი განსწავლა და მომზადება საჭირო იყო მოციქულებისათვის. თავის მხრივ მოციქულებიც ასწავლიდნენ და ამზადებდნენ თავიანთ მოადგილეებს. მაგალითად,

პავლე მოციქულმა აირჩია ტიმოთე ეკლესიის მსახურებაზე იმის შემდეგ, როცა იგი საკმაოდ განსწავლა და დარწმუნდა მის ღირსებაში. მოციქულების შემდეგ, მათი მოადგილეებიც ასევე იქცეოდნენ. ეს ცხადია, თავის-თავად: თუ მღვდელი თითონ განსწავლული არ არის, სხვას აბა რას ასწავლის? იგი უნდა იყვეს განსწავლული არა მარტო ღვთისმეტყველურად, მეცნიერულადაც. მეტადრე თანამედროვე ცხოვრებაში, როდესაც ურწმუნოება ყოველის მხრიდან ესხმის სარწმუნოებას და სცილილობს მის გაქარწყლებას, — ფრიად საჭიროა, რომ მღვდელი იყვეს უაღრესად განათლებული მეცნიერულის მხრივ, რომ მან შესძლოს შესაფერისი პასუხის მიცემა ყოველივე შეკითხვაზე, და დაიცვას სარწმუნოების ტეშმარტივბანი. ფრიად სასურველია, რომ მღვდელი (უფრო-კი სოფლისა) იყვეს განსწავლული მედიცინაში, რომ, სულიერ მკურნალობასთან ერთად, შეძლოს გასწიოს ხორციელი ავადმყოფობის წინააღმდეგაც ბრძოლა და შესაფერისი რჩევის მიცემა სნეულისათვის.

### მღვდლის ზნეობრივი პიროვნება

მღვდლის სამსახურის საქმეში პიროვნება მღვდლისა განუყოფელია მისი მოვალეობიდან. მღვდლისაგან მოითხოვება, რომ ზნეობრივი პირადი ხასიათით და ყოფა-ქცევით სრულიად ეთანხმებოდეს თავის მაღალ მოწოდებას. კერძო ცხოვრება მღვდლისა და მისი მსახურების მდგომარეობა ერთმანეთთან ისე არიან შეკავშირებული, რომ ძნელია მათი განშორება, თუ უნდა მღვდელს, რომ სამწყსოში ავტორიტეტი და გავლენა ჰქონდეს, თორემ ისევე მოუვა მას ხალხის თვალში, რაც ექიმს, რომელზედაც ნათქვამია: „ექიმო! ჯერ შენი თავი განიკურნო“... როდესაც მსჯელობენ მღვდელზე, რომ იგი შეესაბამება თავის თანამდებობას, თუ არა — მხედველობაში აქვთ არა მხოლოდ ის, თუ რა-ნაირად ასრულებს იგი თავის მოვალეობას, თავის სამსახურს, არამედ ისიც, თუ როგორია იგი თავის-თავად, პირადი ზნეობრივი ხასიათით, ყოფა-ქცევით და ოჯახში ქცევით. სხვა რომელიმე სამსახურში ადამიანის პირადი ცხოვრება და სამსახურებრივი მოქმედება შეიძლება გაყოფილი იყვნენ ერთმანეთისაგან, და ნაკლულევაგანები ერთის მხარისა არსებითად არ ავნებდნენ მეორე მხარის ღირსებას. მაგალითად, კაცი შეიძლება იყვეს კარგი

დახელოვნებული ექიმი, მაგრამ არ იყვეს იგი კეთილ-ზნეობის პატრონი; იყოს კარგი მოხელე, მკერმეტყველი ვექილი, ან სხვა რაიმე ხელობისა, მაგრამ — ცუდი მეოჯახე და საეჭვო ზნეობის მექონე. მღვდლის სამსახურში-კი სრულებით არ არის ასე. თვითუფილი მისი კერძო ზნეობრივი ნაკლულევაგანება წარმოადგენს წინააღმდეგობას მისი თანამდებობისას, ამცირებს მის მაღალ მოწოდებას და აძლევს სხვებს საბუთს — ილაპარაკონ, რომ მღვდელი თავის მოწოდების სიმადლეზე არა სდგას. პირიქით, კეთილი, პატრონი სურვილი ყოფა-ქცევა, პირადი უმანკო (ხასიათი და მხურვალი სარწმუნოებრივი გრძობა) — აი, ის თვისებანი, რომლებიც პირდაპირ მოითხოვებიან მღვდლისაგან, როგორც უმეტესი კუთვნილება მისი სამსახურისა.

ასეთი მნიშვნელობა პირადი ხასიათისა და ყოფა-ქცვისა უნდა აიძულებდეს მღვდელს დიდის ყურადღებით ექცეოდეს თავის პირად ცხოვრებას, დაისახოს კეთილი სახე ქრისტიანულის ცხოვრებისა, რომელსაც უნდა უახლოვდებოდეს და შეძლებისდაგვარად ახორციელებდეს.

### მღვდლის თანამდებობა

მღვდლის თანამდებობა შეიცავს სამს უმთავრეს მოვალეობას:

- 1) მღვდელი არის მოძღვარი — მქადაგებელი;
- 2) იგი არის შემსრულებელი ღვთის-მსახურებისა;

3) ის არის ზნეობრივი ხელმძღვანელი და აღზრდელი თვისი სამწყსოსი.  
განვიხილოთ თვითეული ეს მოვალეობა.

### 1) მღვდელი, როგორც მოძღვარი-ჰქადაგებელი

უმთავრესი მოვალეობა არის ქადაგება ქრისტიანობრივი სარწმუნოებისა და ზნეობისა. „წარვედით და მოიმოწავენით ყოველნი წარმართნი, და ასწავეთ ყოველი რაოდენი გამცენთქვენ“. — დაავალა მაცხოვარმა მოწაფეებს, რომელთა მოადგილეებიც არიან მღვდლები. ეს მოვალეობა დიდ ამოცანას უყენებს მღვდელს. სწორედ რომ დიდად სამწუხაროა და არც ბუნებრივია, რომ ადამიანი ატარებდეს ქრისტიანის წოდებას და არ ჰქონდეს შეგნებული — თუ რა არის ქრისტიანობა. აი თითქმის ორი ათასი წელიწადი უნდა გავიდეს, რაც ქრისტიანობა არსებობს. ეს ხანი სრულიად საკმარისი იყო, რომ სახარების მოძღვრება ძველში და რბილში გასჯდომოდა ქრისტიანებს; ამ ხანში უმთავრესი დედა აზრი ქრისტეს მოძღვრებისა — სიყვარული, სიწმიდე, მოწყალება, თავმდაბლობა, სიძარტლე, სიმშვიდე — უნდა შეეგნო ხალხსა, მაგრამ, ვაი, უმთავრესი დატოვებულია, და თითქმის მთელი ყურადღება ტრიპლებს ქრისტიანულ ადათების ზედა-პირზე... ამიტომ მღვდელმა უმთავრესი ყურადღება უნდა მიჰქციოს იმას, რომ შეაგნებინოს ხალხს სული და გული ქრისტიანული მოძღვრებისა; გააცნოს დაწვრილებით ღმერთ-კაცის ქრისტეს პიროვნება, და იყვეს დარწმუნებული, რომ ვინც გაიცნობს მაცხოვარს, ის კიდევ შეიყვარებს მას, და როდესაც შეიყვარებს, კიდევაც შეეცდება მისი მოძღვრების შესრულებას.

ერთი სიტყვით, მღვდელი უნდა ჰქადაგებდეს ქრისტიანულ მოძღვრებას, არამც თუ ეკლესიაში, არამედ ყველგან, სადაც კი ამის შესაძლებლობას დაინახავს, „დროთი და უდროვით“, როგორც გვამცნებს ბავლე მოციქული.

### 2. მღვდელი — ღვთის-მსახურების შემსრულებელი.

მღვდლის მეორე უმთავრეს მოვალეობას შეადგენს ღვთისმსახურება. ღვთის-მსახურებას მღვდელი უნდა ასრულებდეს დიდის კრძალულებით, სრულის შეგნებით და ყველასთვის გასაგებად. მღვდელი უნდა სცდილობდეს, — აუხსნას ხალხს და განუმარტოს მნიშვნელობა ღვთის-მსახურების ყოველივე მოქმედებისა. გაცილებით სჯობია, რომ ღვთის-მსახურებაზე ცოტა იყვეს წაკითხული, სასოებით და გასაგებათ, ვიდრე ბევრი — დაუდევრად და გაუგებრად. შეიძლება ერთი მიზეზთაგანი, რომ ხალხი ეკლესიაში სიარულს გადაეჩვიო, ისიც იყვეს, რომ ღვთის-მსახურების შესრულება მომეტებულ-ნაწილად გაუგებარია ხალხისათვის. სდგას კაცი გაშტერებული, — მღვდელი იტყვის რამეს, იმას შეხედავს, წიგნის მკითხველი წაიკითხავს, იმას შეხედავს; ვერც ერთისა გაუგია რამე, ვერც მეორესი... ამიტომ საჭიროა, დავაინტე-

რესოთ მლოცველი და გავაგებინოთ მას — რა იკითხება, რა იგალობება და რა კეთდება ღვთისმსახურებაზე. მაგალითად, ავიღოთ წირვაზე მოწოდება: „ვმადლობდეთ უფალს“. ამ დროს მღვდელი კითხულობს საიდუმლო ლოცვას ჩუმად, და ბოლოს ამბობს ხმამაღლა: „ძღვეისა გალობისა მგალობელნი, მხმობელნი, მდალადებელნი და მეტყველნი. აქ მლოცველისათვის სრული გაუგებრობა: ვინ არიან ეს მგალობელნი, მხმობელნი, მდალადებელნი და მეტყველი? განა რა არის ამ ლოცვაში საიდუმლო და ხალხისაგან დასაფარავი? — არაფერი. პირიქით, ის არა სჯობიან, რომ მღვდელმა ხალხის გასაგონრათ ხმა-მადლა წაიკითხოს ეს ლოცვა, გააგებინოს მისი აზრი და მნიშვნელობა და მიახვედროს, რომ ანგელოზები, ექვს-ექვს ფრთიანები, ღვთის დიდების წინაშე, ორითა ფრთითა დაიფარვენ პირი-სახეს, ორითა — თვალებს და ორითა დაფრინავენ და დაუცხრომლად უგალობენ ღმერთს ძღვევისა გალობასა: „წმიდაო, წმიდაო, წმიდაო უფალო, საბოთ, სავსე არიან ცანი და ქვეყანა დიდებითა შენითა“... და ჩვენც ამ ანგელოზებთან ერთად ვგალობთ ამავე ძღვევისა გალობასა...

საკელესიო გალობა უნდა ატკობდეს მლოცველთა სმენას. სხვა საშუალებათა შორის, რომლითაც მოიზიდებიან მორწმუნენი ეკლესიაში ღვთისმსახურების მოსასმენად, უნდა ჩაითვალოს საეკლესიო გალობაც. ამიტომ ფრიად სასურველია, მღვდელმა იყოლიოს ეკლესიაში მგალობელთა გუნდი. ამ მიზნით სხვა ეკლესიებში ორგანიც-კი არის შემოღებული. უფრო კიდევ სასურველია, მღვდელმა თვით ყველა მლოცველები ავალობოს ეკლესიაში ღვთისმსახურებაზე; რა თქმა უნდა, ჯერ ადვილი, უბრალო საგალობლები, შემდეგ — რთულიც. აგრეთვე საჭიროა წაკითხოს მლოცველებს ღვთისმსახურების წასაკითხავებიც; თუ ხუცურთ კითხვა არ იცინა, — მხედრული ასოებით დაწერილი.

მღვდელმა ანგარიში უნდა გაუწიოს თანამედროვე მლოცველების მდგომარეობას და გარემოებას: რამდენადაც შესაძლებელია, ღვთისმსახურება შეიძლება შემოკლებულ იქნას. მიზანშეწონილი არ იქნება თანამედროვე ადამიანისთვის მონასტრულად, მთელი ტიპიკონის მიხედვით, ღვთის-მსახურების შესრულება. თვით მაცხოვარი ცხადათ გვასწავლის, რომ ლოცვა იყვეს მოკლე და გულწრფელი.

### 3) მღვდელი — ზნეობრივი ხელმძღვანელი და აღზრდელი — მზრუნველი თვისი სამწყსოსი

მესამე თანამდებობას მღვდლისას შეადგენს ზნეობრივი აღზრდა, ხელმძღვანელობა სამწყსოსათვის. პირველ ორ თანამდებობათა შესრულებით, — ქადაგებისა და ღვთის-მსახურებისა, — არ განისაზღვრება, არ ამოიწურება მღვდლის მოვალეობა. მღვდელი ჯერ კიდევ მწყემსი არ არის, როდესაც ის მხოლოდ ჰქადაგებს და ღვთის-მსახურებას ასრულებს. მღვდელს მოეთხოვება აგრეთვე დაუცხრომელი მზრუნველობა სამწყსოსათვის. მღვდელი უნდა იყვეს სამწყსოსათვის ის, რაც არის მოსიყვარულე მამა თავის ოჯახ-

ხისათვის. ტყუილად ხომ არ უწოდებს ხალხი მღვდელს „მამა“-ს. ეს სახელი გვიჩვენებს იმ თვისებებს, რა თვისებებითაც უნდა იყოს მღვდელი განწყობილი თვისი სულიერი შვილებისადმი. მღვდელი არ არის პატონი, წინოვნი, ან ადმინისტრატორი სამწყსოსი. მისი კავშირი მრევლთან წმიდა მამობრივია: როგორც მამა, ის არის აღმზრდელი, მზრუნველი, ხელმძღვანელი, მანუგეშებელი და კეთილისმყოფელი მისი. მღვდელი უნდა ზრუნავდეს რომ არც ერთი სულიერი ცხოვართავანი არ ასცდეს გზას და არ დაიღუპოს, ახსოვდეს-რა, რომ პასუხი მოეთხოვება მას, მისი დაუდევრობით, თვითნებური დაკარგული ცხოვარისათვის; იმან უნდა უყუროს, რომ არც ერთი მათგანი არ გახდეს ავად ზნეობრივად, და თუ შეაჩნია დასაწყისი ასეთი ავადმყოფობისა, იხმაროს მასზე დამოკიდებული საშუალებანი, მოსარჩენად.

წმ. მოციქულებმა, იტვირთეს-რა უღელი მღვდელობისა, თავიანთი მტკიცე გულს-მოდგინებითა, დაუცხრომელის მზრუნველობით და თავდადებულის ღვაწლით, მოგვეცეს კეთილი მაგალითი მწყემსობისა. მოციქულები თავის მხრივ ამცნებდენ თავიანთ მოადგილეებს, რომ დაუცხრომლად ეზრუნათ სამწყსოსათვის, განემტკიცებინათ მისი ზნეობრივი სრულ-ყოფა და მოეზადებინათ იგი ღვთის სასუფუველისათვის.

წმ. მამანი, რომლებიც სახავდნენ მღვდლის იდეალს, არ კმაყოფილდებოდნენ მარტო ღვთისმსახურების შესრულებით და ქადაგებით. ისინი მღვდლის თანამდებობათა შორის თვალსაჩინო ადგილს მიაკუთვნებდნენ მზრუნველობას სამწყსოზე, და დიდ პასუხისმგებლობას აკისრებდნენ ამისათვის წინაშე ღვთისა და ეკლესიისა. ამიტომ იყო, რომ ისინი, მაგალითად, იოანე ოქროპირი და გრიგოლ ღვთისმეტყველი, ეს საუკეთესო ადამიანები, გაურბოდნენ მღვდელობის მიღებას.

ერთი სიტყვით, ეს თანამდებობა მრავალგვარ მოვალეობას აკისრებს მღვდელს; და აქ მოკლეთ დავსახოთ მღვდელი, როგორც ამ თანამდებობის შემსრულებელი.

#### ა) მღვდელი — მშვიდობის-მყოფელი, დაუცხრომელი მტრობა-ქიშპობისა და მოჩხუბართა შემარიგებელი

ქრისტიანობის სარწმუნოება არის სარწმუნოება სიყვარულისა, მშვიდობისა და პატიებისა. ქრისტე მაცხოვარი ყველა თავის მოძღვრება-მოქმედებას მიჰმართავდა იქით, რომ დაემყარებია ქვეყანაზე სიყვარული: დამახასიათებელ თვისებად თავის მიმდევართა ის აცხადებდა სიყვარულს: „ამით სცნან, რომ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკეთუ იყუარებოდეთ ერთი ერთას“. თანახმად ამ მცნებისა, მწყემსნი ღვთისმსახურების შეკრებილებაში არა-ერთხელ უსურვებდნენ მორწმუნეთ მშვიდობასა; ხოლო საეკლესიო კათედრაზე სიტყვა სიყვარულისა და მშვიდობისა იყო უმთავრესი საგანი მოძღვრებისა.

მოძღვრისაგან მოითხოვება არა მხოლოდ საერო მოძღვრება, სიყვარულზე და მშვიდობაზე, არამედ პირადი მზრუნველობაც მშვიდობისა და სიყვარულის განმტკიცებისათვის.

ცებისათვის სამწყსოს შორის. არა კმარა სიტყვა: „გოგონადეთ ერთმანეთი და იცხოვრეთ მშვიდად“. იგი უნდა საქმით სცდილობდეს ადაღინოს ადამიანთა შორის დარღვეული მშვიდობა.

პირველი სფერო, სადაც უნდა მიმართოს მოძღვარმა მშვიდობისმყოფელი მოქმედება, არის ოჯახი. ოჯახი წარმოადგენს სიყვარულითა და თანხმობით შეკავშირებულ ერთეულს, რომლის კეთილდღეობა და ბედნიერება დამოკიდებულია მის წევრთა თანხმობით ცხოვრებაზე, მაგრამ სინამდვილეში ოჯახის მყოფრო სფეროში ყოველთვის არ სუფევს სანატრელი მშვიდობა. პირიქით, ხშირათ იჩენს თავს ოჯახში უთანხმოება, დაახშობს სიყვარულს, გაამეფებს მტრობას და შხამავს ოჯახურ ცხოვრებას. თვით ისტორიის დასაწყისში, პირველ ადამიანთა ოჯახშივე იჩინა თავი მტრობამ, რომელმაც მძას მძის სისხლი დაადგრევიანა. მას შემდეგ ეს მტრობა არა სცხრება და უფრო ღრმად იდგავს ფესვებს. მღვდელს, თუ იგი თავის მოწოდების სიმაღლეზე სდგას, არ შეუძლიან გულგრილად უყურებდეს ამისთანა მოვლენას. საბაბები ოჯახური უთანხმოების მოსასპობად ჩარევისათვის მრავალნაირია: უსამართლოთ დაჩაგვრა ცოლისა ქმრისაგან, შვილების უყურადღებოდ დატოვება, შვილების უპატივცემულება დედამამისადმი, ერთმანეთში უთანხმოება და სხ.

შემდეგი სფერო მოქმედებისა ოჯახის გარეშე არის სამრევლო, სადაც აგრეთვე ხშირია ჩხუბი და უძმრახათ დადგომა. მოჩხუბართა შერიგებაზე მღვდელი უნდა სცდილობდეს, ახსოვდეს რა მცნება მაცხოვრისა: „ნეტარ იყვნენ მშვიდობისმყოფელნი, რამეთუ ივინი ძედ ღვთისად იწოდნენ“.

#### ბ) მღვდელი ავადმყოფის სარეცელთან

მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე, რომელმაც მოგვცა უმაღლესი მაგალითი, რომ მივდიოთ მის კვალს, დიდის თანაგრძნობით და კეთილის-მყოფლობით ექცეოდა ავადმყოფებს. როდესაც მან გაგზავნა მოციქულები საქადაგებლად, უთხრა: რომელ ქალაქშიაც შეხვიდეთ, ავადმყოფები ინახულეთ და მოარჩინეთ. იგავი მაცხოვრისა კაცზე, რომელიც ავაზაკებმა გასცარცვეს, დასტრეს და ცოცხალ-მკვდარი დაადგეს გზაზე, გვაჩვენებს, რომ ეკლესიის მსახურთაგან უფრო სხვაზე მომეტებულად იყო მოსალოდნელი შემწვევრობის აღმოჩენა დავრდომილისადმი. მღვდელს განსაკუთრებით ევალება გულმტკიცუნეულობა და მზრუნველობა გამოიჩინოს ავადმყოფისადმი. ეს მზრუნველობა უნდა იყოს ორგვარი: ხორციელი და სულიერი.

ავადმყოფს, პირველ ყოვლისა, ესაჭიროება მოვლა-პატრონობა, ექიმი, წამალი, შემწვევრობა, ერთი სიტყვით, დიდი ყურადღება ყოველის მხრივ, რომ ავადმყოფს შეუსუსტდეს მისი სნეულება და მალე გაჯანსაღდეს. რამდენი სნეულია უპატრონოთ დატოვებული, ან ღარიბ-ვატაკი, ან ქერივ-ობოლი, რომელთაც არ გააჩნიათ არავითარი სახსარი ცოტაოდენი კმაყოფილების ცხოვრებისა!.. ბევრს მათგანს შიშნით, სიტყვით და უპა-

ტრონობით მოელის სიკვდილი. აბა, როგორ შეუძლიან მღვდელს, თუ იმას სიყვარული და ერთგულება აქვს თავის მრევლისა, თუ იმას მართლა მამობრივი განწყობილება აქვს მასთან, რომ ასეთ უნუგეშო, უმწურო და გაჭირვებულ მღვდობარობაში გაუშვას ავადმყოფი და შეძლებისდაგვარი შემწეობა არ გაუწიოს მას?! მღვდელი მოვალეა უპატრონოს ასეთ გაჭირვებაში მყოფს: მოუაროს მას, უპატრონოს, ფული დახარჯოს, წამალი მოუტანოს, და, როდესაც დროებით თავს დაანებებს, უნდა გულშემატკივარი მომვლელი მიუჩინოს მას, მანამ თითონ დაბრუნდებოდეს.

ავადმყოფს თუნდაც ჰყავდეს პატრონი, და თუნდაც გულშემატკივარი, მღვდელი ზნეობრივად ვალდებულია ხშირად მიდიოდეს ავადმყოფის სარეცელთან, დარიგებას აძლევდეს და ხელმძღვანელობდეს მის პატრონს ავადმყოფის მოვლაში, რადგანაც ხშირია, რომ პატრონს სახსარი ნებას არ აძლევს შეუსუსტოს მკვნესარეს ტკივილები და სწეულება, მაგრამ არ იცის მან როგორ მოიქცეს. ფრიად საჭიროა, რომ მღვდელი (მეტადრე სოფლისა) განსწავლული იყვეს მედიცინის დარგში, და თუ სავსებით არა, პირველ საჭირო ელემენტარული სწავლა მაინც ჰქონდეს, რომ ექიმის მოსვლამდე იმან იხმაროს შესაფერისი ზომები სწეულის მიმართ.

სულიერი მზრუნველობა მღვდლისა ავადმყოფისადმი უნდა გამოიხატებოდეს იმაში, რომ მღვდელი ამხნევებდეს ავადმყოფს, ანუგეშებდეს მას, ლოცულობდეს მასთან ერთად, ათქმეინოს აღსარება, მიაღებინოს წმ. საიდუმლო ზიარება, გაუქარწყლოს მას შიში სიკვდილისა, ესაუბროს სადმართო წერილიდან, მიჰმართოს ავადმყოფის აზრი და ყურადღება დვთისგან უსახდურელ სახიერებასა და სიყვარულისაკენ, ერთი სიტყვით, სცდილობდეს დაამშვიდოს მისი შემფოთებული გული...

### გ) მღვდელი მწუხარების სახელში

თუ საზოგადოთ რელიგია არის მანუგეშებელი მწუხარე ადამიანისა, ეს უნდა მომეტებულად ითქვას ქრისტიანულზე. მაცხოვარი იესო ქრისტე რომ გამოცხადდა ქვეყანაზე, იმან გვაუწყა ერთი უმთავრესი საქმეთაგანი, რომლისთვისაც ის მოვიდა: ეს არის მ გ ლ ო ვ ი ა რ ე თ ა ნ უ გ ე შ ი ს ც ე მ ა. იმან გამოაცხადა, რომ ის მოვლინებულია „მ ა ხ ა რ ე ბ ე ლ ა დ გ ლ ა ხ ა კ თ ა“. ის მიჰმართავდა ყველა უბედურს და გაჭირვებულს: „მ ო ვ ე დ ი თ ჩ ე მ დ ა ყ ო ვ ე ლ ნ ი მ ა შ ვ რ ა ლ ნ ი დ ა ტ ვ ი რ თ მ ი მ ე ნ ი, დ ა მ ე გ ა ნ გ ი ს ვ ე ნ ო თ ქ ე ვ ნ“!

მღვდელი, თუ მართლა სიყვარულით არის გამსჭვალული მრევლისადმი, როგორ დადგება გულ-გრილად სხვისი უბედურების მაყურებელი?! როგორ არ მიიჩნევს სხვის ჭირს თავის საკუთარ ჭირად! როგორ მოითმენს, რომ ყოველივე ღონის-ძიება არ იხმაროს, რომ ცოტათი მაინც არ შეუშუსუქოს მას მისი მწელი გარემოება და უბედურებაში მყოფს ნუგეში არა სცეს?!.. მღვდელი უნდა სცდილობდეს, რომ სადმართო წერილის საფუძველზე, შეუმციროს სიმწვავე მწუხარებისა. იმან უნდა აუხსნას მწუხარებაში მყოფს, რომ ცხოვრება, რომელსაც ჰქმნის ადამიანი ხილულად, უხილავად დვთის მოსიყვარულე

განმგებლობის ქვეშე მიმდინარეობს; რომ უღვთოდ ერთი ბეწვიც არ ჩამოვარდება ადამიანს. მღვდელმა უნდა აუხსნას და შეაგნებინოს მწუხარებაში მყოფს, რომ ისტორია წარმოვიდგენს მრავალს მაგალითებს იმისას, რომ ღმერთი, ასე რომ ვსთქვათ, თითქოს აძლევდა თავის საუკეთესო მსახურებს და მსასობლებს ძირამდის დაეღლიათ ფიალა ქვეყნიური უბედურებებისა, და შემდეგ მრავალ-ტანჯული ცხოვრებისა, მოულოდნელად გაიწვევდა მათ მოწამებრივის სიკვდილით, ან ხანგრძლივი ავადმყოფობის უძლურებით, ასე რომ ვთქვათ, თითქოსდა გადაპყრიდა მათ, როგორც უსარგებლო დამტვრულ ჭურჭელს იმის წინათ, მინამ დაავიკრავინებდა უკვდავებით მათ შემოქმედებას და კურთხევით მათ ცხოვრებას. წმიდანების ცხოვრება აღსავსეა ასეთი მაგალითებით. ეს არის ერთი მოქმედებათაგანი იმ კეთილისმყოფელი ეც-ცხლისა, რომლითაც ყოვლად სახიერი ღმერთი განსწმედს შვიდჯელ განწმედის ოქროს ადამიანის სული-სას, რათა იგი ღირსჰყოს საუკუნო ნეტარებას...

ასეთი თბილი და გულწრფელი მოპყრობა მწუხარე ადამიანისადმი, იმედია, კეთილ გავლენას იქონიებს და ცოტათი მაინც შეუწელებს მწუხარების მწვავე გრძობას. ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი — „კაცი კაცისთვის წამალია“. მე თითონ ვნახე ს. ბერშუეთში ერთი მეტად გულისმომწვეველი გარემოება: ერთ დედაკაცს მოუკვდა დედის-ერთა ვაჟკაცი შვილი, რომელსაც, როგორც ამბობენ, „მზე, მთვარე და ვარსკვლავები ამოსდიოდა“, ერთი სიტყვით, გაგვიბოძა. მის მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა. მწუხარებისაგან ისე იყო გადარეული დედა-კაცი, რომ გადაწყვეტილი ჰქონდა, თავი მოეკლა. ადგილობრივი მღვდელი, მართლა გულწრფელის სიყვარულით გამსჭვალული მრევლისადმი, ხშირად მიდიოდა დამწუხრებულ ოჯახში და ანუგეშებდა. მისმა დარიგებამ და ქადაგებამ, რომ თუ იგი თავს მოიკლავს, საიქიო ქვეყანაშიც ვერასოდეს ვეღარ ნახავს თავის საყვარელ შვილს, — ისე იმოქმედა, რომ მწუხარებით შეპყრობილმა დედაკაცმა სრულიად უკუაგლო თავისი აზრი თვითმკვლელობის შესახებ, დაიწყო ეკლესიაში სიარული და ბოლოს ეღირსა ქრისტიანობრივს აღსასრულს.

### დ) მღვდელი — ტუსაღო მანუგეშებელი

მაცხოვრის მცნება — „ს ა პ ყ რ ო ბ ი ლ ე შ ი ვ ი ყ ა ვ დ ა მ ო ხ ვ ე დ ი თ ჩ ე მ დ ა“ — ცხად-ჰყოფს, თუ რადიდი სავალდებულო და კეთილი საქმეა ტუსაღთან მისვლა და მისი ნუგეშისცემა, სიტყვით იქნება თუ საქმით, ნივთიერად იქნება თუ ზნეობრივად. მრავალია ტუსაღთა შორის ისეთი, რომელიც ასცდენია სწორ გზას, ვინაიდან გულშემატკივარი და ერთგული დამრიგებელი არა ჰყოლია, და ჩავარდნილა დანაშაულში, რის გამოც ის გამოუმწვევდევიათ საპყრობილეთში. საჭიროა ასეთი პიროვნების დარიგება, სწორი გზის ჩვენება, სინანულის და გამოსწორების სურვილის აღმზარა; არა და, თანაგრძნობის გამოცხადება მაინც. იმის თქმა, რომ ის ბოროტმოქმედია და ახია იმაზედაო, — ეს არ შეიძლება. სწორეთ იმის მოქცევა და სწორ გზაზე დაყენება საჭირო, ვიქონიებთ რა მხედველობაში, რომ „მ ე კ ა ც ი ს ა მ ო ვ ი დ ა მ ო მ ი ე ბ ა დ დ ა ც ხ ო ვ ნ ე ბ ა დ წ ა რ წ ყ მ ე დ უ ლ ი ს ა“.



**ვ) მღვდელი – ცრუმორწმუნეობის აღმომგზაველი**

ცრუმორწმუნეობა, როგორც გვიჩვენებს სახელი, არის ტყუილი სარწმუნოება, და შეადგენს სულიერ საშიშარ ავადმყოფობას. თუ მას არ შეუძლიან სრულიად გამოაქოს ადამიანის გულიდან ნამდვილი სარწმუნოება – ეს წმიდა და ძვირფასი განძი ადამიანის სულისა – აბნელებს და ამახინჯებს მაინც მას, და ახშობს, როგორც ნარ-ეკალი ახშობს პურის ჯეჯილს. ყველაზე ფართოდ გავრცელებულ ცრუმორწმუნეობას ჩვენ ვხედავთ წარმართობაში. წარმართობა არის ის უწმიდური და მღვრიე ნიაღვარი ცრუმორწმუნეობისა, რომელიც მოელო ძველ ქვეყანას და დაჰფარა ადამიანისაგან წმიდა ნაკადული სარწმუნეობისა. ეს მღვრიე წყალი ცრუმორწმუნეობისა შეიპარა ძველი აღთქმის ეკლესიაში და სწამლავდა იმ ხალხს, რომელსაც ჰქონდა ჩაბარებული შენახვა ჭეშმარიტის სარწმუნეობისა.

თუმცა ქრისტიანობაში ცრუმორწმუნეობას არ უნდა ჰქონდეს ალაგი. მაგრამ ყველა ქრისტიანი ვერ განთავისუფლდება იმ ბოროტებისაგან, რომელსაც ეწოდება ცრუმორწმუნეობა. ძველი პურის-ცომი აღვიღად ვერ ისობა. ახლაც მღვდელი თავის გარშემო ჰხედავს მრავალგვარ ცრუმორწმუნეობას, რომელიც ეწინააღმდეგება ქრისტიანულ მოძღვრებას.

სხვათა შორის, მდაბო ხალხში დიდად გავრცელებულია „მკითხაობა“ და ეგრედ წოდებული „ბატონები“. ავადმყოფობის მორჩენას სცდილობენ არა ჩვეულებრივის მედიცინის მოთხოვნილების თანახმად, არამედ მკითხაობის აბღა-უბღა რჩევით, რის გამოც ბევრი ავადმყოფი უდროოდ ესაღმება წუთისოფელს. აქამდის დარჩენილია ცრუ სარწმუნოება „უბედურ დღეებზე“, როდესაც არ მუშაობენ, რადგანაც უშინათ საქმის მარცხისა, და უქმად ატარებენ დროს. კომეტას გამოჩენა, მზისა და მთვარის დაბნელება, ან ბუნების სხვა რაიმე არაჩვეულებრივი მოვლენა იწვევს ცრუმორწმუნეობით შიშს. ახალ დროში ჩნდება სხვა და სხვა სახეები ცრუმორწმუნეობისა, რომელიც ძველად არ იცოდნენ: მაგიდის მოძრაობა, მიცვალებულის გამოწვევა და ეგრედ წოდებული „სპირიტების“ მოქმედებანი. ამას არ შეიძლება ვუცქიროთ როგორც უმანკო გართობას. ეს არის ცხადი ნიშანი რელიგიური მდგომარეობის ავადმყოფობისა, რომელიც მოითხოვს სულიერ მკურნალობას.

სოფლის ხალხის ცხოვრება ხომ მთლად სავსეა ცრუმორწმუნეობით, როდესაც, მაგალითად, არა ფიქრობენ სარწმუნეობის დედაზრზე, აძლევენ განსაკუთრებით მნიშვნელობას გარეგან წესებს, რელიგიის მთელ მოთხოვნილებას სახავენ მხოლოდ გარეგანი წესების შესრულებაში (იციან თურმე, ბოთლს საცობი მოხადე, რომ კურთხევა ჩაუჭიდესო და სხვ. ბევრი ამისთანა კურიოზული ჩვეულებანი, და არ სცდილობენ-კი უმთავრეს მოთხოვნაზე – კეთილ-მსახურების სულის მოპოვებაზე.

სადმრო წერილში ნათლად აკრძალულია ცრუმორწმუნეობა: მეორე მცნება ათი მცნებისა: „არა ჰქმნე თავისა შენისა კერპი, არც ყოვლადვე მსგავსნი, რაოდენი

არს ცათა შინა ზე, და რაოდენი არს ქვეყანასა ზედა ქვე“... მკითხაობის წინააღმდეგ (იხ. მეორე სჯულთა 18,9–12; 4 მეფეთა, 21,2–13).

წმ. მოციქულების დროს ჩვენ ვხვდებით ცრუმორწმუნე ადამიანებს, რომლებიც აცთუნებდნენ ხალხს ცრუმორწმუნეობით. მათ სასტიკად ექცეოდნენ მოციქულები. მაგალითად, როდესაც მკითხავი ელღობა აცთუნებდა ხალხს, რომ არ მოესმინათ მოციქულის ქადაგება, პავლე მოციქულმა დიდად შეირისხა იგი და უწოდა მას „შეშაკის შვილი“. იგივე მოციქული მაშინაც კი უჯავრდებოდა მკითხავს, როცა ის შემწეობას უჩენდა მას.

**ვ) ბრძოლა ეკლესიის შვექსისა ხალხის რელიგიურ გულგრილობასთან**

მღვდელი ნახავს თავის მრევლში დიდად გავრცელებულ სულიერ ავადმყოფობას, რომელიც არის გულგრილობა ეკლესიისადმი და საზოგადოდ რჯულისადმი. ამ სენით შეპყრობილი, თუმცა ურწმუნოთა რიცხვს არ ეკუთვნის. მაგრამ ისე ცივად ექცევა სჯულის მოთხოვნილებებს, რომ მისი უზრუნველად, უყურადღებოდ დატოვება ცოდვია. ის არ დაიარება ეკლესიაში, არ ეზიარება და სხ. რელიგიური გულგრილობა ასუსტებს ცოცხალ გრძნობას სარწმუნეობისას, რომელიც უნდა აყენებდეს კაცს კეთილ ცხოვრებაზე და ღვთის მიმართ მოწიწებით კავშირზე. მღვდელს არ შეუძლია დამშვიდებით უცქიროს ასეთ მდგომარეობას; ის უნდა უეჭველად ცდილობდეს მათ მობრუნებას, გამოცოცხლებას. რა გზით? საეკლესიო ქადაგება მიზანს ვერ მიაღწევს, რადგანაც ისინი ეკლესიაში არ დადიან. მაშასადამე, მღვდელი უნდა სცდილობდეს იმოქმედოს მათზე კერძო საუბარში; ის უნდა თვითონ მივიდეს მათთან, და სიყვარულის კილოთი და არა მბრძანებლობით ან გაჯავრებით, დაარიგოს იგინი, თუ რომელიმე მათგანი თავს მართლულობს, – ეს კარგი ნიშანია, რადგანაც ეს მოწმობს, რომ იგი სრულიად უგრძნობი არ არის სინდისის მხილებაზე, რომ გულის სიღრმეში კიდევ გაისმის ხმა, რომელიც მოაგონებს მას თავის დანაშაულს, და მიზეზების ჩვენებით თავს მართლულობს. ამიტომ მღვდელი უნდა სცდილობდეს ეს მიზეზები გააქარწყლოს, და გაუღვიძოს მოსაუბრეს ცხოველი სარწმუნეობა. გულგრილობის მიზეზთა შორის ასახელებენ, რომ იგი პატიოსნად იქცევა; თუმცა ეკლესიაში არ დაიარება, მაგრამ თავის გულში ლოცულობს, და სადაც უნდა იყოს, – სულ ერთია. ეს თუ მართლა ასეა – კარგია. მაგრამ სულიერ ღვთისმსახურებასთან ერთად, საჭიროა ხორციელიც. თვით ქრისტი მაცხოვარი ემორჩილებოდა იუდეველთა სჯულის კანონებს, დადიოდა სალოცავად ტაძარში იერუსალიმში პასექისა და სხვა დღესასწაულებზე. მღვდელმა უნდა აუხსნას, რომ ეკლესიაში სიარულს აქვს კაცისათვის დიდი კეთილისმყოფელი გავლენა, რომ იგი კეთილგანწყობილებაზე აყენებს ადამიანს, აერთებს მას სხვა მორწმუნეებთან და სხვა.

**ზ) მღვდელი ურწმუნოსთან**

მღვდელი უნდა ცდილობდეს ფრთხილად და თავდაპირვით იყოს ურწმუნოსთან; თავისით არ გამოიწვიოს

იგი კამათში, და არამც და არამც არ დასცინოს. მხოლოდ, თუ თითონ ურწმუნომ ჩამოავდო ლაპარაკი და თვით გამოიწვია, მღვდელმან, რა თქმა უნდა, მეცნიერებაში განსწავლული, უნდა დარბაისლურად გაჰყვეს მსჯელობაში; აჩვენოს, რომ ღმერთის ცნობის წყარო, ბიბლიის გარდა, არის მთელი მსოფლიო, მთელი სამყარო, რომელშიც, პავლე მოციქულის სიტყვისამებრ, ნათლად სჩანს შემოქმედის სიბრძნე და ყოვლად-შემძლებლობა. აჩვენოს, რომ ურწმუნო იკვლევს საგანს სრულიად სხვა თვალსაზრისით, ვიდრე მორწმუნე. ურწმუნო უყურებს მსოფლიოს დიდებულ წესრიგს და ბუნების დაურღვეველს ერთფერობას იმნაირად, რომ მსოფლიო წარმოდგენილია მისთვის შედეგად შექანიკურად განვითარებულ თვითმყოფ ძალებისა. მორწმუნეთათვის კი ასეთი შეხედულება სრულიად შეუფერებელია. მორწმუნის მსოფლმხედველობაში კანონი უსათუოდ გულისხმობს კანონისმდებელს, და „ბუნება“ — სიტყვა, რომელიც იხმარება როგორც სინონიმი ყველა მოვლენათა, გულისხმობს მის წარმოდგენაში დეტაბრივს ყოვლადშემძლებლობას, რომლის მოქმედებაც ნათლად სჩანს ბუნებაში, რომ ღმერთმა, შემოქმედმა ბუნებისამ, გამოგვიცხადა თავის თავი პირდაპირის განცხადებით თუ არა, უშუალო შთაგონებით მინც ჩვენის გულისა და სინდისისადმი. მღვდელმა უნდა მოაგონოს მას, რომ ზერეულ განათლებას პაადებს ურწმუნობას, ხოლო საფუძვლიან განათლებას კი მიჰყავს კაცი სარწმუნოებისაკენ; რომ უდიდესი სწავლული კაცები მეცნიერების ყველა დარგებიდან იყვნენ ღრმად მორწმუნენი, როგორც, მაგალითად, დიდი ასტრონომები — კოპერნიკი, კეპლერი, ნიუტონი, გაერშელი, ფლამბარიონი, ბესსელი და მრავალი სხვა; მათემატიკოსები — გაუსი და სხვ. ქიმიკოსები — ლუი პასტერი და სხვ.

**თ) მღვდელი — მკურნალი ზნეობრივ სნეულებათა**

მღვდელი არის არა მხოლოდ მწყემსი მეტყველ ცხოვართა, არამედ სულიერი მკურნალიც ცოდვიურ სნეულებათა. სამწყსოში არის არა ცოტა ისეთი, რომელიც შეპყრობილია რაიმე ვნებით. წარმოვიდგინოთ, როგორ გავრცელებულია ხალხში: ლოთობა, ქურდობა, მრუშობა, მოტყუება, შური და სხვ., სოფლად გარდა ამისა, სხვისი ყანის ან სათიბის მოძუება-წახდენა, უშვერი გინება-წყევლა, საქონლის — პირუტყვის უდიერად მოპყრობა და სხვ. ეს ზნეობრივად ავადმყოფი წევრები სამრევლოსი მოითხოვენ მღვდლისაგან მომეტებულ ყურადღებას და მზრუნველობას, ვიდრე ჯანმრთელები. ოჯახშიაც ხომ მომეტებულ ყურადღებას ოჯახის უფროსისას იპყრობს ავადმყოფი. სამრევლოც იგივე დიდი ოჯახია, შემოკრებილი კვლესიის გარშემო და შეკავშირებული სარწმუნოებითა და სიყვარულით. სწორეთ რომ დანაშაულად უნდა ჩათვალოს მღვდელს, დაყენებულს კვლესიურის

ოჯახის სათავეში, თუ იგი უყურადღებობას იჩენს ასეთ მოვლენებზე და ზომებს არ ხმარობს მათ მოსპობისათვის.

მწყემსი ეკლესიისა არის მსახური მაცხოვრისა, რომელმაც სთქვა: — „არა მოვედ მოწოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა სინანულად“ (მათ. 3,13), და შემდეგ — „არა უხმთ მკურნალი ცოცხალთა, არამედ სნეულთა...“

ჯერ ისევ ძველ აღთქმაში უფალი მიანდობს მწყემსებს მოვალეობას იხრუნონ იმაზე, რომ არ დაიდუპოს ცოდვილი, არამედ მოიქცეს ბოროტის გზიდან; და ემუქრება რისხვით იმ მწყემსებს, რომლებიც არ ასრულებენ ამ მოვალეობას. უფალი ამბობს იეზეკიელის პირით: მე დაგაყენე შენ დარაჯად სახლსა ისრაელისასა; შენ მოისმენ ჩემ სიტყვებს და ჩააგონებ მათ. როდესაც მე ვეტყვი უსჯულოს: უსჯულო! შენ სიკვდილით მოკვდები“, შენ კი არაფერს ეტყვი, რომ გააფრთხილო იგი მისი უსჯულო გზიდან; უსჯულო იგი მოკვდება თავის ცოდვაში, მაგრამ იმის სისხლს შენ მოგკითხავო (ეზეკ. 33,7-8); და შემდეგ უფალი გამოთქვამს „ვიას“ იმ მწყემსებზე, რომლებიც ცხვრების დუშას სჭამდნენ, მათის მატყლით იმოსებოდნენ, ხოლო ცხვარს არ ამოებდნენ, სუსტებს არ ამაგრებდნენ, ავადმყოფ ცხვარს არ არჩენდნენ და დაჭრილს არ შეუხვევდნენ (ეზეკ. 34,2-4).

ეს მკურნალობა სულიერ ავადმყოფობისა დიდ სიძნელეს წარმოადგენს; და ეს სიძნელე აშინებდა ისეთ ღირსეულ ადამიანებს, როგორებიც იყვნენ გრიგოლი დვთისმეტყველი და იოანე ოქროპირი, და აიძულებდა გაქცეოდნენ მღვდლობის მოვალეობის მიღებას. ეს მსოფლიო დიდი მოძღვარნი აღარებენ სულიერ ავადმყოფობას ხორციელ ავადმყოფობასთან, და მიანჩიათ სულიერ სნეულების მკურნალობა გაცილებით ძნელად, ვიდრე ხორციელისა. ხორციელი სნეული თვითონ მოიწვევს ექიმს და სთხოვს მას მკურნალობას; ამასთან ერთად, ხორციელ სნეულების გაგება უფრო ადვილია, რადგანაც ბევრჯელ თვალთ ჩანს. სულიერი სნეულების დანახვა-კი არ შეიძლება. თვით სულიერი სნეულნი ხშირათ ვერა გრძნობენ თავიანთი სნეულების საშიშროებას, და თუ გრძნობენ, ეშინიათ და რცხვენიათ მისი გამხელა, არ სცდილობენ მის მორჩენას. ხორციელი სნეულების წინააღმდეგ მედიცინა გვაჩვენებს ნაცად საშუალებებს; სულიერი სნეულების წინააღმდეგ კი ნაცადი საშუალებანი არ მოიძებნება, და მკურნალს ხშირად უხდება თითონ გამოიგონოს ეს საშუალებანი. ხორციელი სნეული მომეტებულ ნაწილად ემორჩილება მკურნალს და ასრულებს მის რჩევა-დარიგებას, მიიღებს ხშირად მწარე წამალს და აცხადებს თანხმობას საშიშარი და მძიმე აპერაციის მიღებაზედაც კი, სულიერი სნეული-კი არ ემორჩილება მკურნალს, პირიქით, ეწინააღმდეგება კიდევ, და არ იღებს მის რჩევა-დარიგებას. „ძალ-დატანებითი მოპყრობა-კი, ამბობს ოქროპირი, — დაუშვებელია...“

**რ ო ბ ო რ უ ნ და ი ძ ნ ი ო დ ე ს მ ჳ ვ დ ე ლ ი**

მოკლეთ ამის პასუხს გვაძლევს პავლე მოციქული: „ს ა ხ ე ე ქ მ ე ნ მ ო რ წ მ უ ნ ე თ ა მ ა თ . ს ი ტ ყ ვ ი -“

თ ა, ც ხ ო ვ რ ე ბ ი თ ა, ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი თ ა, ს უ ლ ი თ ა, ს ა რ წ მ უ ნ ო ე ბ ი თ ა, ს ი წ მ ი დ ი თ ა“. (I ტ ი მ .

4,12); და „მოხადა ჩემდა იქმენით, ვითარცა მე ქრისტესა“. — აი ამ დარიგებებით ხელმძღვანელობს კეთილი მღვდელი ცხოვრებაში.

ზნეობითი კანონი ყველასათვის ერთია და საავადღებულო, როგორც მღვდლისათვის, ისე ერისათვის; მაგრამ მღვდელს მეტი მოეთხოვება, როგორც კეთილი ცხოვრების მქადაგებელს და კეთილი ცხოვრების მაგალითის მიმცემს. მღვდელი თვით უნდა ასრულებდეს თავის ცხოვრებაში იმას, რასაც უქადაგებს სამწყსოს, და ერიდებოდეს ყოველივე იმას, რასაც შეცდომაში შეჰყავს სხვა. მღვდლებს ნამეტნავად ეკუთვნით სიტყვა მაცხოვარისა: „თქვენ ხართ ნათელი სოფლისა“ (მათ. 5, 11-16). ისინი არიან სანთელნი ანთებულნი, რომ ანათონ წინაშე ხალხისა, რათა იხილონ საქმენი მათნი კეთილნი, და აღიდებდენ ზეციერ მამას. მღვდელი, როგორც მწყემსად დაყენებული ქრისტეს სამწყსოზე, და ხელმძღვანელი მეტყველ ცხოვართა, უნდა წინ მიუძღოდეს მათ, ხოლო ცხოვარნი მას მიჰყვებიან. არა მარტო სიტყვით, არამედ ცხოვრებით უნდა ასწავლიდეს მღვდელი ხალხს და აძლევდეს მაგალითს ზნეობრივ ვალდებულებათა შესრულებისას. მღვდელს ათასი თვალი უცქერის. ყველას უნდა დაინახოს მასში მისაბამი მაგალითი, უნდა, რომ მღვდელი ზნეობრივად მაღლა იდგეს სხვებზე. ყველა ამჩნევს მღვდლის ცხოვრებაში არამც თუ დიდ ნაკლულევანებას, არამედ მცირესაც. ეს უნდა ყოველთვის ახსოვდეს მღვდელს; ახსოვდეს აგრეთვე, რომ, პირად ცხოვრებაშიაც იგი საზოგადოებრივი პიროვნებაა. მღვდლის ცხოვრება არის გადაშლილი წიგნი, რომლითაც სხვებმა უნდა ისწავლონ ცხოვრება. თუ მღვდელი კადრულობს ზნეობრივი კანონის დარღვევას, იმას ორნაირი ბრალი ედება ამისათვის: ჯერ ერთი იმიტომ, რომ თვით სცოდავს, და მეორეც იმიტომ, რომ სხვას აცდუნებს. მაცხოვარი კი გვაფრთხილებს, რომ ვინც შეაცთენს ერთსა მცირედთაგანსა, მისთვის უმჯობესია კისერზე მოიბას წისქვილის ქვა და გადავარდეს ზღვის ჯურღმულში. მღვდელს არ შეუძლიან ისარგებლოს ქრისტიანულის თავისუფლებით ისე, როგორც სხვები სარგებლობენ; მან ნება-დართულშიაც კი ზომიერება უნდა და-

იცვას. წმ. ბეღე მოციქულის სიტყვით, ყოველივე ნებადართული სასარგებლო არ არის. თუ ვინმეს აცთუნებს ნება-დართული საქციელი, მღვდელმა ნება-დართულსაც კი თავი უნდა დაანებოს, თანახმად ბეღე მოციქულის სიტყვისა, რომ უკეთუ ხორცის ჭამა, რომელიც თავისთავად არაფერია, აცთუნებს სხვას, არ უნდა სჭამო ხორცი უკუნისამდე.

პავლე მოციქული არიგებს თავის მოწაფე ტიმოთეს და მასთან ერთად ყოველ მღვდელს — რა თვისებისა უნდა იყოს იგი. ის უნდა იყოს „უბრალო“; ესე იგი, უმანკო, არ უნდა ედებოდეს მას ბრალი რაიმე დანაშაულში. უნდა იყოს „ფრთხილი“, — როგორც მცველს და დარაჯს თვისი სამწყსოსისას, მღვდელს ჰმართებს დიდი სიფრთხილე, რომ არ დაიღუპოს მისი ცხოვარი სულიერად. უნდა იყოს „წმიდა, შემკული, სტუმართმოყვარე, სწავლულ, თვისი სახლის კარგად მმართველ“, — ესე იგი, ყოველივე კეთილი თვისებებით შემკული, როგორც სახლის გარეთ, და სხვა ხალხთან, ისე თავის ოჯახურ ცხოვრებაში და სახლის შინაურებთან, რომელთა შესახებ უნდა იჩენდეს არა მარტო ნივთიერი ცხოვრების მზრუნველობას, არამედ დიდ მზრუნველობას მათის სულიერი წვრთისათვის. მოციქული ურჩევს ტიმოთეს და მასთან ყოველ მღვდელს, „მხურვალედ განაცხოველოს“ თავისი სარწმუნოება და მადლი, მიღებული სულის წმიდის მიერ. ზარმაცობით და უდებებით ეს მადლი შეიძლება მიუჭრდეს, ხოლო ბეჯითობით და ხელის შეწყობით-კი გაძლიერდეს. ამიტომ, როგორც საჭიროა შეშა, რომ ცეცხლი გაძლიერდეს, ისე მღვდელობის მადლის განსახორციელებლად საჭიროა ლოცვა, სულიერი წვრთა და საღმრთო წიგნთა კითხვა. თვით მაცხოვარი კაცობრიულის ბუნებით ხშირად ლოცულობდა, როგორც ტაძარში, ისე განმარტობით და ამნაირად განამტკიცებდა თავის სულს საღმრთო მოქმედებისათვის. ლოცვა ყოველად საჭიროა ადამიანისათვის, რადგანაც იგი არის კავშირი და ერთობა ღმერთთან, რომელიც არის ჩვენი სამუდამო მისწრაფება და დაუსრულებელი ნეტარება.

### როგორ მოძღვარს სახაპღმენ ქართული მშენებელი

#### ალექსანდრე ყაზბეგის „ონოფრე მოძღვარი“

ამ თხზულებაში ყაზბეგს ჰყავს გამოყვანილი მოძღვარი ონოფრე, რომელიც არის განხორციელება თავის-თავის სრული უარის-ყოფისა; იგი მთლად გატაცებულია სამსახურით და ვერდომილთა, უბედურთა, გაჭირვებულთა და ავადმყოფთა მიმართ. მთელი სიცოცხლე ონოფრესი თავგანწირული სამსახური და ზრუნვა სხვებისათვის, როგორც ხორციელად, ისე სულიერად. მისი

ღვეიზია: ჯერ სხვა, მერე მეო. იმისათვის არ არსებობს არც დღე, არც ღამე, არც დარი, არც ავდარი; პირიქით, დიდ ავდარში, ღამე-ბნელაში, როდესაც კოკის-პირული თქეშია და მოვარდნილი ნიაღვარი ღამობს ქვეყნის წაღვევას, როდესაც მოხლავაგებული კლდეები ბათქა-ბუთქით ვარდებიან ჯურღმულში, აღამიანს გარეთ გამოხედავაც კი ეძნელება — აი, სწორედ ამ დროს ონოფრე მი-

დის გაჭირვებულთა საძებნელად და საშველად; და როდესაც იპოვნის გაჭირვებულს, რანაირის მზრუნველობით სცდილობს მის შევლას: წამოიკიდებს ზურგზე და მიჰყავს თავის ქოხში, სადაც ნამდვილ მამა-შვილურ მზრუნველობას უწევს; როდესაც მშვიდს, მწყურვალს, შეციებულს მოასულიერებს, — შემდეგ სულიერ მოღვაწეობაზე იწყებს ზრუნვას, ლოცულობს მასთან ერთად, არიგებს, თუ დანაშაული აღმოაჩნდა რაიმე — სინანულს აღუძრავს, აღსარებას ათქმევინებს, აზიარებს. მეტად აღსანიშნავია მის მიერ აღსარების საიდუმლოდ შენახვა: ონისემ ონოფრეს აღსარებაში უთხრა: „მაყვალა მე მოგვალიო“. როდესაც მაყვალას მკვლელობა კვლევა-ძიება-

ში ჩაეარდა, მთავრობამ ონოფრეს დააბრალა მაყვალას მკვლელობა; სრულიად უდანაშაულო კაცი მოხუცებული აწამა, ციმბირს გაგზავნა კატორღაში, მიუხედავად ამისა, ონოფრემ მაინც არ გასცა აღსარებაში ნათქვამი, რომ მაყვალას მკვლეელი ის კი არ არის, არამედ ონისეა. დიდად აღსანიშნავია და საყურადღებოა ონოფრე მოძღვრის შეურყვეველი რწმენა ღვთის განმგებლობისა, მისი ლოცვა მტრებისთვისაც-კი, მისი ლოცვა იმათთვის, ვინც მას ტყუილუბრალოთ ცილი დასწამა მაყვალას მკვლელობაში და კატორღა მიასჯევინა...

აი, ასეთია ალექსანდრე ყაზბეგის მიერ დასახული მღვდლის იდეალი.

### ილია ჭავჭავაძის მიერ დასახული „მოძღვარი“

ილია ჭავჭავაძის მიერ დასახული „მოძღვარი“ სცდილობს გაავრცელოს ხალხში სწავლა-განათლება. იგი ასწავლის უცოდინარებს წერა-კითხვას სრულიად უსასყიდლოდ. როდესაც ერთ ყმაწვილს შეუძლებია მისთვის ფული, მღვდელს არ გამოურთმევია; ყმაწვილს უთქვამს — „საყდრის და ღვთის სადიდებლად მაინც მიიღეო“, მღვდელს უპასუხნია: „ღმერთი მარტო კარგი საქმით იდიდება, და არა ფულითაო“. აი, ასეთი უანგაროა ილია ჭავჭავაძის მღვდელი.

მღვდელი ეკლესიის ეზოშია წირვის შემდეგ და მას ხალხი ბუხსავით ბლომად შემოხვევია. იგი ყველას შესაფერის საქმეზე ესაუბრება. მღვდელი ჰკითხავს ერთს ბავშვის მამას — რატომ შენს შვილს არ გზავნი ჩემთან სასწავლათაო? — მამა ბავშვისა პეტრე უპასუხებს: „რა ჩვენი საქმეა წიგნი, — ის კუჭს ვერ გაგვიძღობს; ჩვენი საქმე გუთანიანაო!“ — მღვდელი იმდენს ელაპარაკა ამ უვიცს კაცს, რომ ჩაახვედრა წიგნის ცოდნის სარგებლობაში...

შემდეგ მიმართა მღვდელმა მეორე კაცს ზაქარას, რატომ არ შეურიგდები შენს ძმასაო. ზაქარამ დაიწყო თავის მართლულობა იმითი, რომ ჩემი ძმა შარიანაო, მღვდელმა მოაგონა ეკლესიაში წარმოთქმული თავისი ქადაგება, რომ მაცხოვრის მცნებისამებრ, მტრებიც უნდა გიყვარდეთ, და შენ კი ღვიძლი ძმა ამოგიძულეხარ; უნდა აბატიო და შეურიგდეთ...

მღვდელი ასწავლის წერა-კითხვას ახლად მისულს ყმაწვილს გაბრიელს, რომელიც თავისთან გაითანასწორა, რაცა ძალიან უკვირს ყმაწვილს. როცა შეისწავლა წერა-კითხვა, მღვდელმა აჩუქა მას „ვეფხისტყაოსანი“, ერთად დაიწვეს ამ წიგნის კითხვა: „რასაცა ვასცემ შენია, რაც არა, დაკარგულია“ — ეს აუხსნა იგავით „ტალანტებზე“, — სიკეთის გაკეთების უნარი, რომელიც

ღმერთმა მოგცა, უნდა ვამოქმედოთ და არა შევინახოთ მიწაში ან კიდობანში უხმარებლადო.

ღარიბი, დაკონკილი ღვინავატი შემოვიდა მღვდლისას. მღვდელმა ჰკითხა ავადმყოფი ქმრის ამბავი; დედაცაცა უამბო და ტირილი დაიწყო. მღვდელი თანაგრძნობით შესწუხდა; მისცა წაშალი, დაარიგა, ღვთის სასობაზე განამტკიცა და დამშვიდებული გაისტუმრა...

უცებ გარედან შემოისმა რაღაც ყრიათულის ხმა. მღვდელი კარში გამოვიარდა გასაგებად; შეიტყო, რომ კაცი იხრჩობოდა მტკვარში; მაშინვე დაუყოვნებლივ გაიმძრო ტანისამოსი და გადახტა მტკვარში საშუელად; იმდენი ეცადა, რომ დახრჩობას გადაარჩინა; თითონ ამის გამო, გაცივდა, ავად გახდა და კინაღამ თან გადაჰყვა...

აი, როგორ თავგანწირულ მსახურებაში მოყვანისადმი სახავედნენ საერო მწერლები მღვდლის იდეალს...

მღვდელი თითონ უნდა იყოს ადგნებული სიყვარულის და სარწმუნოების ცეცხლით ღვთისა და მოყვანისადმი, და ეს სიყვარული და სარწმუნოება აფრქვიოს სხვაზედაც...

ხალხის გულგრილება ეკლესიისადმი, ზურგის შექცევა და განდგომა სამღვდელოებისაგან შეიძლება ნაწილობრივ იმითაც აიხსნებოდეს, რომ სამღვდელოების დიდმა უმრავლესობამ არამც თუ ვერ აჩვენა სინამდვილეზე ხალხს მღვდლის იდეალი, — არამედ თავისი შეუსაბამო ქცევით ააცრუებინა ხალხს გული, როგორც ეკლესიაზე, ისე თავის თავზე.

ოხ! ნეტავი ახლა მაინც მოვიდონენ გონს მწყემსნი ეკლესიისანი და შეძლებისდაგვარად განახორციელებდენ სინამდვილეში მღვდლის, აქ დასახულს, იდეალს...


შესძლებენ ისინი ამას? —

— შენ უწყვი, უფალო!...

დეკანოზი ირან ლუკაშვილი



წმიდა ქალაქი იერუსალიმი



საქართველოს ეკლესიის დელეგაციამ წმიდა ილია მართლის ხატი დაასვენა რუსთველის ფრესკასთან.

ქართული ეკლესია — მონასტრები  
სახლგარეეთ



პართველთა ჯვრის მონასტერი იერუსალიმში

განათლდი, განათლდი, ახლო იერუსალიმ, დღეს დიდება უფლისა შენ ზედა გამოგრწინდა, განსცხრებოდე და იხარებდე, სიონ, და აწ შენცა იშვევდი, ღვთისმშობელი, აღდგომასა ძისა შენისასა.

(პსჰმის საგალობელი).

მს სავანე... რომელიც IV საუკუნეში დააარსა და ააშენა პართველთა პირველმა ქრისტიანმა მღვდელმა, წმიდა პირიანამ..... XVIII საუკუნეში წინ გვეკუთვნოდა. ამას მოწოდებდნენ, როგორც ქართული, ისე ბერძნული და სხვა უცხოური ისტორიული წყაროები და დოკუმენტები, მაგრამ შეადგებენ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური მიზნების განხორციელების გამო ამ პართველთა მოღვაწეობა შეწყდა... დღეს კი ვფიქრობ, დადგა დრო, რომ მს სავანე კვლავ საქართველოს ეკლესიას დაუბრუნდეს. ჯვრის მონასტერში პართველთა მოღვაწეობის გა-

ნახლება ხელს შეუწყობს ჩვენი ეკლესიების, სახელმწიფოებისა და ხალხების დაახლოებას... თუ ღვთის შეწევნით და თქვენი ღოცვა-კურთხევით მს სავანე წინ გადაგვივად, საქართველოში მცხოვრებ ბერძნულსა (ისინი ამ კი მრავლად არიან) საშუალება მივცვათ ახლო ურთიერთობა დაამყარონ თქვენს ეკლესიასთან

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის წერილიდან იერუსალიმის პატრიარქ დიოდოროს I-სადმი.


## დემით მტკიცედ და შეურყეველად...

**დაუთარიღებელი წარწერა ჯვრის მონასტრის მონაზონური იატაკის ცენტრში, ლითონის სისხლისფერ, ოვალურ ფირფიტაზე.**

„...ვნახე და მოვილოცე ჯვრის მონასტერი, რომელიც შორავს იერუსალიმს 3 ანუ 4 ვერსით. თითონ ბერძენი უწოდებენ ამ სავანეს ძართველთა მონასტრად. ამის ხილვაჲ ამიშალა სულის ღიღი მწუხარება. ოდესღაც სახელოვან ღიღიულ ძართველთა ეს იერუსალიმში ჰქონიათ 18 მონასტერი და აწ არცერთიღა მოგვპოვება. ... მე-18 საუკუნის ნახევრამდის ყოფილან ამ ჯვარის მონასტერში ძართველნი წინამძღვრნი და მამანიცა; მე ვნახე ერთი საბუთის ძალადი ათონის ძართველთა სავანეში, რომლითგანაც ცხადად ჩანს, რომ კონსტანტინოპოლისა და იერუსალიმის პატრიარქთა სრულიად

ბარდაუხდიათ ვალეგი, რაოდენიც ყოფილან ამ სავანეზედ. ბარდაუხდიათ შემოწირულებითა, რომელიც საძართველოს მფვისა, პატრიარქისა და პრისაზან მიუღიათ და დანაშთენიც ვითომც, თითონ დაშაბთებიათ და აცხადებენ ამ ძალადით, რომ შეუძლიათ ძართველთა, მიიღონ თვის მფლობელობაში ეს მონასტერი. ეს ბარდაუხვებილემის პირი გადმოღებულია კონსტანტინოპოლის საპატრიარქო არქივიდან და ეს დაღბანილება არის თარიღით 1702 წელს, თარგმნილი რუსულად და დაბეჭდილი. და ახლა ერთს უბრალო ოთახსაც არ გვითმობენ იმ მამულიდან.

დეკანოზი პ. კონტოშვილი.



ჯვრის მონასტერი. ფრესკის ფრაგმენტი



## ჯ ვ რ ი ს მ ო ნ ა ს ტ ე რ ი

— ჩვენ არა თუ არ მოვიტხოვთ რაიმე საფასურს ივერიელებისაგან (ქართველებისაგან), არამედ ვუბრუნებთ მათ როგორც წმიდა ჯვრის მონასტერს, აგრეთვე სხვებსაც: წმ. ნიკოლოზის, წმ. თევდორეს, წმ. ბასილის, წმ. ანასა და ებრაულ წმ. გიორგის (იგულისხმება წმ. გიორგის ქართველთა მონასტერი, რომელიც დგას იერუსალიმის ებრაულ ნაწილში, — „მონასტერი წმიდისა გიორგისი ურიათ უბანში დადიანთა აღშენებული“ — ვ. გ.), ვაღებუდახდის და ყოველგვარ მიმართებით თავისუფალს, და არც ჩვენ თვითონ და არც ჩვენს შემდეგ წმიდა ქალაქ იერუსალიმის უწმიდესი პატრიარქები, არც ყოველადწმიდა საფლავის მამები და მოსაყდრეები არ მოითხოვენ ივერიელებისაგან ფულს, არც დიდს და არც მცირეს... და იყოს თავისუფალი მათი მონასტრები ყოველგვარი მამიებლობით, ყოველგვარი ვალებისა და თავმომაბუნებელი, აბუხარი საქმეებისაგან და, იყოს მათი

ნამდვილი და სრული ბატონ-პატრონები ღვთისმოყვარე ივერიელები. ხოლო როცა დმერთი ინებებს და ივერიიდან მოვა იღუმენი, მაშინ მან ძველებურად აიღოს თავის ხელში ძალაუფლება ყველა მონასტერზე“, — კვითხულობთ ქალაქ იერუსალიმის და სრულიად პალესტინის პატრიარქის დოსითეოსის 1706 წლის ივლისში გამოგზავნილ ეპისტოლეში საქართველოს მეფის ვახტანგ VI-ისადმი.

მე-18 საუკუნის დასაწყისში დიდი ხარჯითა, საჩუქრითა და „სივლითა მტკიცითა“, „ღვთის მოყვარე ივერიელებმა“ მთლიანად გადაიხადეს ვალი და კვლავ დაიბრუნეს ჯვრის მონასტერი, ქრისტეს საფლავი, გოლგოთა, ბეთლემი, და სხუანი მონასტერნი ქართველთა“. მაგრამ ეს იყო იურიდიული აქტი, რომელსაც პრაქტიკული განხორციელება არ ღირსება.

### X X X

დიდი და სასახელო ისტორია აქვს ქართველთა კოლონიას პალესტინაში.

ივერიელთა მონასტრების არსებობა იერუსალიმში შემთხვევითი როდია. იგი გაპირობებული იყო სახელმწიფოებრივი და სარწმუნოებრივი მოთხოვნილებებით. როგორც წერილობითი წყაროები, საისტორიო საბუთები, დღევანდლამდე შემორჩენილი მატერიალური ძეგლები და არქეოლოგიური გათხრების მასალები მეცნიერულად ადასტურებენ, ქართველთა სამონასტრო კოლონიზაცია პალესტინაში ჯერ კიდევ მე-4 საუკუნის მიწურულიდან დაწყებულია. მე-5 საუკუნის დასაწყისში ქართველებს უკვე თავიანთი ეკლესიები ჰქონიათ. საბა განწმედილი (იგი გარდაიცვალა 532 წელს) თავის „ანდერძში“ მიუთითებს, რომ იბერიელებს (ე. ი. ქართველებს) და ასურელებს, „თავიანთ ეკლესიებში შეკრებილთ, ნება ეძლევათ წარმოსთქვან ჟამნი და სამხრისიანი, წარიკითხონ სამოციქულო და სახარება თავიანთ დედაენაზე“.

მარტო ის ისტორიული ფაქტი რად ღირს, რომ მე-5 საუკუნის პირველ ნახევარში აქ მოღვაწეობდა ქართლის მეფის დიდი ბაკურის შვილი — პეტრე (ეროზაში მურვანი) იბერი (411—491). იგი ბერად 429 წელს აღიკვეცა. მეცნიერულად ისიც ცნობილია, რომ მან მოიარა „ყოველი უდაბნონი“ ეგვიპტისა, „კვალად მოიქცა“ პალესტინაში და იორდანიაში აღაშენა „ადგილსა უდაბნოსა მონასტერი“, ააგო იერუსალიმში „ქალაქსა შინა სახლი სასტუმრო“ და აქვე იწყო „შენებად ეკლესიისა“. ქართული მონასტრის არქეოლოგიური გათხრების დროს მისმა ხელმძღვანელმა ვირჯილიო კორბომ აღმოაჩინა პეტრეს მიერ აგებულ ეკლესიაში ქართული წარწერები მოზაიკით და სხვ. შესანიშნავი სათავსოები...

დიახ, მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრში, მე-V საუკუნიდან აქტიურ კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობაში, სხვა ქართველთა შორის ჩაბმულია ეპის-

კოპოსი პეტრე ქართველი — ამჟამად მსოფლიოში აღიარებული მოაზროვნე.

შემდგომ პერიოდში ქართველი ხალხის მასობრივი ლტოლვა იმანაც განაპირობა, რომ ბაგრატიონთა გვარის მეფეები თავიანთ თავს ღვთაებრივ ჩამომავლებად, დავით წინასწარმეტყველის განშტოებად სთვლიდნენ, დავითისა, რომლისაგან წარმოიშვა ღვთისმშობელი. შემთხვევითი როდია, რომ ისინი თავიანთ სიკვლავს ახე იწყებდნენ: „შეწვენითა და ბრძანებითა ღმრთისათა ჩვენ იესიან დავითიან სოლომონიან პანკრატონიანნი“ — (იგულისხმებოდა ბიბლიური დავით მეფე, მისი მამა იესე და დავითის შვილი სოლომონი). ამიტომ სიკარბოვით სთვლიდნენ თავიანთ მოწოდებად, სახელმწიფოებრივ მოვალეობად სთვლიდნენ, თავიანთი თავი წარმოედგინათ ქრისტიანულ სამყაროს მფარველად და მბრძანებლად. ამან განაპირობა ისიც, რომ ისტორიის მთელ მანძილზე ქართველთა ბრძოლა ახლო აღმოსავლეთში მუსლიმან დაპყრობთა წინააღმდეგ, საბოლოო ანგარიშით, იყო ბრძოლა ორ სარწმუნოებას შორის.

ბიზანტიის კეისარი კონსტანტინე პორფიროგენეტი (912—959) მიუთითებდა რა ქართველი ბაგრატიონების ყოველადწმიდა ღვთისმშობლის შტოდან წარმომავლობაზე წერდა, „რადგან ისინი... იერუსალიმიდან შთამომავლობენ და „რადგან დიდი რწმენა აქვთ მათი და ჩვენის უფლის, იესო ქრისტეს საფლავისა, ისინი განსაზღვრულ ხანებში უხვად უგზავნიან ფულს წმიდა ქალაქის პატრიარქს და იქაურ ქრისტიანებს“. ეს ცნობა იმას მიუთითებს, რომ იერუსალიმში კონსტანტინემდე დიდი ხნით ადრე არსებობდნენ იბერიელთა მონასტრები („გეორგიკა“, IV, ნაწ. II, თბ., 1952, გვ. 258), და ეს ისტორიული სინამდვილეა, ქართულ წერილობით წყაროებს რომ დავეხსნათ, ჯერ კიდევ კონსტანტინეზე სამი საუკუნით ადრე ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოფი კესარიე-

ლი (VI საუკუნე) თხზულებაში „შენობათათვის“ წერდა, რომ: იერუსალიმში იუსტინიანე დიდმა (527—565) განა-ახლა მონასტრები „წმიდა თაღელესი, წმიდა გრიგოლი-სა... იბერთა მონასტერი იერუსალიმში, ლახთა (ასევე ქართულია — ვ. გ.) მონასტერი იერუსალიმის უდაბნოში“ და სხვ. („გეორგიკა“, II, გვ 192).

ქრისტიანული კულტურის კერებისადმი ქართველთა განსაკუთრებული ყურადღება იგრძნობა საქართველოს აუცილებელ ხანაში — IX—XII საუკუნეებში. ეს უპირველესად ითქმის დავით აღმაშენებელზე, რომელმაც „განამდიდრნა“ მონასტერი არა მარტო თავის ქვეყანაში, „არამედ საბერძნეთისნიცა, მთაწმიდისა და ბულღარეთისანი, აღავსნა კეთილითა, უფროსდა საფლავი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, და მყოფნი იერუსალიმისანი“ (ქართლის ცხოვრება, I გვ. 352—353).

თამარ მეფე თავისი ღირსეული წინაპრების მსგავსად, დიდ დახმარებას უწევდა ეკლესია-მონასტრებს, განსაკუთრებით კი იერუსალიმის სახანებს. — ხოლო იერუსალიმისათვის რადღა სახმარ არს თქმად, რამეთუ წარგზავნიდეს ამათ ყოველთა შინა ეკლესიათა ბარძიმ-ფეშხუმებსა და სიწმიდეთა საბურველს და მონოხოთა და გლახათა ოქროთა აურაცხელთა, — გაღმოგვცემს „ქართლის ცხოვრება“. თამარმან ქველი საქმითა და უხვი მოწყალებით, აგრეთვე აავსო ქართველთა ეკლესია-მონასტრები ელადის, მთაწმიდის, მაკედონიის, თრაკიის, კონსტანტინოპოლის, შავი მთის, კვიპროსის და სხვათა. იგი იწვევდა წმიდა ადგილებიდან ბერებს, შეიწყნარებდა და პატივს ცემდა ჩვეულებისამებრ და გასცემდა ყველას დიად და აღავსებდა ყოვლითა სახმარითა. აღსანიშნავია, ისიც, რომ თამარმა, ბასიანის ომის შემდეგ ხავი დაამყარა დამასკოს სულთნებთან (რომლებიც ყოველთვის ავიწროებდნენ და სტანჯავდნენ წმიდა ადგილებში სალოცავად მიმავალ ქრისტიანებს), რის საფუძველზეც აეკრძალათ მათ ქრისტიანთა დევნა-წვალება. ამავე ხელშეკრულებით ქართველებს სრული უფლება მიეცათ ცხენზე ამხედრებულნი, თავიანთი დროშით (ყოველგვარი გადასახადის გარეშე) შესულიყვნენ იერუსალიმში (მაშინ, როცა ყველა შესვლაზე რომელი იხდიდა 14 გროშს (პიასტრს), ბერძენი — 6, ხოლო თვით არაბი ეგვიპტელნი — 3 გროშს) თამარისავე თხოვნით სულთანმა სალადინმა, ქრისტიანებს დაუბრუნა ის ჯვარი, რომელზედაც მიმსჭვალული იყო ქრისტე (ამ ჯვარს დასახსნელად თამარმა გადაუხადა 200.000 დინარი).

ქართულმა ეკლესიამ თამარი წმიდანად შერაცხა ის მას მოიხსენიებდნენ ყველგან. მისი პატივისცემის ნიშნად, ჯვრის მონასტერსაც თამარის ხსენება დაუწესებია, მაგრამ მოსახსენებელი საერთო სვინაქსარში კი არ შეუტანიათ, არამედ მისთვის საკუთარი სვინაქსარი განუწინაოთ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს, მაშინაც კი, როცა აწიოკებული და დაპყრობილი იყო მტერთაგან; არასოდეს მიუტოვებია უყურადღებოდ იერუსალიმის წმიდა ადგილები, — მთელი ერი — მეფენი და მისი ახლობელნი, კათოლიკოსები და მათი მრევლი, თავადნი და აზნაურნი, დარბაისელნი და გლეხნი“ დიდთა და

ცოტათა“ თავიანთი შეწირულებით ყოველთვის ათავისუფლებდნენ ტყვეობისაგან თავიანთ კულტურის კერებს. ამ მიმართებით მრავალზე-მრავალი დოკუმენტია შემონახული, რომელთაგან თავიანთი მნიშვნელობით მეტად საყურადღებო ცნობებს იძლევიან (სწორედ ყველაზე ავბედობის პერიოდში) ჩვენს მიერ წერილის დასაწყისში მოხსენიებული პალესტინის ბერძენთა პატრიარქის დოსითეოსის ეპისტოლენი ქართველი მეფეებისადმი (ერეკლე I, ვახტანგ VI და რუსეთში — არჩილისადმი). აი, რას სწერს 1682 წლის 23 სექტემბერს დოსითეოსი არჩილს: „შენმა შობლებმა ცალ-ცალკე უხვი, მრავალფეროვანი და ძვირფასი დახმარება გაუწიეს უწმიდეს და უპატიოსნეს მაცხოვრის საფლავს... შენს ძმებს და დებს, სიძეებსა და ბიძაშვილებს სურვილი აქვთ წმიდა და პატიოსანი ჯვრის მონასტრისა და სხვების, რომლებიც იერუსალიმშია, დახსნა... დღე და დამ ვტირი ივერიის ხალხისათვის, რადგან დამხობილია ივერიის დედაქალაქი და მასში მყოფი მართლმადიდებელი ქრისტიანები დაქვრივებულბევით არიან და დამორჩილებულნი მოთქმით გოდებენ, ნუგეში კი არსაითა“

ასევე საყურადღებოა გიორგი XI მიერ პატრიარქისადმი გაგზავნილი სიკელი („Акты. Соборные казказской археографической комиссии“, ტ. I, გვ. 26). სადაც ნათქვამია: „ჩვენც თქუენი ბრძანება გავათავეთ და რაც ვალი ჩვენს მონასტერს ემართა, სრულყველას გარდასაწვეტლად მოგართვათ“.

როგორც ვხედავთ, საუკუნეების მანძილზე, ქართველმა ხალხმა, გარდა ეროვნული და სარწმუნოებრივი დაცვის დროს ომებში გაღებული მსხვერპლისა, უდიდესი, შეიძლება ითქვას, აღუწერელი საგანძური და საფასური გაიღო წმიდა სამონასტრო კერების აღსაშენებლად, დასაცავად და ხშირად ტყვეობისაგან გამოსახსნელად. ეს ფაქტი კიდევ უფრო ნათელი გახდება მსოფლიო ხალხებისათვის მაშინ, როდესაც გამოქვეყნდებოდა სხვადასხვა ქვეყნის, უპირველეს რიგში, ეპიბოელი სახელმწიფოების არქივებში, (განსაკუთრებით იერუსალიმისა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოებში) დაცული წერილობითი წყაროები.

## X X X

იერუსალიმში ოცამდე სავანე-მონასტერი არსებობდა „აღშენებულნი მეოთხე საუკუნიდან დაწყებული ვიდრე მე-18 საუკუნის დასრულებამდის ქართველ მეფეთა, მღვდელმთავართა, თავად-აზნაურთა და სრულიად კეთილმორწმუნე ქართველის ერისაგან, ვითარცა ძეგლნი (სახსოვარი ჩვენის ცხოველის სარწმუნოებისა და მართლმადიდებლობისა, ეროვნული ძლიერებისა და დიდებისა“ (პ. კონჭოშვილი, „მოგზაურობა წმ. ქალაქს იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზე“, თბ., 1901 წ., გვ. V—VI).

ხელნაწერებით, მოგზაურთა ჩანაწერებით, მოსახსენებელი ალაპებითა და სხვა სახის საისტორიო წყაროებით მეცნიერულად დადასტურებულია, რომ პალესტინაში ქართველებს შემდეგი მონასტრები ჰქონიათ:

1. ჯვარი, — ქართველთა უდიდესი სავანე, კოლონიის ცენტრი, „შესაკრებლად ქართველთათვის“ აღშე-

ნებული მეფე ბაგრატ კურაპალატისაგან. „რამეთუ პირველი ქრისტიანე ქმნილი მეფე საქართველოჲსა მირიან ხოსროიანი ნინოს მიერ წარმოვლენილ არს, მეფე კონსტანტინე უხილავს და იერუსალიმად მისრულ არს და ჯვარისა მონასტრის ადგილი მას უმოვნია... ხოლო ამა-სა შემდგომად სულიერი ვინმე მონოზონი შავთელი, სახელად პროხორე, მოსრულ არს მონასტერსა და ლავრასა წმიდისა საბასსა დაუდებულა. და მეფესა საქართველოსასა ბაგრატ კურაპალატს საფასე დიდძალი წარმოუცემია ღირსისა პროხორესათვის, რათამცა ჯვარის მონასტერი აღაშენა, და მას აღუშენებია ჯვრის მონასტერი შესაკრებლად ქართველთათვის“ (ტ. გაბაშვილი, მიმოსვლა, გვ. 77-78).

2. წმ. მოციქულთა, — აშენებული საქართველოს მეფის გიორგი I-ის მიერ.

3. მამამთავრის აბრაამისა, — განახლებული გიორგი აბაშიძის მიერ.

4. წმ. ნიკოლოზისა, — აშენებული საქართველოს დედოფლის ელენეს მიერ.

5. წმ. იოანესი, — აშენებული სამცხის ათაბაგის მიერ.

6. წმ. ვასილისა, — აშენებული ამირანდო ამილახვრისა და თაქოს მიერ.

7. მეორე სავანე წმ. ნიკოლოზისა, — აშენებული პატა და ქაიხოსრო წულუკიძეების მიერ.

8. წმ. თედორესი, — აშენებული ბეჟან და ბაადურ ჩოლოყაშვილების მიერ.

9. წმ. თეკლასი, — აშენებული ქრისტეფორე ზედგენიძის მიერ.

10. წმ. გიორგისა (ურიათ უბანში), აშენებული თავად დადიანის მიერ.

11. დედათა მონასტერი პატივად მირქმისა უფლისა, აშენებული რაჭის ერისთავის მიერ.

12. წმ. დიმიტრისა, — აშენებული შალვა ქსნის ერისთავის მიერ.

13. წმ. ქალწულ მოწამის კატერინას სახელობის ქართველ დედათა მონასტერი, — აშენებული ციციშვილებისა და მაჩაბლების მიერ.

14. ტაძარი ქრისტეს აღდგომისა გოლგოთაზე.

15. ტაძარი წინასწარმეტყველისა საბუქელისა.

16. წმ. მოციქულისა და იაკობ ზებედეისი (ჯვრის შემდეგ: „სიმღიდრითა და მშვენიერებით არც ერთი კვლესია არ შეედრება მას“).

17. ტაძარი მამისა საბა განწმენილისა (საბაწმიდა). „საბას ლავრა იყო უმნიშვნელოვანესი და ამავე დროს უძველესი საზღვარგარეთული ცენტრი ქართული კულტურისა და მწერლობისა, სადაც VIII—IX საუკუნეებში დულდა ქართველების ნამდვილი ინტენსიური ლიტერატურული შემოქმედება“ (კ. კეკელიძე).

18. სვიმეონ ღმრთის მიმრქმელისა.

19. წმ. იოანე ნათლისმცემლისა იორდანის ნაპირზე. შემორჩენილი ცნობებით (ჯვრის მონასტრის აღაპებით, სინის მთის მატანითა და იერუსალიმის ხელნაწერთა ანდრეა-მინაწერებით) ჯვრის მონასტერში — ქართული კულტურის ამ დიდებულ სავანეში. სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ და ჯვარის მამად, წინამძღვრებად მოიხსენებებინ:

XI საუკუნეში — პროხორე, გიორგი.

XII საუკუნეში — .....

XIII საუკუნეში — ლუკა, მარტიანე, გაბრიელ სანატრელი, მარტიანე, საბა.

XIV საუკუნეში — სოლომონი, იოანე, სვიმონი (ელმელიქისძე), სვიმონი (ციდაშვილი), გერმანოზი, ქერაბინი, იოსები.

XV საუკუნეში — პიმენი, იოანე, ქრისტეფორე ზედგენიძე, დანიელ ნიქოშელი.

XVI საუკუნეში — ბენეა ჩოლოყაშვილი, იოკიმე, ბარნაბი, ეპიფანე, იოსებ არქიმანდრიტი.

XVII საუკუნეში — თეოდოსე რევიშვილი, ნეოფიტე, მაკარი, ნიკიფორე ჩოლოყაშვილი, მარკოზი, გაბრიელი, იოსები, მელეტი.

XVIII საუკუნეში — პართენიოსი, 1739 წელს — გერასიმე, (ელ. მეტრეველის „მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის“, გვ. 36-40).

X X X

იერუსალიმის ჯვრის მონასტერი ისტორიული ტრადიციით და წერილობითი წყაროებით, როგორც აღვნიშნეთ, დაკავშირებულია საქართველოში ქრისტიანობის მიღების პერიოდთან (IV საუკუნე). ამაჟამად, როგორც ჩვენთან, ისე უცხოეთში გავრცელებული ვერსიით, მის დაფუძნებას უკავშირებენ მირიან ქართლის მეფეს, რომელმაც შეიძინა ადგილი მონასტრისათვის და მანვე ააგო ეკლესია, რომელიც შემდეგ განაგრძო და კეთილმოაწყო ვახტანგ გორგასალმა. მანვე ჩაასახლა იერუსალიმის ახლოს ქართველები მონასტრის დასაცავად (როგორც გადმოგვცემენ, ამაჟამადაც ცხოვრობენ უკვე გაარაბებული გურჯები — „აწ არაბნი იერუსალიმელი ქართველნი“). წერილობითი წყაროები გვაუწყებენ, რომ:

— „ხელმწიფეთა ვახტანგ და ბაგრატ და დავით დავითიანთა, რომელთა აღაშენეს წმიდა ესე მონასტერი“; „კურთხეულნიც არს სული მამისა პროხორესი, რომელმან აღაშენა მონასტერი ესე სამლოცველოდ მეფეთა ბაგრატიანთა“. ზოგიერთი ცნობით, ვახტანგის შემწეობით ტაძარი აუგია პეტრე იბერს. ყველა ერთხმად მიუთითებს, რომ ეს მონასტერი აგებულია იმ ხის ადგილზე, რომლისაგანაც გაკეთდა ჯვარი და რომელზედაც აცვეს (მიმსჭვალეს) ქრისტე.

ერთი კი უტყუარი ჭეშმარიტებაა, — დღევანდელი ჯვრის ქართველთა მონასტრის შენობა თავისი სამლოცველოებით, სენაკებით და ზღუდე-სიმაგრეებით (რომელიც არსებითად წარმოადგენს ციხე-ქალაქს 323 ოთახით) აშენებულია ქართველი მონოზონის პროხორეს (ერისკაცობაში გიორგის) მიერ XI საუკუნეში. „ღირს ვიქმენ შე, გლახაკი და ფრიად ცოდვილი გიორგი — პროხორე, სახელად ოდენ მღვდელი, ხოლო საქმითა არა ღირსი, რომელთა შემძლებელ ვიქმენ უძღურებითა და სიკლახაკითა ჩემითა აღაშენებად, წმიდასა ამას ცხოველსამყოფლისა ჯვარისა ადგილსა“, — ვკითხულობთ მონასტრის დამაარსებლის მინაწერს 1038 წლის ერთ ხელნაწერზე. ჯვრის მონასტრის ამშენებლად პროხორე

დასახელებულია „გიორგი ათონელის ცხოვრებაშიც“. რადგან გიორგი ამ მონასტრის აგებამდე ჯვარელად იწოდებოდა, — „ბრძანებითა შავსემოსილისა წმიდისა მამისა... გიორგი ჯვარელისაითა“ (А. Цагарели, Памятники, стр. 186) — იგულისხმება, რომ სანამ ის ააგებდა ამ დიდებულ სავანეს, მანამდე ამ ადგილზე არსებობდა ჯვრის კვლესია. ბუნებრივია, შემდგომ პერიოდშიც, ქართველთა დახმარებითა და შემოწირულებით, იზრდებოდა სავანეთა რიცხვი და შესაბამისად იცვლებოდა მონასტერიც, რომ არაფერი ვთქვათ, მიშენებაზე დაზიანების შედეგად, ან კიდევ მჩუვთად, საცხოვრებლად, სასულიერო სასწავლებლად, ზოგჯერ ციხე-სიმაგრედ გადაკეთება-გადმოკეთების შედეგად ცვლილებებზე.

ჯვრის მონასტერი იყო ქართული კულტურის მოღვაწეთა მიზიდვისა და სულიერი აღზრდის მთავარი კერა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ჯვრის მონასტერში არა მარტო პილიგრიმები მოდიოდნენ, არამედ ქართველებს აქვე მოქონდათ ძვირფასი ნემთი საქართველოს დიდებული შვილებისა.

ამ ტაძართანაა დაკავშირებული დიდი ქართველი მოაზროვნისა და შწერლის, შოთა რუსთაველის (მეჭურჭლეთუხუცესის) სახელი. გადმოცემით, მან თავისი უკანასკნელი დღეები გაატარა იერუსალიმში და იქვე — ჯვრის მონასტერში დაიდო საშუალოდ სასუფეველი. ჯვრის კედელზე შოთას სურათი წარწერით და მისი დეაწლის გამო აღაპის დაწესება დამაჯერებლად მეტყველებს, თუ როდენ დიდი და მნიშვნელოვანი იყო სა-ქართველოსთვის, ყოველი ქართველისათვის ჯვრის მონასტერი (აქვე უნდა იყოს გადმოსვენებული პეტრე იბერის და სხვათა ნეშტიც).

ძველად, ყველა იმ ხალხთა შორის, — წერს რ. ჟანენი თავის წიგნში „ქართველები იერუსალიმში“, — ქართველებს განსაკუთრებული უპირატესობა და დიდი გავლენა ჰქონდათ წმიდა ქალაქში და მათ ერთი უპირველესი ადგილი ეჭირათო“. ასეთი გამოთქმა უცხოელი პირისაგან სრულიად არ არის გადაჭარბებული. ამ უპირატესობაზე მიუთითებს არა ერთი ისტორიკოსი და მოგზაური, თვით მაშინაც კი, როცა ჯვარი დატყვევებული იყო, წმიდა ადგილებზე საქართველოდან ჩასულ მლოცველებს თავაზიანად ეპყრობოდნენ, — არაბი მოხელეები მათ იერუსალიმში მიაცილებდნენ ალექსანდრიისა და უკან დააბრუნებდნენ ხოლმე, რომ გზაზე რაიმე ხიფათს არ გადაჰყროდნენ. საინტერესო ცნობას გადმოგვცემს უცხოელი ეპისკოპოსი ჟაკ დე ვიტრიც (დამოწმებული აქვს რ. ჟანენს), იერუსალიმში ქართველების უფლებებზე. ეგვიპტელთა ბატონობის პერიოდშიც, მას შემდეგ, რაც ჯვაროსნებმა საშუალოდ დაჰკარგეს იერუსალიმი (1244), ასეთი ცნობებიც არსებობს: „ცხოვრობს აღმოსავლეთში ქრისტიანი ხალხი — ომის მოყვარული და ბრძოლებში გამოცდილი. მას ჰყავს უამრავი მებრძოლი. მეტად დაშინებული ჰყავს სარკინოხნი და თავდასხმების დროს დიდ ზარალს აყენებენ სპარსელებს, მიდიელებს და ასურელებს, რომელთა მოსახლდრეოთაც ცხოვრობს, ვინაიდან გარშემორტყმულია ურჯულოებით. მათ ეწოდებათ ქართველები... როდესაც ისინი მიდიან

ქრისტეს საფლავის თავჯანისაცემად, წმიდა ქალაქში შედიან გაშლილი დროშებით, ბაჟის გადახდის გარეშე. რაც შეეხება სარკინოხნებს, ისინი ვერ ბედავენ მათ შეწუხებას, რათა უკან დაბრუნებისას ქართველებმა ჯავრი არ იყარონ მათ მეზობლად მცხოვრებ სარკინოხნებზე. ქართველები ძალზე აღშფოთებულნი არიან და ეძუებიან ორადინუსს — დამასკოს პრინცს, იმის გამო, რომ მან განიზრახა იმათი სურვილის გარეშე იერუსალიმის კედლების დანგრევა“.

როცა იერუსალიმი ბაჰილების დინასტიის მამლუქი სულთნების ხელში გადავიდა და ქართველთა ჯვრის მონასტერი „დაატყვევეს“ და მიზიგითად გადააკეთეს (1273 წ.), — როდესაც იერუსალიმის ქართველთა კოლონიას განსაკუთრებული მძიმე გასაჭირი, ტრაგიკული დრო დაუდგა, მაშინ მთელი საქართველოს წინაშე დადგა საკითხი, რაღაც არ უნდა დასჯდომოდით, შეენარჩუნებიათ თავიანთი უფლებები ქართველთა უმთავრესი სავანის — ჯვრის მონასტერზე, დაეხსნათ იგი მტრის ხელიდან. როგორც იერუსალიმის ჯვარელი მოღვაწე იყო, ისე მათი თანამემამულეები საქართველოდან არაფერს ზოგავდნენ ამ მიზნის მისაღწევად. ჯვრის მონასტრის აღაპებში მრავლად მოხსენებული არიან ისინი, ვინც ხელი გაუწოდა ქართველთა ჯვრის მონასტერს (დიმიტრი თავდადებული, გრიგოლ ფანასკერტელი, სარგის ჯაყელი და მრავალი სხვანი). ამ შემთხვევაში ქართველთა მეფეებმა დიპლომატიურ ხერხსაც მიმართეს. მათ ეგვიპტეში გაავზავნეს ელჩები მოსალაპარაკებლად. ქართველი დიპლომატები კონსტანტინეპოლში ჩავიდნენ. ბიზანტიის იმპერატორმა ანდრონიკე II-მ (1282—1328) ქართველებს თავისი დესპანიც გააყოლა. ქართველებმა საწადელს მიაღწიეს, — კაიროში მოლაპარაკებისას სულთანმა დაითანხმეს და ქართველებს დაუბრუნდათ მჩუვთად გადაკეთებული ჯვრის მონასტერი. მათვე უფლება მიეცათ ტრადიციულად იერუსალიმში შესვლისას ცხენ-სახედარზე მსხდარიყვნენ (В. Тизенгаузен. заметка Зкалкашанды о Грузии, — Записки восточного отделения русского археологического общества, 1886, 1, 3, стр. 212—213).

როგორც არაბულ დოკუმენტში ვკითხულობთ: „ჩამოვიდა კონსტანტინოპოლის იმპერატორის ელჩი, გურჯების მეფის ელჩის თანხლებით, რომელმაც ჩამოიტანა საჩუქარი და წერილი, რომელშიც უფლისწული მოითხოვდა იერუსალიმში მუსსალაბის (ჯვრის) მონასტრის გახსნას, რათა ქართველებს შესძლებოდათ, თუ მოისურვებდნენ, წასულიყვნენ იქ სალოცავად... გამოსცეს ბრძანება ეკლესიის გახსნის შესახებ, რაც შესრულებული იქნა“ (ვ. ტიზენგაუზენი, იქვე). როგორც აკად. ე. მეტრეველმა გაარკვია (იხ. მისი „მასალები“, გვ. 47—48) ჯვარის მონასტერი გამოიხსნა ქართველთა მეფე დავით VIII-მ (1293—1311) ჯვარის გამოსხნაში მეორედ აშენებაში — დავითისათვის დახმარება გაუწევიათ აფხაზთა მეფეს კონსტანტინეს (დავით ნარინის ვაჟს) და ბევრ სხვა დიდებულ და სასულიერო მოღვაწეს. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ დაპყრობის შემდეგ, ქართველებს უზღებოდათ არა მარტო საკუთარი მონასტრების ხელმეორედ დახსნა, — „მეორედ აშენება“, არა-

მედ მონასტრების შემოგარენისაც, ბალ-ვენახებისაც და სხვ. დამხმარე მურნეობების შესყიდვაც.

როგორც ცნობილია, მე-14 საუკუნის დასასრულს აღმოსავლეთის ხალხებს დამპყრობთა ახალმა, დამანგრეველმა ტალღებმა გადაუარა, — გამოჩნდა თემურ ლენგი, რომელსაც მთელი მსოფლიო მხოლოდ ერთი მბრძანებლისათვის მიაჩნდა საკმარისად...

მისი, ამ დამპყრობლის სისხლიანი ხელი საქართველოსაც და მის წმიდა ადგილებსაც მისწვდა. „აქა მოვიდა მაწყურელი პიშენ მას ჟამს, — გადმოგვცემს მატინანე, — ოდეს თემურ დიმახში ააოხრა და ჯვარისა სახლი აშლით ააოხრეს“. თემურმა დიმახში (დამასკო) აიღო 1400 წელს. სწორედ ამ დროს მისულა დასახმარებლად მაწყურელი მღვდელმთავარი პიშენი ჯვრის მონასტერში, — ზეთი და ცვილი შემოსწირო“. ამ პერიოდშიც იერუსალიმელ ქართველებს მატერიალური დახმარების ხელი, ჩვეულებისამებრ, მრავალმა გაუწოდა საქართველოდან.

როგორც ისტორია გვაუწყებს, მიუხედავად დაპყრობისა, XV საუკუნის დამდეგს და შემდგომშიც, ქართველები სხვებთან შედარებით ერთგვარ პრივილეგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ თავიანთი მონასტრების „უფლებამოსილების“ საქმეში და კარგადაც იხსენებინან. ალ-კალკაშანდი თავის „დიპლომატიურ საცნობაროში“ ქართველ მეფეს სხვა ტიტულებთან ერთად, იხსენიებს როგორც ქრისტიანული რელიგიის დამცველს, სამართლიანს ქვეშევრდომების მიმართ, ბერძენ მეფეთა შორის საუკეთესოს ზღვათა და სრუტეთა სამეფოს განძთა მცველს, ქრისტიანთა სახელის განმადიდებელს და გვირგვინს, ქრისტიანობის საყრდენს, „რომელმაც თავისი მოქმედებით განამდიდრა და აღამაღლა წმიდათა წმიდა სახლი იერუსალიმისა; მირონცხებულთა საყრდენი, შემწე რომის პაპისა“.

კიდევ უფრო გაუარესდა მდგომარეობა მას შემდეგ, რაც თურქებმა ბიზანტია დაიპყრეს, როცა 1453 წელს კონსტანტინოპოლი დაეცა. ამ პერიოდში ქართველებს თავიანთ ქვეყანაში საკუთარი სადარდებელი შეექმნათ, — ხმალამოდებულ ბრძოლაში ჩაებნენ დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის...

ბოლოს და ბოლოს ძლიერი სახელმწიფო სამთავროებად დაიშალა, დაკნინდა ეკონომიურად, დაუძღურდა. ყოველივე ეს დაეცეთ საქართველოს გარეთ მყოფ ქართულ მონასტრებს და პირველ რიგში ჯვარს; დახმარება იერუსალიმის ქართული კოლონიისადმი შენედა, მაგრამ არ შეწყვეტილა. „ცხოვრების ასეთმა გაჭირვებაში, სამშობლოსთან მიმოსვლის გაძნელებამ და გულუხვ მლოცველთა შემცირებამ უცხოეთში არსებული ყველა ქართული მონასტერი საშინელ მდგომარეობაში ჩააგდო და არსებობის უმთავრესი წყარო მოუსპო. მძობას თავისი თავის შენახვაც კი უჭირდა და რა გასაკვირია, თუ რომ გადასახადების გამოდება გაუძნელებლად და საშინელ სიღარიბეში ჩაცვივდებოდნენ“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 276). რადგან ქართველებისათვის წმიდა ადგილების დაცვა წარმოადგენდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ღირ-

სებას, ამ გაჭირვების უამსაც უფურადღებოდ არ სტოვებდნენ თავიანთ თანამემამულეებს იერუსალიმში. სწორედ ამ პერიოდში მიიღეს მათ ზაზა ფანასკერტელ-ციცი-შვილისაგან „დიადი საქონელი“, ხოლო სერაპიონ კუმურდოელის მისვლით დაიწყო ჯვრის მონასტრის ტრაპეზი, და იოანე მახარებლის საყდრის მეორედ აღმშენებლობა. ასე იყო XV საუკუნის მიწურულამდე, როცა თმოგველმა, უჯარმელის ასულმან მარინემ აღაშენა „ჯვრის პატიონისისა გალავნისა ბურჯი“, ამილახორის თაყოს ქალმან რიფსიმემ დაიხსნა მონასტრის მარანი, მეორედ იყიდა წისკვილი და ა. შ. (ე. მეტრეველი, მასალები, გვ. 90, 124, 165 და სხვ.).

XVI საუკუნის დასაწყისში იერუსალიმში ჩავიდა შტეტაბუკ ათაბაგის მიერ გაგზავნილი პირი ამბროსი, შემდეგ — ბეენა ჩოლოყაშვილი — „ჯვარის მამად მივლინებული“. იერუსალიმში ბ. ჩოლოყაშვილმა ფრანგთა გოლგოთა დაავადებინა და სომხებს დავა გაუმართა იაკობის ტაძრის გამო. დიდი შეწირულებით ესტუმრა ზოსიმე კუმურდოელი იერუსალიმს და კვლავ დაიხსნა გოლგოთა, — „მას ჟამსა ფრანგთა გოლგოთა წავგართვეს და მან დაიხსნა, ოთხასი ფლორი გამოიღო“.

იერუსალიმში ქართველთა ხშირი ჩასვლა, მათი ზრუნვა ჯვარსა და სხვა საგანებზე, ძველ უფლებათა აღდგენაზე, ძველი ხელნაწერების ბედზე საკმაოდ შესამჩნევი იყო. აღნიშნულის შესაბამისად ქართველებს იქ პატივს სცემდნენ, მათ ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდათ ზოგიერთი პრივილეგია. ამაზე საგანგებოდ წერდნენ უცხოელი მოღვაწენი: ი. პასიშტეინსკი (1493), მ. ბაუმგარტენი (1507), ლ. ჩუდი (1519), ბ. დე სალინიაგო (1522) და სხვ. ისინი ერთხმად აღნიშნავენ, რომ ქართველები კვლავ გაშლილ-აფრიალებული ეროვნული დროშებით, — საზეიმოდ მორთულ-მოკაზმულ აქლემებსა და ცხენებზე მსხდომნი, — თავისუფლად, ბაჟის გადაუხდელად, შედიოდნენ იერუსალიმში. მაგალითად, ჩეხი მოგზაური ი. პასიშტეინსკი, იერუსალიმში ყოფნისას აღნიშნავს, რომ ქრისტეს საფლავის ეკლესიაში რვა ქრისტიან ხალხს აქვს თავისი სამლოცველო: „პირველთა აქვთ საერთო სარწმუნოება ჩვენთან (იგულისხმება რომაელი კათოლიკები, — ვ. გ.), მეორენი არიან ბერძნები, მესამენი — ქართველები, მეოთხენი — იაკობიტელნი, მეხუთენი — სირიელნი, მეექვსენი — ინდოელნი, მეშვიდენი — სომხები და მერვენი — მარონიტები“. საყურადღებო ფაქტი ისიცაა, რომ ამ ხალხებიდან ქრისტეს საფლავის ეკლესიაში: რომაელებს ჰქონიათ 11 კანდელი, ბერძნებს — 9, ქართველებს — 13, იაკობიტელებს — 5, სირიელებს — 5, ეთიოპიელებს — 4, სომხებს — 4 და მარონიტებს — 5. ასე რომ, მე-15 საუკუნის ბოლოს და მე-16 საუკუნის დასაწყისშიც ქრისტეს საფლავის ეკლესიაში კვლავ პრივილეგიებით სარგებლობენ და პირველი ადგილი უჭირავთ ქართველებს (იხ. გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, 1960, გვ. 6-7). ერთი უცხოელი მოგზაური ლ. სუდჰეიმი კი (1331-1341 წლებში იყო იერუსალიმში) პირდაპირ მიუთითებს, რომ ქრისტეს საფლავის ეკლესიის გასაღებს ქართველები ფლობენ

(„არხივე დე ლ'ორიანტ ლატინ“, II, პარიზი, 1884, გვ. 353—354; დამოწმებული აქვს რ. ჟანენს „ქართველები იერუსალიმში“). უცხოელ მეცნიერთა აღიარებით ქართველებს ეს უფლება XV საუკუნის ბოლომდე ჰქონიათ.

როგორც აღვნიშნეთ, 1512 წელს ბენა ჩოლოყაშვილმა ფრანგებს კვლავ „დააგდებინა გოლგოთა“, ხოლო მანამდე — „გოლგოთა... ბაგრატ მეფეს (1466—1478), აღექსანდრეს მძისწულს, უშოვია, გუმბათი აღუშენებია დიდის საფასით. იგულისხმება, რომ ჯვრის მონასტრის მსგავსად, ქრისტეს საფლავის შენარჩუნება, მისი ხელმეორედ დაბრუნება „დიდ საფასად“ უჯდებოდათ ქართველებს.

მე-16 საუკუნეში, მართალია, ქართველებს არ შეუძლებოდათ ბრძოლა იერუსალიმში ძველი უფლებების შენარჩუნებისათვის, მაგრამ მათი მდგომარეობა მეტად გაუარესებულია. ამ ფაქტზე თავიანთ ყურადღებას ამახვილებენ უცხოელები — ვ. პოზნიაკოვი (1558—1561), ლ. რაფოლოვი (1573), ს. შვაიგერი (1577—1581), ნ. რაბივილი (1582—1584), ტ. კორობეინიკოვი (1593), ი. სოტოვიკი (1598) და სხვ. (ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები საზღვარგარეთ, თბილისი, 1980, გვ. 142).

ამ დროს ქართველები ორმხრივ გასაჭირში აღმოჩნდნენ: ჯერ ერთი, რომ ისინი თანდათანობით ჰკარგავდნენ თავიანთ მონასტრებზე უფლებებს და მათ ეპატრონებოდნენ ბერძენები და სხვები; მეორე — თურქ-ოსმალებმა, პალესტინის დაპყრობის შემდეგ, დაუწყეს დიდი გადასახადი, როგორც ქრისტიანულ ტაძრებს, ისე იქ მომსახურებელ მღვდლებს. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, იერუსალიმში მყოფი ქართველები, შემოსავლის შემცირებითა და საშობლოდან დახმარების შეწყვეტის შედეგად, თანდათანობით ვალეებში ვარდებიან. გადასახადების გამო გაუჭირდათ თვით ბერძენებსაც. ამის გამო ისინი იძულებულნი გახდნენ მე-17 საუკუნის დასაწყისში საპატრიარქო იერუსალიმიდან კონსტანტინოპოლში გადაეტანათ (*История святого графа Иерусалима, т. II, Санкт Петербург, 1844 2 стр. 298*). დიდ გაჭირვებაში აღმოჩნდა ქართველთა ჯვრის მონასტერი. ამ გაჭირვების ფაშს, ჯვრის მონასტრისადმი დიდი ზრუნვა და დახმარება გასწია მესხეთიდან ჩასულმა ფილიპე შაქარაშვილმა, რომელმაც ჩაიტანა „საიერუსალიმო თეთრი“, იქ დაჰყო წელიწადნახევარზე მეტი და იერუსალიმის მონასტრები — ჯვარი, გოლგოთა, კათამონი, წმ. გიორგის ეკლესია და სხვ. ზოგი აღადგინა, ზოგი შეამკო, ზოგს დაგირავებული საეკლესიო ნივთები დაუხსნა. მიუხედავად გაჭირვებისა მე-16 საუკუნეში ქართველები, კვლავ კარგი ავტორიტეტითა და სახელით მოიხსენებიან. მაგალითად, პოლონელი მოგზაური ნ. რაბივილი (1549—1616) პირდაპირ მიუთითებს, რომ „კათოლიკეთა და ყოველთა აღმოსავლეთის ეკლესიისა ქრისტიანეთა დიდი პატივისცემაა ჯვრის მონასტრისადმი. (*Путешествие по святым местам и в Египет князя Н. Радзивила, Петербург, 1787, стр. 131*).

კიდევ უფრო რთული პირობები შეექმნათ ქართულ მონასტრებს XVII საუკუნეში. „ისინი კინდა დაინგრ-

ნენ... ჯვრის მამებიდან — გაბრიელი მოჰკლეს, იოსები — დამით გაიქცა იერუსალიმიდან, მელეტი კი რამდენი წელიწადია სადილეგოშია“ (დოსითეოსის წერილიდან). მართალია, საქართველოდან თითქოს გააღლირდა კიდევ შეწირულებანი და სხვა სახის დახმარება (ჯვრის მონასტრისათვის საქართველოში ბეგარაც კი აიკრია), რომლის მიზანი იყო სხვათა ხელში გადასული სავანეების დაბრუნება და ძველ ნაგებობათა აღდგენა, მაგრამ ამით საქმეს არაფერი ეშველა.

XVII საუკუნეში, ვინც იერუსალიმის ქართული კოლონიის — დაკნიების ფაშს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იერუსალიმში ქართული კულტურის უდიდეს კერას — ჯვრის მონასტრს, იყო ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი (1585—1659), რომელიც ჯვრის მონასტრის მოვლინა არა მარტო დამხმარედ, არამედ წინამძღვრად და მეთაურად. იგი დიდი ქართველი, გამოჩენილი პიროვნებაა. რომში განათლების მიღების შემდეგ, მოღვაწეობდა კახეთში თეიმურაზ პირველთან, იმერეთში ალექსანდრე მეფესთან, სამეგრელოში ლევან დადიანთან; მოვლილი ჰქონდა მსოფლიოს ბევრი ქვეყანა; 1614—1626 წლებში ცხოვრობდა იერუსალიმში, განმეორებით 1643—1649 წლებში კვლავ იერუსალიმშია, როგორც ჯვრის მონასტრის მამა და ხელმძღვანელი.


„სამცხე თურქთა დაიჭირეს და გაათათრეს, კახეთი და ქართლი სპარსთა დაიჭირეს. მას ჟამთა მომხვდა მეცოდვილსა ჯვარის მამობა... ესრეთ შევაძვევე (ჯვრის მონასტერი) რომელ სრულიად საბერძნეთი და არაბისტანი გაკვირდა“, — გადმოგვცემს ნ. ჩოლოყაშვილის შესახებ წარწერა (*А. Цагарели «Сведения», 1,3 стр. 51—52*). ნ. ჩოლოყაშვილის დამსახურებაა წარმოჩენილი ბერძნულ წარწერაშიც 1643 წელს (*П. Иоселиани, «Разбор некоторых подписей грузинских», Петербург, 1865, II стр. 142*).

მიუხედავად ნ. ჩოლოყაშვილის დიდი მცდელობისა და აღმშენებლობითი საქმიანობისა, განსაკუთრებით ჯვრის მონასტერში ეკონომიურად სულ უფლებრივად სულ უკან-უკან მიდიოდა მისი საქმე. ვერც დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსი მაქსიმე მაჭუტაძის იერუსალიმში რამდენჯერმე ჩასვლამ, ვერც ქართლის მეფის გიორგი XI-ის დახმარებამ და ჯვრის მონასტრის ვალეებისაგან გათავისუფლებამ, ვერც პილიგრიმების ღვაწლმა, ვერც საქართველოში არსებულ ჯვრის მონასტრის ყმა-მამულებიდან გაგზავნილმა საფასურმა, ვერც ჯვრის წინამძღვრების კალმასობამ, ვერც იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის პატრიარქების სტუმრობამ საქართველოში (ამ საუკუნეში იერუსალიმის ოთხი პატრიარქიდან 3 — თეოფანე, პაისიოსი და დოსითეოსი — ეწვივნენ სწავლას საქართველოს), ვერც ქართველი მეფეებისა და მთავრების დიდი შეწირულებით ქართული სავანეების ვალეებისაგან გათავისუფლებამ და ქართველებისათვის „დაბრუნებამ“, ვერ უშველა საქმეს, — ქართულ მონასტრებს უცხოელები დაეუფლნენ.



ამავე პერიოდიდან, ბერძენმა მღვდელმთავრებმა მშობლიურ სავანეებს ჩამოაშორეს ქართველები და სხვადასხვა ეკლესიაში დაქსაქსეს. ჯვარში დარჩენილებს



იერუსალიმის ცა



იერუსალიმი. ჯვრის მონასტერი



ფინეთის საეკლესიო მუზეუმის ჯავშნიანი შუბის ქვეშ უსახელოდ, ანონი-მურად გამოფენილი ორი ქართული მინანქარი.



საქართველოს ეკლესიის დელეგაცია იერუსალიმში. საზეიმო მსვლელობა ქრისტეს აღდგომის ტაძართან.



ჯერ სასტიკად შეუხლუდეს, ხოლო შემდეგ მთლიანად ნაპარტყვს გამგებლობა, დაეუფლნენ მონასტერს და მის უდიდეს სიმდიდრეს (იხ. რუსი მოღვაწის სერაპიონის ცნობები ქართული მონასტრების შესახებ).

ამ დროის საქართველო თურქთა და სპარსთა დაუსრულებელი შემოსევებისაგან დაუძღვრებულა. მოშლილია ქვეყნის სახელმწიფოებრივი წყობილება. თვით ქართველ მეფეებს ხშირად საკუთარ სამფლობელოშიც აღარ უღვრებოდათ. დიდი მცდელობა აქვთ დახმარება მიიღონ წრდილოეთიდან — ერთმორწმუნე რუსეთის სახელმწიფოსაგან...

ასეთი მდგომარეობა შესაძლებლობას არ იძლეოდა აქტიური მოქმედებისაკენ, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ. ქართველებს თითქოს „დავიწყდათ“ ძველი ტრადიციები, მამა-პაპათა სისხლითა და ცეცხლით ნაწერი ისტორია... მათი წმიდა ადგილები. „დავიწყება“ პირობითად თუ ითქმის: იერუსალიმის საპატრიარქო მე-19 საუკუნის მანძილზეც, გარდა საქართველოდან გაგზავნილი საჩუქრებისა, თავისი წარმომადგენლებით — ბერძენი ბერების მეშვეობით იღებდა საქართველოდან კარგ შემოსავალს: გადასახადებს ერთი მხრივ ემა-მამულებისაგან (სოფლებიდან — მარტყოფი, კონდოლა, წინანდალი და სხვ.), ხოლო მეორე მხრივ თბილისის ჯვრის მამის ეკლესიისაგან, რომლის ხელმძღვანელი წარმომადგენდა აგრეთვე იერუსალიმის ჯვრის რწმუნებულს, აგროვებდა შეწირულებებს და უგზავნიდა ჯვრის მონასტერს.

სწორედ ამ პერიოდში მოისმის იერუსალიმიდან „წმიდა საფლავსა და სისხლ მუწამულს გოლგოთას მდგომი, მლოცველი, საბრალო ქართველი ქალის“ გოდება-დაღადისი ეროვნული ღირსების დასაცავად, წმიდა ადგილების შესანარჩუნებლად და, საბოლოო ანგარიშით, ეროვნული სულის გადასარჩენად. საბრალო მონოზონი მართა წერილით მიმართავს დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსს გრიგოლს (1696—1742) და წერს: „ამისთანა რა გასაჭირი არის, რომ აქაურობა ასრე დაკარგეთ?... წამობრძანდით, ამათა აღარა უნდა ჩვენი კაცი, რომ მონასტრები საქართველოსი ამათ ჩაივდეს ხელად და ჭამენ. რა უანგარიშო საქონელი გამოზიდეს ჩვენი მონასტრების!.. ნუ იქნთ, ნუ დაკარგავთ ამ მეუფის სახლს. ყოველი სული ამისთვის კვდების, რომ აქ ერთის ტრაპეზის დასადები ადგილი იშოვნოს, და თქვენ სულ იერუსალიმი დაკარგეთ... დიდი სირცხვილი არ არის ესა, რომ პატროსანი დიდი წმიდა იაკობის მონასტერი სხვეებმა იშოვნეს? ხვანთქარი მოატყუეს და ახლა სხვათა აქუს. ბეთლემი ფრანგმა აიღო, მაგრამ მაგათ შიში და მოლოდინი აქუს და ჩვენი სამწირველო ისრევ მორთული არის: თუ არ მოხვალთ, დააქცევენ... ერთი ელჩი გამოგზავნეთ ხვანთქართან, ისრევ მოგცემთ. უსაცლოდ გოლგოთასაც და ეტესამანიას დაიჭირავს ფრანგი, თუ არ მოეშველებით. ამათი კერძი გოლგოთა დაიჭირა, ჩვენი ჯერ კარგად არის. ერთი თავი ჯვარის მამა გაიხინეთ, რომ წამოვიდეს. ან ერის კაცი, ან ბერი გამოაშურეთ ამ ქვეყანას; თვარამ წახდა საქმე... თუ ასრე არა იქთ, ეს მონასტრები და იერუსალიმი დაგეგარვიან. ნუ იქთ, სხვას ნუ უყურებთ... თუ იერუსალიმი დაგეგარვიან,

რასღა სჯული და რაღა პირჯვრის წერა გეკნებათ“ (ე. მეტრეველი, მასალები, გვ. 0191—0192).

ასეთივე ღიდ გულისტკივილს გამოხატავს XIX საუკუნის დასაწყისში ქართველთა კოლონიის მონახულების შემდეგ, მღვდელმონოზონი ლავრენტი გუგუელაძე: „თქვენ პატროსანო მამო ქართველნო... გაკვირვებულ ვარ რასათვის გაგიშვიათ და დაგივიწყებიათ დიდებული და ნათლით შემოსილი ესე ქალაქი იერუსალიმი. ჰეი, უღებებასა და უსასობასა ჩვენი ქვეყნისა...“


„ჩვენს ეკლესიებში ყველგან ქვები და წერილები აცხადებს ჩვენს ნაჭირნახულებს და თუ ვის გაუკეთებია და ხარჯი უქნია და ვინც ამ ჯვრის მონასტერში (მოხვიდეთ), გოლგოთის სვინაქსარი აქ არის და დასაწყის თავში იხილეთ და ნახეთ, თუ ვისია გოლგოთა. და აქა ჯვრის მონასტერში მხედრული დაწერილი მოსახსენებელი სახელები განიხილეთ დოსითეოს პატრიარქის დროს და მით სცნობთ, ამ წმიდა ალავის ამბავს და ვინც ამოიკითხოთ, ცოდვილისა მონოზონის ლავრენტისათვის შენდობა ბრძანეთ“ (იხ. ნ. მარი, იერუსალიმის ქართული ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 43; ე. მეტრეველი, იერუსალიმის ერთი ხელნაწერი, ჯანაშიას სახელობის მუზეუმის მოამბე, XV-3, 1948, გვ. 39—40).

შეუნდოს დემეტრე ჩვენს ღირსეულ წინაპრებს — მონოზონ მართას და მღვდელ ლავრენტის (მათაც, ვინც თავისი წვლილი შეიტანა ქართული კულტურის საქმეში), მაგრამ მათ არ იცოდნენ ისტორიული მოვლენების მსვლელობა თავიანთ შშობლიურ ქვეყანაში, რომ არათუ იერუსალიმისა და სხვა საზღვარგარეთულ სავანეებში (ათონი, კონსტანტინოპოლი, კვიპროსი, პეტრიწონი და სხვ.); არამედ საქართველოს შიგნით არსებული ეკლესია-მონასტრებიც ისტორიული ავებდობით, გაუკაცრიელების გზაზე იდგა...

„მეჭირვებაში“ და სხვის ტყვეობაში ჩავარდნილი ქართული ეკლესია რუსეთის 1917 წლის რევოლუციამ იხსნა, — 1811 წლიდან დაკარგული ავტოკეფალია, რომელიც საქართველოში V საუკუნიდან მომდინარეობდა, აღდგენილ იქნა და დიდი ტრადიციის მართლმადიდებელი ქართული ეკლესია თავის სამწყსოს პატრონი შეიქმნა. მხოლოდ ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი ყურადღება მოგვექცია ჩვენს წმიდა ადგილებისათვის და გვეზრუნა ჩვენი უფლებების აღდგენაზე.

მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ — ილია II-მ, საპატრიარქო წმიდა ტახტზე აბრძანებიდანვე, უპირველეს მიზნად დაისახა აღთქმული ქვეყნის „მეუფის ქალაქსა შინა“ — იერუსალიმში („მშვიდობის ქალაქში“) არსებულ ქართველთა ეკლესია-სავანეთაგან ჯვრის მონასტრის ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყნისათვის, — მის აღმშენებელ ქართველთათვის დაბრუნება. დემეტრე ინებოს მისი აღსრულება.

ქართველი ხალხი კანონიერი მემკვიდრეა თავისი კულტურული წარსულისა და, ბუნებრივია, ცდილობს წინაპართა მემკვიდრეობის დაბრუნებას. დროა ეს ტრადიცია აღდგეს და წმ. ჯვრის მონასტერში ჩაპბარდეს თავის ნამდვილ პატრონს, — „ღვთისმყოფარე ივერიელებს“ (დოსითეოსი).



აკაკი შანიძე. ჯვრის მონასტერში. 1960 წ.

მცნობრთათვის კარგა ხანა ცნობილია, რომ ჯვარის მონასტრის ფრესკებს შორის იყო დიდი კოვების გამოსახულება.

ამაზე მიუთითებდნენ ტიპოთა გააზრდილი, კრო-ფისორი აღმასწავლებელი ცაგარელი, ნიკოლოზ ნუბინოვილი, რომელმაც წაიხაზა კიდეც ეს კოვები და შედეგად ამ წაიხაზისა და სიტყვიერი აღწერილობის საშუალებად რუსთაველის კოვები გააქვეყნა ერთ კვლევებში მხატვრის.

მსხვედრითა, რომელიც ახლახან დაბრუნდა კალესტინიდან, მიაკვლია რუსთაველის ამ კოვებებს, გაწმინდა, აღადგინა და მისი ფოტო-კოპი

ნაგრიტან საშრობლოში. ჩვენს საზოგადოებაში იგი უკვე ნახა.

გარდა ამისა, მსხვედრითა ამოიკითხა ჯვარის მონასტრის კედლის მართული წარწერები, რომელიც ძველი მართული ლიტურატივის მკვლევარებს ბევრ საინტერესო მასალას მიაწვდის.

ერთ-ერთ ხელნაწერში მიწერილია ქვედა აბრახა დაახლოებით XIII საუკუნის ხელით: „ამასვე ორშაბათს ალავი არს შოთასა, მკურთხეულთუხუცესისა“ ე. ი. ორშაბათს უნდა ეწირათ და მოეხსენებიათ სული შოთა მკურთხეულთუხუცესისა“. ამას იქვე მოხდეს მკვლავ-კრულვა იმართვის,

ვინც დაარღვევდა ამ განცხადებებს: „ვინ შეცვალდა, შუა-მეცხვალეა არს სჯულისაგან ქრისტიანეთა სო“. ჩვენ არ გვჭონდა საშუალება შეგვესწავლა ეს ხელნაწერი.

ჯვარის მონასტერი, სადაც უმთავრესად ვეუგაოდით, კვლად მილიანად მოხატული ყოფილა. გაგრამ კედლის მხატვრობიდან მოდებულია მხოლოდ იგივე რამ, საკურთხეველსა და სვეტებზე. დანარჩენი ჩამოცვენილა და დაღუპულა. ამ ერთ-ერთ სვეტზე გვეგულეობდა შოთას სურათი, როგორც იხსენიებდნენ ტიგონე გაბაშვილი, ნიკო ნუბინიშვილი და ალექსანდრე ცაბარაული. გაგრამ ეს სურათი კარგა ხანია აღარ ჩანდა. მონასტრის მისკურებს იგი საღებავებით დაფარათ. არა მარტო ეს, არამედ სხვა სურათების ისტორიული კირებისა. ამას გარდა, წარწერების წაშლათ და მათ გაბიკრად ბერძნული დაეწერათ. გაბალითად, „წმიდა ქვეთიგე მართველის ნაცვლად ამაგად იკითხება ბერძნულად „ო აგიოს ქვეთიგოს“ ე. ი. წმიდა ქვეთიგოს. წმიდა გიორგი მართველის ნაცვლად „ო აგიოს გიორგიოს“ ე. ი. წმიდა გიორგი.

ძველია ამაგად იმის გამოკვლევა, განგებ მოხმის ისტორიულ კირთა სურათები, როგორც კედლებზე იყო, თუ დაიღუბა მოუვლელობით და უშუალოდობით. მოველ შემიხვევაში, ღელს აღარ არის მირიან მეფის, ვახტანგ გორგასლის და ბაგრატ კუროპალატის სურათები, არც ღვთა და-ღიანისა, მისი მეუღლის ნისთან დარეჯანისა და სხვებისა. გაგრამ მისკედივის წივრებს ვეღაზე უფრო ის აწუხებდა, რომ აღარ იყო შოთა რუსთაველის სურათი, როგორც ერთ-ერთ სვეტზე ჰქონდა ა. ცაბარაულს აღნიშნული. ამ სვეტის მხატვრობას რომ კარგად დავაკვირდით, შევნიშნეთ, რომ საღებავს ქვეშ იგალება რაღაც გამოსახულა, როგორც კარავდით, შოთა რუსთაველი უნდა ყოფილიყო. ვიშოვეთ საშუალება საღებავის ზედა შენის ახალგადა და სურათის გამოხატვად...

უნდა გავუგებინათ, როგორი გულმოდგინებით და სიყვარულით, როგორ ფრთხილად წმენდნენ კროფსორი გიორგი წერეთელი და კოეტი ირაკლი აბაშიძე რუსთაველის პორტრეტს, რო-

გლებიც ამ მხედრ კანუსსაგან საძვეუნი ერთგანითს ეცილებოდნენ. და აი, თანდათანობით გადააცალეს მათ ზედა ფენა, როგორც ფარავდა სურათს და რუსთაველი წარმოებდა მთელი თავისი გვეგნებით. ამის დანახვაზე ირაკლი აბაშიძეს აღმოუდა: რა გვეგნები სურათია! იგი უთუოდ დიდი ხელკანის ნახელავიაო. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა და ერთგანითს გადავეხვიენით. ეს იყო 6 ნოემბერს.


კოეტი დანოქილია, ხელები აუპირია და გიგარტავს ვეღრებით ირანე დაგასქელს. მას სხე მართველი კაცისა აქვს, ცხვირი წერილი და მობრო, დიდი წვერი გვერდებზე სემეს და გაჭარავეულია. მოსხვული აქვს მუქი წითელი კაბა, როგორც მარჯულის თეთრი სახელეო აქვს მოვლადული. სახელეო გეგებს უწევს, თავზე ახურავს მართული თეთრი ქაღალე, შავ არხიაშვიტვადული. შოთა ამ სურათის მიხედვით მისი კაცია, დიდგაბულთაგანი და არა ბერი. რომ ეს შოთა რუსთაველია, ამას აცხადებს წარწერა: „ამის დამხატვასა შოთას შეუნდვენს ღმერთგან, „ამინ“. ამას გარდა კოეტის თავთან აქვთ და იქით აწერია: „რუსთაველი“.

ჩვენ ეს სურათი გადავკვდიენით ერთ იმპერცნობილ ფოტოგრაფს ფარავში და წამოვიღეთ.

რუსთაველის პორტრეტის აღმოჩენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს დიდი კოეტის ცნობებისა და მოღვაწეობის საკითხების გადასაწყვეტად.

ახლა გორიში საძვეა ჯვარის მონასტრის სხვა სვეტებზე შემორჩენილი ისტორიული კირების გაწმენდა, გაგონა და ფარადი ფოტოგრაფება, რომ ხელთ შოთას პორტრეტის შესადარებელი მასალა გვეგნდეს. მაშინ უფრო ადვილი იქნება გაგარკვიოთ, თუ რა კვშირი აქვს ჯვარის მონასტრის ხელნაწერში მოხსენებულ შოთა გეჭურჭლეთუხუცესს ამავე მონასტრის ეკლესიის სვეტზე დანახულ შოთა რუსთაველიან...

აკადემიკოსი აბაკი შანიძე  
1960



ჯვრის მონასტრის წარწერა



# კალესტიონის სიძველეთა შორის

ამ რამდენიმე წლის წინათ, რუსთაველის საიუბილეო მხარეთა გვეგ მის რომ ვადგენ დით, საქართველოს ტელევიზიის შუშაკათა შორის დაიბადა ახრი — შიგვექნა — სრულმეტრადიანი ფილმი გენიალურ პოეტზე.

ეს ახრი, თუ დაიბრკედა, ბევრს გადაჭარბებულ სითამამელ მოეჩვენა, რადგან სრულმეტრადიანი ფილმის შექმნაზე საქართველოს ტელევიზიის მანამდე არ უშეშებია. მიუხედავად ამისა, კომიტეტის ხელმძღვანელობამ მხარი დაუჭირა ამ ახრს. ფილმის ჩანაწერებს გაეცნენ რუსთაველის საიუბილეო კომიტეტში და ფილმის შექმნის იდეა მიიწინეს.

სრულმეტრადიანი ფილმი „რუსთაველის ნაკვალევზე“, ჩაფიქრებულა, როგორც ფილმი დიდი პოეტის დაკარგულ ბიოგრაფიაზე, რომლის ფრაგმენტებს დღეს შევიცნობთ ძირითადად ხალხურ ლეგენდებსა და გაღმაცემებში, რუსთაველის ეპოქის დოკუმენტებსა და მატერიალური კულტურის დიდებულ ძეგლებში.

ხალხური თქმულება, როგორც ცნობილია, რუსთაველის ცხოვრების უანახსენებელ პერიოდს პალესტინის უკუშორებს. გაღმაცემის მხედველით, შ. რუსთაველი პალესტინაში საგანგებო მისიით გაემგზავრა და აქვე აღესრულა. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ ჯვარის მონასტერში შოთა მეჭურჭლეთუხუცესის შემორჩენილი ფრესკა, რომელიც დაკარგულად ითვლებოდა და რომელიც რამდენიმე წლის წინათ კვლავ აღმოჩენილი იქნა აკადემიკოსების ირავლი აბაშიძის, აკაკი შანიძის და გიორგი წერეთლის მეცადინეობით, მიჩნეულია დიდი პოეტის გამოსახულებად.

ცხადია, რუსთაველისადმი მიძღვნილი ბიოგრაფიულ-დოკუმენტური ხასიათის ფილმი გვერდს ვერ აუღლის ამ ფაქტს და იგი, როგორც მნიშვნელოვანი ეპიზოდი, შევიდა სცენარშიც. ამასთან დაკავშირებით გადაწყდა ფილმის შემოქმედებითი ჯგუფის მიგონება პალესტინაში.

ლეგენდების ბურუსით შემოსილ მხარეში ჩვენს ჯგუფს ძირითადად მგზავრობას უწყევდა ტიპოთე გაბაშვილისა და ალექსანდრე ცაგარელის წიგნები, რომლებშიც აღწერილია პალესტინის ქართული სიძველენი. მაგრამ მათ შემდეგ ხომ ბევრი რამ შეიცვალა და თანამედროვე ცხოვრების ორმეტრიადში ძალიან ცოტა ადგილი რჩება ძველი ლეგენდებისათვის. პალესტინა კვლავაც არის გამაფრებელი პოლიტიკური, კონომიური, ეროვნული და რელიგიური ნებთაღელვის ასპარეზი.

ასეთ ვითარებაში ჭეშმარიტად დაუფასებელია ის ყურადღება და დახმარება, რაც ჩვენს ჯგუფს გაუწიეს საბჭოთა საელჩოს მუშაკებმა ისრაელში. პირველ რიგში, ელჩის დიმიტრი ჩუვახინმა და საელჩოს კორესპონდენტმა ივანე სტოპუნმა. პალესტინაში ჩვენს ნახვლამდე საელჩოს ყველა ზომა მივლო, რომ შეუფერხებლად და ნაყოფიერად გვემუშავა. რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის პალესტინის მისიის მეშვეობით საბერძნეთის პატრიარქისაგან გამოითხოვეს ჯვარის მონასტერსა და ქართული სასულიერო-კულტურული ცხოვრების სხვა ძველ ცენტრებში ჩვენი დაშვების წერილობითი ნებართვა.

პირველი ისტორიული ძეგლი, რომელსაც ჩვენ მივაშურეთ, რა თქმა უნდა, ჯვარის მონასტერი იყო. იერუსალიმის უამრავ საკულტო ნაგებობათა შორის იგი განსაკუთრებული იერით გამოირჩევა. ჩანს, მონასტრის მშენებელი თაფილანგვერაულობდნენ, რომ მართლდენ ღოცებისათვის ვერ მოიცდიდნენ, და მტრებთან შებნა და მხედრულად მკლავის მოქნევა აქაც მოხდებოდათ, იღბათ ამიტომ ჰგავს ჯვარის მონასტერი ციტადელს, ამიტომ არის მისი ქვიტკირის გაღვანის გამაგრებული მტკიცე ბურჯებით, ალბათ ამიტომ ჩაუბეჭდათ ტაძრის შუაგულში ლითონის დისკო მოჭოფებელი სიტყვებით — დეკით მტყიცედ და შეურყვევად, ამიტომ ლეგენდებით ამოღენა კომპლექსისათვის ერთადერთი ვიწრო და დაბალი კარიბჭე, უზარმაზარ ლოდებში ჩაჭედული და რკინის ურდელით გადაარაზული.

ქვით მოპირკეთებული ეზოს გავლით ტაძარს რომ მიადგებით, ხელმარცხნივ, მდლა კედლებზე, ქვაზე ამოკვეთილი პირველი ასომთავრული წარწერა გაივლებს. ზღურბლზე, ფეხით გაცველილ ქვებზედღე დიდი ასომთავრული ასოებითა. ზემოთაც, კარის თავზე, ვრცელი წარწერაა ქართული... კედლებზე, სვეტებზეც ქართული წარწერებია, მხოლოდ აქაიქ, საკურთხეველში შესასვლელთან შგვხვდებათ ძველებური მოზაიკის ფრაგმენტები ნატიფი ჩუქურთმებითა და პოეტურად სტილიზებული სახეებით.

მარჯვენა პირველ სვეტზე თვალი პოულობს მოზაიკის უკვე ნაცნობ სახეს, კეთილშობილური ნაკვეთებით, მკერდზე დაფიქნილი თეთრი წვერით. მეწამული მოსასხამით განათებული სახე რადიანობით მიიწერი სივრცლით სუბტილად მოსაწყენი ნაცრისფერი გაბით შესრულებული გვიანდელი ფრესკების გარემოცვაში.

მოწინებთ დეკორატორ სვეტის წინ და თან

გვსმით ტაძრის ახალგაზრდა წინამძღვრის იოაკიმის ხმა. იგი მსმენელს უკვება ლეგენდებს ქართველ პოეტზე. მონასტრობაში საკუთარი მონაგონიც ბევრი ურევია. უცებ, ტაძრის ნახევარბინდში ინთება ელექტროსუქი და ჩვენი ოპერატორი გვიმ მელქამე კინოობიექტის უშუაღვს ხელაპყრობილ მოხუცს. გაისმის რევიზორის — გურამ პატარაიას ხმა.

მთელი კვირა ვიღებდით ჯვარის მონასტერს. გადაულბელი არ დაგვრჩენია არაფერი, დაწვებული ვარეთა ხედებით და დამთავრებული ტაძრის ყველაზე ჩახსენებული კუნჭულით.

გადაღების დაწყების მეორე დღიდანვე ჯვარის მონასტერი საგრძნობლად გამოცოცხლდა. რეპორტიორებმა თურმე რადიოთი და გაზეთით აუწყეს ისრაელის საზოგადოებრიობას ჩვენი ჩამოსვლისა და საქმიანობის ამბავი, არც კინოლოკუმენტალისტებმა დაყოვნეს. ტაძრის შიდა სივრცის გადასაღებად ადგილობრივ კინოსტუდიაში დაქირავებული განათების ტექნიკის კონორგოპორტორთა და ოპერატორთა მთელი ლაშქარი მოჰყვა. და იმავე დღეებში ჩვენმა ჯგუფმა ისრაელის კინოთეატრების ვერანებზე გაიღვია.

ჯვარის მონასტრის უამრავი ხალხი მოაწვდა. ყველა ისრაფიოდა ენახა გამოსახულება გენიალური ქართველი პოეტისა, რომლის ბიოგრაფიის იოაკიმისული ვერსიის დაბეჭდვა უკვე მოესწროთ გაზეთებს. ბერძენთა მონასტრებს დღეს მრველი თითქმის არა შეივს, რადგან პალესტინაში ბერძენთა ცოტანი არიან ამიტომ დიდი იყო სიხარული იოაკიმისა და მისი ერთადერთი ხელქვეითისა.

დიდი სიხარული მოგვევარა ცნობილი საბჭოთა მწერლის კონსტანტინე სიმონოვის სტუმრობამ, რომელიც სწორედ იმ დღეებში ჩამოვიდა ისრაელში. ჩვენს ელჩთან დიმიტრი ჩუვახინთან ერთად კონსტანტინე სიმონოვმა დაათვალიერა მონასტერი და იქვე, შოთა რუსთაველის ფრესკის წინ, გულში ჩაიჭვლია სიტყვებით ილაპარაკა მისი პოეტისის სიდიადესა და მსოფლიო მნიშვნელობაზე. ეს მიმენტი ჩვენ კინოფირზე აღებუქვით.

ამავე მონასტერში მოგვიხსულა დოქტორმა ზვე ვილნაიმ, პალესტინის სიძველეთა ჩინებულმა მცოდნემ, ამ სიძველეთა შესახებ გამოცემული მრავალი წიგნისა და ტურისტული ცნობარის ავტორმა. ეს გულდია, ენაწვლიანი და ენერგიული კაცი კარგა ხანია დაინტერესებულა შოთა რუსთაველის პორტრეტისა და ქართულ სიძველეთა კვლევით. ამ თემებზე უკვე გამოქვეყნებული აქვს

რამდენიმე გამოკვლევა და სტატია. მან ჯვარის მონასტრის ისტორიის შესახებ ისრაელის სამეცნიერო ჟურნალში დაბეჭდილი ერთი სტატია და თავისი წიგნი გვისახსოვრა.

ვილნაის დიდი და გულწრფელი სურვილი აქვს განაგრძოს და გაადრძლოს მუშაობა ამ დარგში, მაგრამ ლიტერატურის უკმარისობა შემოკავილდა. მას დღემდე საშუალება არ მისცემია გაცნობილი ქართველ რუს-ოველოლოგთა შრომებს. თუ რაიმეს იგებს ამ დარგში, ძირითადად ივანე სტეგობუნის დახმარებით, ცხადია, ყველაფერი ეს ძალიან ცოტაა მეცნიერისათვის. ამიტომაც ვილნაი იცნობს რუსთაველის სამშობლოში ჩამოხვალაზე. ჩვენს მეცნიერებთან შემოქმედებითი თანამშრომლობის დამყარებაზე განზრახული აქვს აგვისტოში ჯვარის მონასტერში მიაწვოს რუსთაველისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია.

ისრაელის ცნობილ მეცნიერს ხაიმ ვარლის ჩვენი საზოგადოებრიობა უკვე იცნობს პოეტ-აკადემიკოს ირაკლი აბაშიძის „პალესტინის დღიურის“ მეშვეობით. ჩვენ მას გადააკვიცი ნაცნობ ქართველ მეცნიერთა სიაში და კეთილი სურვილები: კრძოდ, გიორგი წერეთლის დავალებით ვცნობთ, რომ ძალიან მძიმებს რუსთაველის პოემას და რუსთაველზე არსებული ლიტერატურის უახლოეს გამოცემაზე, სემიოლოგთა საკავშირო კონფერენციაზე წასაკითხი ყველაზე საინტერესო მოხსენებების თეზისებს. ირაკლი აბაშიძის სახელით კი ვთხოვთ ეთქვა ჩვენთვის — ექნება თუ არა დრო და საშუალება რუსთაველის იუბილეზე საქართველოში ჩამოსვლისა. ეს ჩემი იცნებაა, გვიპასუხა დიმიტო.

ერთი დღე ჩვენ თითქმის მთლიანად ვარდისთან დავაყვით, იმ დღეს იერუსალიმიდან ტელ-ავივში მისი მანქანით გავეშვებავართ, რათა მეცნიერი კონსტანტინე გაღაგველო სინქრონულად მასთან საუბარში დაგვარეშებუნა, რომ იგი პოეტური ბუნების ადამიანია, ეს ჩანს იმ მოკლე სიტყვიდანაც, რომელიც ვარდიმ კინოფირზე ჩაგვაწერინა. აი ეს სიტყვა:

— „შოთა რუსთაველი, ჩემის აზრით, მსოფლიო პოეზიის ერთერთი ყველაზე მოხიბლავი გენიაა.

მე ორჯერ ვეზიარე რუსთაველის შემოქმედებას: პირველად — სიჭაბუკეში, როცა მის პოემაში ვეძებდი მოქმედებას, შემართებასა და რაინდულ სიქველეს; მეორედ — რამდენიმე წლის წინათ, როცა ქართველი მეცნიერის შალვა ნუცუბიძის მოსახრებათა გაცნობის შემდეგ მასში ვეძებდი არეოპაკიულ მისტიკას. ორივეჯერ, „ვეფხისტყაოსანს“ რომ კვითხულობდი, შევიგრძენი დიადი და მარად უტყნობი პოეზიის ფრთავალილობა.

მე არ მივირს, რომ ქართველი ხალხის სულს მრავალი საუკუნის მანძილზე ასაზრდოებს შოთას სიბრძნე და უხადო პოეტურობა. ვითარცა ისრაელის შეილი, რომლისთვისაც ახლობელია მშობელი ხალხისა და ქვეყნის ისტორია, განსაკუთრებულ კმაყოფილებას განვიცდი იმით, რომ ქართველი პოეტის სიცოცხლის წლები დაკავშირებულია ჩემი სამშობლოს ისტორიასთან.

გადმოცემის თანახმად, შოთა რუსთაველი ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდა მეთორბეტე საუკუნის დამდეგს და ალაბთა, თავისი სიცოცხლეც აქ დაასრულა.

ამ გადმოცემასთან დაკავშირებულია სხვა, უფრო რომანტიკული ლეგენდები. თუმცა მეცნიერები მათ ერთგვარ უნდობლობით ეკიდებიან. მაგრამ ყველა ეს გადმოცემა მე შეხამლებელი და უტყუარი გეონია.

შოთა იყო პოეტი და რაინდი, ამიტომ გამოიცხადდა არ არის შესაძლებლობა, რომ იგი ეტრფიდა თავის დედოფალს თამარს და მას უძღვნა საკუთარი პოემა. არც ის არის გამოიცხადებული, რომ ამის გამო იგი სამშობლოდან განდევნილი აღმოჩნდა და თავი ჯვარის მონასტერს შეაფარა.

800 წლის შემდეგ, ჩვენც თავს ვხრით პოეტის შთაგონების — თამარის წინაშე; პატივს ვცემთ მის სახელს თუნდაც იმიტომ, რომ იგი თავის თავს თვლიდა მეფე დავითის შთამომავლად.

ვარდიმ გაიხსენა, თუ როგორ კითხულობდა ხმაშილდა „ვეფხისტყაოსნის“ ნუსხუბიძესეულ თარგმანს ისრაელის აწ განსვენებულ პრეზიდენტ ბენცვითან ერთად. ჩვენ ვტყუბოდით და თან გული გვეწვდებოდა, რომ ასეთი კმნილების სრული და ღირსეული თარგმანი არ გვექნოდა. პრეზიდენტმა გვირჩია როგორმე ვინცეს ხელმწიფებით შეესწავლა ქართული ენა, რადგან ყოველი კულტურული ერის ღირსების საქმეა ჰქონდეს ამ დიდებულ პოეტურ კმნილების სრულყოფილი თარგმანი.

ვარდიმ და ვილნაიმ ჩვენს ჯგუფს აღუთქვეს ყოველგვარი დახმარება. კრძოდ, ვილნაის არ დაუშურებია დრო და ენერჯია, რათა ჩვენთვის გაეცნო იერუსალიმის სიძველენი. სწორედ მისი თანხლებით მივინახულეთ პირველად ქართველთა ნასახლარი მალხა, იერუსალიმის მახლობლად.

არ არის ქართველი მოგზაური, რომელიც საგანგებოდ არ შეჩერებულა ამ სოფლის ისტორიაზე; ყველას უდევოდ მიანია, რომ მალხის მკვიდრნი ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნეში, ვახტანგ გორგასალის მიერ აქ დასახლებულ მხედართა გარნიზონის ნაშთებში იყვნენ. საუკუნეთა მანძილზე მათ პირდაპირ მოგალოებას შეადგენდა იერუსალიმის ქართულ სიძველეთა, პირველ რიგში ჯვარის მონასტრის დაცვა, აგრეთვე ე. წ. წმიდა მიწის მოსახლეობა სამშობლოდან წამოსული თანამემამულეების გაცილება აღუპოვან და აღუპოვდე.

ეს ცნობები სინამდვილეს უნდა ჰკავდეს, რადგან ამ ადგილის მკვიდრნი თავიანთ თავს ყოველთვის „გურჯებს“, ე. ი. ქართველებს

უწოდებდნენ, ამუშავებდნენ ჯვარის მონასტრის კუთვნილ მიწებში და ამ მხრივ გარკვეული უპირატესობაც სარგებლობდნენ. გარეგნობით, წეს-წყველებითაც განსხვავდებოდნენ ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან.


პალესტინის უკანასკნელი ომის დღეებში მალხელები აურილან და იორდანიის მხარეს გადასულ ლტოლვილთა ნაკადს შეერთებინ. ახლა ისინი, ალაბთა, სადღაც ეროქონოს მახლობლად სახელდახელოდ აკებულ კოხობებსა და მიწურებში ცხოვრობენ, უკიდურეს სიდატაკესა და გაჭირვებაში.

მეტრეველი, თითქმის გავრანებულ ნასახლართ მანც შერჩენია რაღაც თავისებური იერი.

— გამიგონია, — გვეუბნება დოქტორი ვილნაი, — თქვენს წინაპრებს განსაკუთრებულად ეხერხებოდათ ადგილის შერჩევა. უკეთეს ადგილს, მართლაც რომ ვერ ამოირჩევედ ვინმე. ახლო-მახლო, ყოველი მხრიდან გაშლილი სივრცე, კარგი ჰაერი და ნაყოფიერი მიწა. სტრატეგიულადაც მარჯვე ადგილია — ვკულას, ვინც იერუსალიმსა და ბეთლემში მიხვედრას მოისურვებდა, ჯერ აქ უნდა გაეველი.

მართლაც, გორაკს ირგვლივ ჩაულის ბევრი, დღეს უკვე გაუქმებული გზა. ფერდობები დაფარულია ტერაზებით, რომლებზედაც მალხელებს გაშენებული ჰქონიათ ვაზი და ხეხილი, ბაღი და ბოსტანი.

თვით სოფელი ორი ისტორიული ნაწილისაგან შედგება. უძველესი მთლიანად ნანგრევების სახითაა მიღწეული, მაგრამ ამ ნანგრევებშიც გარჩევი ჩვენივეს ესოდენ ნაცნობ არქიტექტურულ ფორმებსა და ხატებს — ნაეკლესიარს, ქვიტკირის სახლებს ჩვენებური საჩემელებით, ბუნრებითა და თახჩებით, ჩვენებური ყოფის განურეულ ატრიბუტებს — მარანს, ქვებით ამოვსებულ ქვევრს. დღეს ყოველი ნაგებობის ქვეშ ჩანს მიწისქვეშა სარდაფები და სათავსები. ვინ იცის, რა მარხია მათს გულში! აქი თვით მალხელები ირწმუნებოდნენ თურმე — მათში ჩვენი მეფეი ტაძრების სიმდიდრე და წინაპართა წიგნებია ჩამარხულიო. მალხელთა ხვედრზე კიდევ ერთხელ ჩავვაფიქრა სანახაობამ, რომლის მოწმენი ტელ-ავივში გავხდით. აქ, ე. წ. „რუსულ ბაღ-



იერუსალიმი. ბერძნული საპატრიარქოს ბიბლიოთეკა, სადაც ინახება ქართული ხელნაწერი წიგნები. ფოტო გ. მელქაძისა.

ში“, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის კუთვნილ მიწაზე ყოველ მაისს ეწეობა რაღაც რელიგიური დღესასწაული ქრისტიანი არაბებისა, ჩვენი „გოგორების“ დღესასწაულის მსგავსი სახელწოდებით. ეს დღესასწაული ბევრი რაიმე მოგაგონებთ მცხეთობასა თუ ალავერდობას. იგივე წესი რწმენისადმი კუთვნილების მიგებისა, სახალხო დღესასწაულის ისეთივე ვანრული სცენები უხვი პურმარილით, მოლხენითა და ცეკვა-თამაშით. დადისარტ ვრცელ ეზოში და მიწაზე დაგებულ სუფრაზე ხედავთ სულ ჩვენებურ ხაჭაპურებსა და ქაღებს, იმერულ ყველს, ნიკეხითა და პილპილით შეზავებულ ბადრიჯანს... აცქრდებით მოცეკვავე წყვილსა თუ ფიქში ჩაძირულ, დანადგონებულ სახეს და თითქოს ხელდაძლიან ნაცნობსა და ახლობელს. ასე გვონია ვიღაც შშობილურ ენაზე უნდა გამოგველაპარაკოს.

ფიქრობ მათზე, მალხლებზე და უნებურად გაგონდება:

— ვა სოფელი, რაშიგან ხარ,  
რას გაპარუნებ, რა ხე გჭირსა...  
დროის ბრუნვამ ბევრი რამ შეცვალა პალესტინის მიწაზეც.

ოდესღაც აქ ჩვენს წინაპრებს ორმოცამდე ტაძარი და სასტუმრო ჰქონიათ, როლებშიც ინტენსიური, ფრიალ ნაყოფიერი ლიტურჯურული და შემოქმედებითი მუშაობა მიმდინარებდა. ისმოდა ქართული ენა და გალობა. მაგრამ შემდეგ, როდეს ისტორიულ გარემოებათა გამო, ეს მოღვაწეობა მიხედა, ქართული ტაძრების ერთი ნაწილი სხვის ხელში გადავიდა, ნაწილიც გაპარტახდა. მაგალითად, კატაშის იმუნდა შეცვლია სახე, მარტოდენ ვაზით თუ ამჟღავნებს თავის წარსულს. საოცარი ამბავია! იმდენი ტაძარი და საკულტო ნაგებობა დაიკრთა პალესტინაში და მხოლოდ ქართველთა ნაქონ ადგილებში თუ ხარობს ვაზი.

ქართულ სიძველეთა შერთ ნაწილი იორდანის მხარესაა მოქცეული. სხვა რომ არაფერი, იორდანის ხელთა იერუსალიმის მთელი უძველესი ნაწილი, შემოსილდული ცნობილი ისტორიული კედლით.

მწელია სულ ორიოდე ნაბჯახე, ერთი ხელის გაწვინებზე შეგურებულ ყოველივე ამას და ახლოს მიხვალა არ შეგძლოს. მაგრამ სახელმწიფო სახელმწიფოთა და საზღვარი საზღვარი. საერთოდ ისრაელიდან იორდანიაში ან იორდანიაში ისრაელში მოხვედრა შეუძლებელია. მთელი საქმეა, მთ უმეტეს უცხოელისათვის, რადგან ამ ორ სახელმწიფოს შორის ჩვენი ადამიანისათვის ძნელად წარმოსადგენი მტრობა და სიძულვილი სუფევს.

მიუხედავად ამისა, ჩვენმა ჯგუფმა მაინც მოახერხა იორდანიაში მოხვედრილიყო, რაშიც საბჭოთა საელჩოსთან ერთად დიდ და დავკვემარა ჩვენი თანამემამულე, ცნობილი დამატურგი და საზოგადო მოღვაწე გიორგი მღვიანი.

და აი, ჩვენ ძველ იერუსალიმში ვართ. ვაფალიერებთ მორწმუნე ქრისტიანთათვის ყველაზე წმიდა ადგილებს, ქრისტეს საფლავსა და გოლგოთას. წიგნებიდან ვიცით, რომ ამ ყველაზე დიდ ტაძრშიც ჩვენი წინაპრების გავლენა თვალსაჩინო ყოფილა. უცხოელ მოგზაურთა სიტყვებით, ქართველებს აქ თურმე ყველაზე მეტი კანდელი ენითთ, რაც უკვე პირველობას ნიშნავდა. იქნებ ამიტომაც გამოგზავნა თამარმა სარკინოზთაგან დაპყრობილ იერუსალიმში თავისი ყველაზე გამოჩენილი პოეტი და ვაზირი — მეჭურჭლეთუხუცესი. ჩანს, სულთან სალაჰდინთან მისმა მოლაპარაკებამ გასჭრა, რადგან გოლგოთა ქარ-

თველებს დაბრუნებით, თუცა დიდი გამოსასვლელის ფასად.

დღეს გოლგოთის ტაძარი კათოლიკურ კელესიას ეკუთვნის. ტაძარი შეუღულიათ არც თუ ისე დიდი ხნის წინათ და ქართული წარწერებიც მოზაიკის ქვეშით მოყოლილა.

ოდესღაც ქართველთა კუთვნილი ძეგლების მდგომარეობა არასახარბიელოა. მათ შერტ ნაწილს თითქმის სავსებით დაკარგული აქვს პირვანდელი სახე. მხოლოდ აქ-იქ ბედავ გადარჩენილი წარწერა თუ გავიმეფავნებთ მათ წარსულს.

ქრისტიანობის აღრულ ხანაში აგებული ერთადერთი ტაძრის ნანგრევები მდებარეობს ქალაქ ბეთლემის მახლობლად. იგი იტალიელმა არქეოლოგმა ვირჯილიო კორბომ გათხარა. თუმცა ცოტა რამ გადარჩენილა, მაგრამ თვალი მაინც გააჩნევს ნაგებობის ადრინდელ გემას, კერძოდ, სვეტების და ეზოს აუხუებით, ნეკროპოლს, რომელშიც ყრია ადამიანის ძეგლები, მარანს, ზეთის სახდელს და სხვას. ყველაზე დიდ ნაპოვნს მაინც წარმოადგენს მთლიანი მოზაიკით დაფარული იატაკი ჩინებული ასომთავრული წარწერებით. რომლებიც, როგორც ეს ავადემიკოსმა გიორგი წერეთელმა დაამტკიცა, უსწრებს ბოლნისის სიონის ცნობილ წარწერას.

ეს მოზაიკა იერუსალიმში გადაუტანიათ და ფრანცისკელია მუზეუმის არქეოლოგიურ დარბაზს ამოვენეს.

იერუსალიმში ვინახულეთ და ფირზე ალბუქდეთ იტალიელი არქეოლოგი ვირჯილიო კორბო, რომელიც დანტერესებულია ქართული სიძველეებით და რომელმაც თავისი აღმოჩენით დიდი ამაგი დასლო ქართული კულტურის ისტორიას. ჩვენ ხელთ გვექონდა ავტორისეული ვეზუმლარი გიორგი წერეთლის ცნობილი ნაშრომისა „ქართული წარწერები პალესტინიდან“, რომელიც ძირითადად აგებულია კორბოს გათხრების მასალებზე. გამოირკვა, ამ წიგნის არსებობის შესახებ იტალიელ არქეოლოგს არაფერი სცოდნია და იგი იქვე შეუღდა მისი ანოტაციის კითხვას. ჩვენ სხვა არაფერი დავგრძენილად გარდა იმისა, რომ ქართველი მეცნიერის სახელით წიგნი კორბოსათვის დაგვეტოვებინა, რითაც ფრიალ ნაია-მიენები დარჩა.

რაკი იორდანიაში მოხვდით, ცხადია, საბას განთქმული ლავრაც უნდა გვეხახა. მკვდარი ზღვის მიდამოებში, ცხელ უდაბნოში მდებარე ამ ლავრაში ჩვენი წინაპრები განსაკუთრებით ინტენსიურად მოღვაწეობდნენ VIII-X

საუკუნეებში. უმეტესი ნაწილი ძველი ქართული ხელნაწერისა, რომლებიც დღეს სინის მთაზე ინახება, ამ ხანებშია გადაწერილი და ნათარგმნი.

პირველი, რამაც ამ ძველის ნახვისას ვაგვაიოცა, იყო ჩვენი ვარძიასთან მსგავსება. ისეთივე ხეობა, ოღონდ უკვე ამოშროალი მღონარისა; ისეთივე კირქვოვანი კლდე შრავალი გამოქვაბულით, რომელსაც ხეობის მოპირდაპირე შრიდან დასცქერის ლავრის შრავალსართულიანი ანსამბლი, ვნახეთ კლდეში გამოკვეთილი ეკლესია, სადაც ქართველები მოცუწობდნენ, აგრეთვე იოანე დამასკელის სეხაკი. ეს ის ცნობილი საეკლესიო მოღვაწე გახლავთ, რომლის ფრესკასთან, ჯვარის მონასტრის სვეტზე გამოხატულია შოთას პორტრეტი.

ლავრაში სამი თუ ოთხი ბერძენი ბერი ცხოვრობს და კიდევ ერთი — ნიკოლოზი, იგი მხოლოდ მაშინ გვეჩვენა, როცა ჩვენი მონაწირობა უიხრეს. ამ ბერმა, რომლის დარიბულ დაფუთილ ტანსაცმელში მაინც შეიცნობიდა არისტოკრატიული წარსულის ადამიანი, თავისი ვინაობა არ გავიწყდებან. ის კი გვიითხრა, რომ თავი ქართველთა ნამომავლად თვლის, რადგან მისი წინაპრი ოფსედაც ვახტანგ მეექვსეს გაყოლია რუსეთში.

ნიკოლოზი საკმაოდ ნაკითი, განსწავლული ადამიანი აღმოჩნდა. ზოგიერთი რამ იცის კიდევ საქართველოს ისტორიიდან, სმენია რუსთაველისა და მისი პოემის შესახებ. ყველაზე მეტად კი დაინტერესებულია ხატებით, რომელთა მდიდარი კოლექცია აქვე საბას ლავრაში ინახება. ნიკოლოზს რამდენიმე ხატი ქართულად მარანია, უცდია კიდევ მათი განახლება, მაგრამ იმის შიშით, არ გვაფუჭოთ, თავი დაუნებებია. საშუახარად ამ ხატების გადღება არ მოხერხდა ულექტროგანათების უქონლობის გამო. მათი ნამოსხნისა და შუხე გადღების უფლება კი არ მოგვეცა.

ჩვენ, რამდენადაც ამის საშუალებას დრო და გარემოება გვაძლევდა, ვეძებთ ქართული სიძველენი ვროქონსა და ნახარეთში. ტიბერიის ტბის პირას, მაგრამ ბევრი არაფერი დაგვხვედრია.

მდინარე იორდანის ნაპირას, პირველი ნათლისღების ადგილას აღმართული ქართული მონასტრის ნაცვლად რაღაც საოცრად უგემოვნებოლ აღდგენილი ეკლესია დაგვხვდა. ქართული ნუქურთმისანი ლოდები და კაპიტელები კი მის შესასვლელთან იყო მიყრილ-მოყრილი.



იერუსალიმი. საუბარი არქეოლოგ ვირჯილიო კორბოსთან. ფოტო გ. მელქაძისა.

ნახარეთში, ჯერ კიდევ შენებლობის პროცესში მყოფი კათოლიკური ტაძრისათვის საძირკვლის გათხრისას წარწერიან შესანიშნავ მოზაიკას წაწელობიან. ნახარეთისა და მთელი გალიციის მიტროპოლიტ ისიდოროსს რაკი მათში ბერძნული წარწერები ვერ შეუკვნიო, ხელი ჩაუქნევია და მოზაიკაც ტაძრის კედლებს ჩაუშარხავთ მიწაში.

ვინ იცის, იქნებ ისიც ჩვენი წინაპრების ხელით იყო გაკეთებული და უფრო აღრინდელიც, ვინემ ბეთლემის მახლობლად აღმოჩენილი მოზაიკა?

ჩვენი შვერლობის ისტორიაში ცოტა თუ ბევრად ჩახედულ ვოვლ ადამიანს მოეხსენება ქართულ ხელნაწერთა იმ ცნობილი ფონდის შესახებ, რომელიც დღემდე ინახება იერუსალიმში, ბერძნულ საპატრიარქო-ბიბლიოთეკაში. არსებობს მათი რამდენიმე აღწერილობა და კატალოგი.

მღვდვარების გრძობა გეუფლებათ, როდესაც დერფუნებისა და კიბეების ლაბირინთების გავლით მიადგებით უბრალო, თითქმის უარალადა შუშაბანს.

ნუთუ ეს არის განთქმული ბიბლიოთეკა,

რომლის შესახებ ამდენი გვსმენია.

ილება უბრალო ბოქლომით დაკეტილი კარი და პატარა ოთახიდან, რომელიც ბიბლიოთეკის გამგებლის, მთავარებისკოპოს არტემიოსის კაბინეტის მოვალეობას ასრულებს, შედევართ ორ ნესტიან, ბნელ ოთახში. მათი კედლები მოლიანად უჭირავს უძვე საკმაოდ დანჯღრულ-დახრულ კარადებს. პირველ ოთახში, შუა კარადა დათმობილი აქვს ქართულ ხელნაწერებს.

ნელა, ფრთხილად ვფურცლავთ გაცივებულ ფურცლებს. ვუფოთავთ მათ ბედზე, ასე გვეგონა, ბევრი რამ კვლავაც დაფანტული დაგვგვებოდა. დავშვიდდით, როცა ვველაფერი ადვილზე ვიხილეთ. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, არის კია ადვილზე, ვიდრე ჩვენგან ასე შორს გვეგულება? ესეც არ იყოს, წიგნები ისეა დაღრღნილ-დაფურტოებული ჩრჩილისა და ნუსტისაგან, თუ ხსნის ხელი არ გაუწოდეთ, ალბათ დაიღუპება.

მოვხვდით სომხურ საპატრიარქო ბიბლიოთეკაშიც. საერთოდ, იორდანიაში სომხობა ბევრია. ისინი ვველგან ძმური გულთბილობით გვხვებოდნენ.

სომეხთა პატრიარქის ელიშეს ნებართვით გვიჩვენეს 8 სომხური ხელნაწერი წიგნი, რომლებშიც აღმოჩნდა ცალკეული ფურცლები სხვადასხვა დროის ქართული ხელნაწერებისა, 30 ფურცელზე მეტი. მათი არსებობის შესახებ დღემდე არაფერი იყო ცნობილი.

მოელი ეს მასალა, ფირზე გადაღებული, ამჟამად მუშავდება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში. შორეული და უცნობი პალესტინის მიწა, ცხადია, ასე მოკლე დროში ვველა საიდუმლოს არ გაგვიცხადებდა, მაგრამ ის, რასაც წავაწყდით, მოწმობს, რომ ჯერ კიდევ სულ დავიანებული არ არის.

პალესტინის სიმეველენი თავისკენ უხმობენ მეცნიერებსა და სწავლულთ, რათა გაგვიმეღავნონ ჩვენი ხალხის მდიდარი წარსული, სულიერი ცხოვრების ახალი საიდუმლოებანი.

**ილია რურუა 1966 წ.**



ბეთლემის მახლობლად პეტრე იბერიელის მიერ დაარსებულ ქართული ტაძრის ნანგრევებს შორის. სხედან გ. პატარაია და ი. რურუა. ფოტო გ. მელქაძისა.

## ხმა ჯვრის მონასტრის გალავანთან

„ — შენგან განდგომა,  
ო, ჯვარცმულო,  
მე რად დამბრალდა,  
მაღალ მწვერვალთა სალოცავო,  
ხატო ნაპრალთა,  
ძლეულთ ნუგემო,  
დავრდომილთა თავშესაფარო,  
მაშვრალთ იმედო,  
ანთებულო ბნელში ლამპარო,  
არას მქონეთა საგანძურო,  
დიდო ზაფხულო,  
მიზანთ-მიზანო, უმაღლესო,  
რწმენით ნახულო.  
მე შენის მცნების აღსარება  
ვარ თვით აკვნიდან,  
შენია ჩემი გულიც, ცნობაც,  
ხმაც საკუთარი,  
მე სიყრმის დღიდან არ მქონია  
სხვა საყუდარი,  
შენგან არს ჩემში, რაც ამაღლდა,  
რაც რომ დაკნინდა.  
შენით, მე შენით ათას გზაში  
გზა არ შემშლია;  
შენმა განგებამ, შენმა მცნებამ  
მართლად წარმართა.  
შენ ამაშორე ბიწიერი  
წარყვანა წარმართთა,  
შენ ჩამაგონე ზეციერი:  
„ღმერთი შენშია“.  
და თუ რამ შევცდი, რამ შევცოდე  
რამ შემოგბედე,  
გულთამხილავო, ეს შენ უწყი  
უმაღ ყოველი;  
მაღალ მსაჯულად, მაღალ მოწმედ  
მყავს შემოქმედი,  
შენგან შენდობას, სულგრძელობას  
შენგან მოველი.  
მე ჩემს გონებას, ცნობას ვთვლიდი  
ჩემს დიდ საუნჯედ,  
რადგან არსთავანს  
მე მებობა ეს საბოძველი,

შენ მთხოვედი თავყვანს, მხოლოდ  
თავყვანს,  
თავყვანს განუსჯელს,  
მე მხოლოდ განსჯის, მხოლოდ  
განსჯის

ვიყავ მლოცველი.  
თუ განმაკაცე, თუ დამადგი  
თვალი სრულმქმნელის,  
თუ მომეც პალი ხან ფრთაშესხმის,  
ხან დაღონების,  
მე მსურდა შენგან სიტკბოც  
ცნობის თავისუფლების,  
მე მწამდა შენგან სიხარულიც  
განხმულ გონების.  
მე ამ წადილით, მე ამ ლოცვით  
ვიყავ დამწვარი;  
ხამს ლოცვა ჩემი არ მემწუხროს,  
ხამს, არ წამმწარდეს —  
და თუ შენ მაინც ცოდვად მითვლი  
ამ ჩემს საწადელს —  
ცოდვა — არცოდვის ჭეშმარიტი  
სად ძვეს სამძღვარი?!  
ნუ, ნუ შემრისხავ —  
მე აქ ვდგავარ, მე აქ მოველი,  
სადაც გიზგიზებს სუნთქვა შენი  
და შენეული  
იმ ჩემი სვედის, იმ წადილის  
კვალად მთხოველი,  
აწ გარდასული, მე სიბერის  
ჭირით სნეული.  
შენგან განდგომა ო, ჯვარცმულო,  
მე რად დამბრალდა,  
მაღალ მწვერვალთა სალოცავო,  
ხატო ნაპრალთა,  
შენ უპოვართა სალოცავო, ხატო  
ნაპრალთა,  
შენ უპოვართა საგანძურო, დიდო  
ზაფხულო,  
მიზანთ მიზანო უმაღლესო,  
რწმენით ნახულო“.


ირაკლი ავაშიძე



## კვილი ნათელი

**„ამ არის ტიპილი, არ არის წამება.  
(გვეზუნებოდნენ აბას ჩვენ გვერდით).  
არ გვინდა, დედაო, სხვა ჯვარი გერწმუნოს,  
არ გვინდა მიწა და სხვა ნასახლევი.  
ვიცი: ჯვარი ვახისა ღვინისა ღერწმუნოს,  
ტრტებს აივრიან, როცა გადასხლავან  
სასტიკი სასხლავით“...**

**გრიგოლ რობაქიძე**



რეზო თაბუაშვილი

მემატიანეთა ცნობით, საქართველოს ისტორიაში განუყოფელია საერო და საეკლესიო განსაცდელი. „საფუძველი შეიძრა ქვეყანა, დაიქცნეს საყდარნი და მონასტერნი, ეკლესიანი, ციხენი და სახლნი“. თანამდევნი დალი დაეტყო საეკლესიო ცხოვრებას, მის განძობსაცავებთ, ფრესკებს, წიგნებს წმიდა მამათა.

უკვალოდ დაკარგული ფასეულობანი ღვთის დიდი განგებით თანდათან უბრუნდება სამშობლოს.

ამ ურთულეს საკმის შესვეურთა შორის, ბატონი რეზო თაბუაშვილი არ კარგავს „სიმტკიცეს კეთილად მსახურებისას“. მისი ყოველი ნამუშევარი სავსეა ახალი პოტენციით.

60 წელი შეუსრულდა მას. ქართული ეკლესია, უწმიდესი პატრიარქის, ილია II-ის წმიდა ლოცვით, მიესალმება ამ ღირსშესანიშნავ დღეს ბატონ რეზოს. განსაკუთრებულია ქართველ მორწმუნეთა სიყვარული მისდამი. მისი ფილმები თითქოს ქართული ეკლესიის წიადშია შექმნილი. მათგან განუწყვეტლივ გვესმის გარდასულ საუკუნეთა სიდრმიდან წამოსული წმიდა მამათა ტკივილის ხმები... კადრებად ცოცხლდებიან და მაყურებლის თვალწინ კვლავ ჩაივლიან აწ გარდასული სიავის დღენი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა. ცოცხლდებიან სამშობლოს გარეთ მიმოფანტული ძვირფასი საფლავები, რომელთა მკვიდრნი უმეტესწილად, სწორედ საქართველოს ეკლესიის მოღვაწენი არიან. დიდნი მამანი, დღესაც ზეციურ სასუფევლიდან საქართველოსთვის მლოცველნი და შემაწევარნი.

რეზო თაბუაშვილის მიერ გადაღებული ფილმები გვიამბობენ მიხეილ თამარაშვილზე და ექვთიმე თა-

ვაიშვილზე, ნიკიფორე ირბახზე, მიხაკო წერეთელზე, გრიგოლ რობაქიძეზე, ვიქტორ ნოზაძეზე. გვიამბობენ საქართველოს გარეთ დარჩენილ ქართულ ტაძრებსა და ჯვარ-ხატებზე, ძვირფას მინანქრებზე, რომელთა კვალს მიჰყვება და მისხალმისხალ აგროვებს მუდამ მათი ავტორი. მიჰყვება წვალებით, შორეული და დამღლევი გზებით, მაგრამ დიდი იმედით და მაყურებელი ბედნიერია ამ ფილმების ხილვით. სულ ახლახანსაც ბედნიერების ამ სიხარულით აგვევსო მისმა ახალმა კინო-დილოგიამ. ესთეტიკური შინაარსისა და ეთიკური მომენტის განუყოფლობამ, რაც ასე მნიშვნელოვანია რეზო თაბუაშვილის შემოქმედებაში, თავისი დასრულებული სახე სწორედ ამ ბოლო ფილმებში მიიღო. ესენია „ნაძარცვის კვალდაკვალ“ და „შორიელთა სიახლოვე“. ამ ფილმების ტკივილით სავსე ლირიზმი, ცნობიერებისა და სულიერების სინთეზი, ხანდახან ზომაზე მეტად აწეული ტონი, რაც ყველა სხვა შემთხვევაში წონასწორობას დაარღვევდა, სინამდვილის ესთეტიკაა. აქ ემოცია აუცილებლობაა შედეგის მისაღწევად და გამოხატვის სხვადასხვა ფორმებსა და მასშტაბებს ღებულობს.

გავიხსენოთ თუნდაც „საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი“. ფილმში შემოდის ექვთიმე თაყაიშვილის სახე, როგორც პერსონაჟი და, ამავე დროს, ტიპიური ფენომენოლოგი. ფენომენოლოგიის არსებობა პრობლემის არსებობითაა მნიშვნელოვანი.

ფინალის ავტორისეული მონოლოგი: „მოგვიტევე ბატონო ექვთიმე! შენ ხომ დიდ სიხარულთან ერთად სულიერი ჭრილობებიც გაგატანეთ იმ ქვეყნად“ — უკვე ეპოქასთან და პრობლემასთან მიმართებაა.

კინოლილოგიის პირველ ფილმში „ნაძარცვის კვალ-  
დაკვალ“ დიდ ემოციურ განზოგადებას აღწევს ორი,  
გარეგნულად დაუკავშირებელი პარალელი:

იტალიის მთიანეთის ერთ დაცარიელებულ და გა-  
ძარცვულ ქალაქში, რომელიც კვდება, ოთხად ოთხი დარ-  
ჩენილი მკვიდრი უვლის ყვავილებს ქუჩისპირებზე, კი-  
ბეებზე. ეს ოთხი მოხუცი ავტორის სიტყვებით: „ქმნი  
ამ ქალაქში სიცოცხლის ილუზიას. ოთხი მოხუცი... და,  
მაყურებლის თვალწინ ცოცხლდება გასული საუკუნის  
დასაწყისის საქართველოს ტრაგიკული სურათები, რო-  
ცა 1811 წელს რუსეთის იმპერატორის არაკანონიკუ-  
რი ბრძანებით გაუქმდა ქართული მართლმადიდებელი  
ეკლესიის ავტოკეფალია. თანდათან „ნაწილ-ნაწილ“ გა-  
ტაცებული და გაყიდული იქნა საქართველოს განძი. გა-  
ყიდულ იქნა „დროებით“ და ზოგიც „სამუდამოდ“.

ფილმიდან ისმის პეტერბურგელი ფოტოგრაფის, ვინ-  
მე რაბინგელისს გვარი, რომელმაც საქართველოს ეგ-  
ზარქოსის ნებართვით, თითქოსდა, ფოტოსურათების გა-  
დასაღებად, უძვირფასესი განძი გამოიტანა შემოქმედის,  
ჯუმათის, მარტვილის, ხობისა და სხვა ქართული მი-  
ნასტრებიდან. გატაცებული უძვირფასესი ხატები, ბერ-  
ძნულწარწერიანი ქართული მინანქრები, რამდენიმე ნა-  
ტეხი ხახულის ხატის ფონის (შემდეგ შევიტყობთ, რომ  
მეტროპოლიტენში დაცული ხახულის ხატის ფონად  
ცნობილი ეს ნატეხები, ჯერ დაუდგენელი სხვა ანალოგი  
ხატის ფონია), ბოტკინის, ბალაშოვის და ზვენიგო-  
როდსკის კოლექციებიდან ევროპისა და ამერიკის სა-  
ხელმწიფო თუ კერძო მუზეუმებში გადაინაცვლებს).

ვხედავთ იმ დროის უნიკალურ ფოტოსურათებს. გან-  
ძარცვულ ტაძარებს და სამღვდლოთა ტანჯულ სახეებს.  
მათ ბედს ქართველ მოაზროვნე საზოგადოებასთან ერ-  
თად თვით რუსეთის პატროსანი აღამიანებიც განი-  
ცდიდნენ. რომელთაც იმთავითვე აღიმაღლეს ხმა ცარი-  
ზმის ამ მორიგი უსამართლო ქმედების წინააღმდეგ. ამ  
აღამიანთა შორის იყვნენ: ქართული ეკლესიის ხეგდრზე,  
მოსკოვში 1907 წელს გამოცემული წიგნის „Судьба Гру-  
зинской церкви при царской России“-ის ავტორი,  
მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ნიკოლოზ დურ-  
ნოვო. ხელოვნების ცნობილი ისტორიკოსი, პეტერბურ-  
გის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ნიკოლოზ  
კონდაკოვი და სხვ.

რ. თაბუკაშვილის კინოლილოგიებში ერთნაირად სა-  
ინტერესოა შედეგიც და გზებიც, რომლებსაც კონკრე-  
ტულ შედეგამდე მიყვავართ. აქ ჩანს მისი, როგორც დო-  
კუმენტალისტის თვითყოფადობა. მხატვრულ-დოკუმენ-  
ტური თვალთ დანახული ფაქტის ესთეტიკა, საგნის  
ესთეტიკა. ეკრანზე მოჩანს საქართველოს, აწ უკვე ფან-  
ტასტიკურობად ქცეული საქართველოს რუკა **ნიკოფსო-  
თგან დარუბანდამდე**... და, რეჟისორთან ერთად მაყურე-  
ბელი დაემკობს „ნაწილ-ნაწილ“ გაყიდული საქართველოს  
ფრაგმენტებს, ფაგანტლებს სხვადასხვა გზით და სხვა-  
დასხვა ბედიო.

**ფინეთი. საეკლესიო მუზეუმი.** ჯავშნიანი შუშის ქვეშ  
უსახელოდ, ანონიმურად გამოფენილია ორი ქართული  
მინანქარი.

**ესპანეთი. მადრიდის კერძო მუზეუმი „ლაზარო გალ-**

**დიანო“.** აქ 14 ქართული ტიხრული მინანქარია. „ლაზა-  
რო გალდიანოს“ და ფინეთის საეკლესიო მუზეუმის კატა-  
ლოგების ყდებზე ქართული მინანქრებია გამოსახული,  
როგორც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ექსპონატები.

ეს ბერძნულწარწერებიანი მინანქრებიც ბიზანტიუ-  
რადია „ლაზარო გალდიანოს“ მუზეუმში მინეული და  
მხოლოდ კინოგადაღების შემდეგ შეაქვთ კორექტივა მა-  
თი ქართული წარმომავლობის შესახებ.

**პარიზი. კლუნის მუზეუმი.** აქაა „წმიდა დემეტრეს“  
მედალიონი, მეთერთმეტე მედალიონი ჯუმათის გაბრიელ  
მთავარანგელოზის ხატიდან.

**ნიუ-იორკის მეტროპოლიტენის მუზეუმი.** აქ ჯუმათის  
მინასტრის ტიხრულ-მინანქრიანი მედალიონების გარ-  
და, ხახულის ხატად მინეული მინანქროვანი ფონის  
ნატეხებია. მეტროპოლიტენის ამ განძს განაგებს და მე-  
ცნიერულად სწავლობს ეგრეთ წოდებული შუა საუკუნე-  
ების ხელოვნების დეპარტამენტი.

ფილმების სიუჟეტური დერძი ძირითადად მოულოდ-  
ნელობის ეფექტზეა აგებული.

მოულოდნელია ნიუ-იორკში ბუკინისტ ჰანს კრაუსის  
მაღაზიაში სინის მთის ერთ-ერთი ხელნაწერის, VI სა-  
უკუნის სირიულ-პალესტინური წარმომავლობის პალიმ-  
ფსესტის პოვნა. მისი ზედა შრე იოანე ზოსიმეს ქარ-  
თულ ხელნაწერს წარმოადგენს. ამ უნიკალური ხელნა-  
წერისათვის ბუკინისტს სპეციალური კონდენცირებული  
სათავსო აუგია და 285 ათას დოლარად შეუფასებია.

ასევე მოულოდნელი იყო პარიზში, სენის სანაპირო-  
ზე, ბუკინისტა პატარა ჯიხურში აღმოჩენილი გაბრიელ  
მცირის ავტოგრაფი, იოანე ოქროპირის სწავლანი და  
ვახტანგ VI-ის „სამართლის“ I რედაქციის ტექსტი.

„ხვალ როგორმე უნდა ვცალოთ ამ ხელნაწერთა გამო-  
სყიდვა“ — ისმის სადიქტორო ტექსტი. ჩვეულებრივი,  
ყოფითი სიტყვა „ხვალ“ მაშინვე კონკრეტდება, მაგრამ  
თანდათან ზოგად მნიშვნელობას იძენს სიტყვა „მომა-  
ვალთან“ ასოცირებული.

ფილმის საერთო ქსოვილში იკვეთება ნიკოლოზ-  
თქიფანიძის ცნობილი სიტყვები:

— „იყიდება საქართველო!

იყიდება. ნაწილ-ნაწილ, იყიდება პატარ-პატარა ნა-  
წილებად. ნისიად, უფასოდ, ნადღად, დროებით თუ სამუ-  
დამოდ...

იყიდება საქართველო მინდორ-მინდორ, მთა-გორით,  
წარსულის ისტორიით, მომავლისავე ბედიო“...

**სტენარიდან:** „ამ მიმოფანტული, უბადლო ეროვნული  
მშვენიერების კვალზე შედგომა აღბათ, უკვე თქვენ დაგე-  
დებათ ვალად, ოცდამეერთე საუკუნის ქართველებო,  
რომლებიც ჯერ არც დაბადებულხართ, ან მხოლოდ ახლა  
იბადლებით“.

რეზო თაბუკაშვილის შემოქმედების საფუძველი ამ  
ხატებისა და მინიატურების ნატეხ ხელოვნებაში, ეროვ-  
ნულ ენერგიაში გაცხადებული ქართული სულია. რომე-  
ლიც თავის ყველაზე უმაღლეს სულიერ ცხოვრების სფე-  
როშიც მოქმედია.

„შორიელთა სიახლოვე“ ზუსტად მორგებული სათა-  
ურია კინოლილოგიის იმ ნაწილის, რაშიც მოზაიკური  
ფერალოვნებით, ამავე დროს, უდიდესი ტაქტით და ზო-

მიერების კურთხეული გრძნობით იშიფრება სვედიანი სიტყვა: „ნოსტალგია“.

კერანზე ერთმანეთს ენაცვლებიან საშობლოდან ნე-ბსით თუ უნებლიეთ, შორეულ წლებში წასული, აწ უკვე ხანდაზმული, სვედით დაძმობიებული ადამიანების სახე-ები. გვესმის მათი ხმები. შევდივართ მათ სახლებში, რომლებიც სავსეა ქართველი მწერლების სურათებით, ქართული ეროვნული რელიქვიებით, სალოცავებით. ვხე-დავთ ახალგაზრდებს, რომელთაც არ დაუარგავთ თავი-ანთი მშობლების ენა, გვესმის მათი ქართული, მათი ნა-ტვრით სავსე საუბრები საქართველოზე. ტკივილი, რო-მელიც არ ქრება, .. ოცნება, ცრემლიც...

ამაღლელებელია მათთან შეხვედრა. როგორც საკუთა-რი სულის უმთავრესი განძი, ისე მოაქვთ მათ ფილმის ავტორთან უძვირფასესი რელიქვიები საქართველოში ჩამოსატანად; ევროპის ბაზრებსა და კერძო კოლექციებ-ში ნამცეც-ნამცეც შეგროვებული და თავმოყრილი, გა-ჭირვებით შესყიდული, რომ ოდესმე შეიძლება კვლავ საშობლოში დაბრუნდეს. სიხარულთან ერთად უდი-დეს, დაუოკებელ ტკივილსაც აღძრავს ეს ყოველივე და არ გვტოვებს ფიქრი ამ ტკივილებზე...

კადრში „უცნაურად გრძელი და სრული სუფრაა“. ავტორის სიტყვებით: „ეს სუფრა კი არა, სიმბოლოა უკვე, სიმბოლო, არარსებული ქართული პანთეონისა. 1200-ზე მეტი ავტორგრაფია ზედ აბრეშუმის ძაფით ამოქარგული. ვინ მოსთვლის, ერთ დროს ამ სუფრასთან მსხდომ ნათელ მოღვაწეთა სახეებს“.

ილიას, აკაკის, არტურ ლაისტის, შიო არაგვისპი-რელის, ზაქარია ფალიაშვილის და სხვათა გვერდით ბევრი უსამართლოდ დავიწყებული სახელია აქ ამოქარ-გული.

თბილისის გუბერნიის ექიმის, ილია ჭავჭავაძის მე-გობრის, ტიტე ქიქოძის ვაჟი, ვანო ქიქოძე ამჟამად მიუნ-ხენში ცხოვრობს. ძვირად ღირებული ექსპედიციებით, ღიდი წვალბით უამრავი ქართული ძეგლის სლავიდი გადაუღია მას. ამ ძეგლთა უმეტესობა ან აღიგავა პირი-გაგან მიწისა, ან საქართველოს გარეთ, ამჟამად „მუსულ-მანურ საქართველოში“ აღმოჩნდა. ოშკის და ხახულის, პარხლის და იშხნის გარდა ვ. ქიქოძის სლავიდებში ბევრი ამჟამად უცნობი და მეცნიერულად შეუსწავლელი ძეგ-ლია.

ძნელად, მაგრამ მაინც შექვლია მთელი თავისი ცხოვ-რების ნაღვალს ღირსეული მოხუცი ემიგრანტი.

მადლიერების, სიხარულისა და, ამავე დროს, უხერ-ხულობის გრძნობით ტოვებს ფილმის ავტორი ვანოს უკვე ჩამქრალ ბუხართან და მოტიტვლებულ კედელთან.

ყველაზე უძვირფასეს რელიქვიებს უგზავნიან სამ-შობლოდან გადახვეწილი შვილები „თავის საქართვე-ლოს“.

კერანზე მოჩანს ნიკო ბაგრატიონის ქალიშვილი — ქალბატონი ირენი, რომელიც ლუდოვიკო XIV-ის მიერ სულხან-საბა ორბელიანისათვის ნაბოძებ სამაჯურსა და საქართველოს უკანასკნელი დედოფლის, მარიამის ნაქონ ძვირფას საყურეებს უგზავნი საქართველოს. მო-ჩანს ვერსალი და ჩვენს თვალწინ, წარმოსახვით კვლავ ცოცხლდება დიდი მოხუცის ნათელი ლანდი, კვერთხით ხელში.

ვხედავთ დავით ღამბაშიძის შთამომავლობას — რე-

ზოსა და ნათელას. ისინი სასწრაფოდ ჩამოდიან პარიზ-ში, ერთი — მონპელიედან, მეორე — ბრიუსელიდან და თან ჩამოაქვთ უძვირფასესი საჩუქარი: — მათი პაპის მიერ გადაღებული დიდი აკაკის დაკრძალვის ამსახველი, სავ-სებით უნიკალური ფოტონეგატივები. თბილისში ჩამო-სვლამდე რა გაგვაძლებინებდაო, ისმის ფილმიდან ავ-ტორის სვედით დაფერილი ხმა და ჩვენს თვალწინ გამჟღავნებულ ფოტოფურცლებზე ერთმანეთის მონა-ცვლეობით, ცოცხლდება დიდი პოეტის დაკრძალვის მთელი პროცესია — სხვიტორიდან მთაწმიდამდე. ძაძით მოსილია მთელი საქართველო. ქართველი სამღვდლო-ება ატარებს პანაშვილებს, და საქართველოს უსაყვარლეს პოეტს უმაღლესი სასუფევლის გზაზე მიაცილებს.

ფოტოსერიალი უნიკალურია იმიტომაც, რომ ფირზე აღბეჭდილია საქართველოს ეკლესიის ბრწყინვალე წარ-მოამდგენლობა.

კერანზე გაივლებენ მიხაკო წერეთლის, ნინო და კალე სალიების, ვიქტორ ნოზაძის, გრიგოლ რობაქიძის სახეები... გაივლებენ ეპიზოდურად, მაგრამ გვიტოვებენ ტკივილს, გაივლებს ქართველთა ძვლებით გაქართუ-ლებული ლევილის სასაფლაო, — ჯვრებით, გაივლებენ ეპიგრაფიკული ქართველები, რომელთაც რაც შეეძლოთ, იმას აკეთებდნენ საკუთარი საშობლოსათვის.

„ჩვენი ბაბუა...“ იწყებენ საუბარს უცხოეთში დაბადე-ბული ქართველები. განსაკუთრებული ხიბლი ახლავს მათი გადარჩენილი ენის ინტონაციას, მათი სახის ნაკე-თების და მხერების ქართულობას და დახვეწილობას.

1937 წელი. ომის დროინდელი ბერლინი. ქართვე-ლები შემთხვევით გაიგებენ, რომ ერთ-ერთი კოლექცი-ციონერის ქერივი შვიდის თბილისის სიონიდან გატა-ცებულ ქართულწარწეროვან, ვერცხლითა და ოქრო-მკედით ნაქარვ საკურთხეველის საფარველს. 1773 წელს იგი მოუქარგავს და სიონისათვის შეუწირავს ქეთევანს, — დავით მეფის დედას, ქსნის ერისთავის მეუღლეს. ეს უწმიდესი ქსოვილი იმ საუკუნეშივე ადღგომის წინა დღეს გაქრალა უკვალოდ.

ბერლინში მცხოვრები ქართველები თამარ და აკაკი პაპაევები გრიგოლ რობაქიძე, მიხაკო წერეთელი, ვიქ-ტორ ნოზაძე სასწრაფოდ მოდიან კოლექციონერთან, საფარველს ფოტოსურათებს უღებენ და უგზავნიან ექვ-თიმე თავაიშვილს. — არ გაუშვით ხელიდან, — პასუხობს ექვთიმე და მიუთითებს, რომ ეს ქსოვილი უნიკალურია მეცნიერულ ლიტერატურაში აღწერილი ქართულ სი-ძველეთა შორის, რომ მხოლოდ მასზეა გამოსახული გენეალოგიური ხე — ბიბლიური იესეს ნერგი — რომ-ლიდანაც მომდინარეობენ, გარდა ღვთისმშობელი მარი-ამისა, ძველი აღთქმის მეფენი და წინასწარმეტყველნი.


ექსპერტებმა იგი 25000 დოლარად შეაფასეს. პაპაევებმა გაყიდეს ყველაფერი და ვალებში ჩავარ-დნილებმა, მაინც შეიძინეს ეს რელიქვია.

თამარ პაპავას მოგონებებიდან: „ამ აფორნიკებულ ბერ-ლინში გრიგოლ რობაქიძე, მიხაკო წერეთელი და ვიქტორ ნოზაძე, ასევე იმხანად გერმანიაში მცხოვრები სხვა ქართველებიც, როგორც ეკლესიაში, ისე დადიოდნენ ჩვენთან, სადაც ხატად ესვენა სიონის განძთაგანი“...

ამ განძთაგანს ბერლინიდან თან წაიღებენ არგენ-ტინაში გადასახლებული პაპაევები.



აკაკის დასაფლავება. სხვიტორიდან თბილისამდე. ქვეყნდება პირველად.



და აი, 1964 წლის ივლისს ბუენოს-აირესის საქალაქო ავტობუსში მოულოდნელად გარდაიცვალა უცნობი მგზავრი, რომელსაც ხელში ჩაეპლუნჯა არგენტინაში პირველად ჩამოსული ქართული ცეკვის ანსამბლის ბილეთები. ეს გახლდათ აკაკი პაპავა-ემიგრანტის დაღლილმა გულმა ვერ გაუძლო თანამემამულეებთან შეხვედრის მოსალოდნელ სიხარულს...

გადის წლები... რეზო თაბუკაშვილის კინოგაღამებები ჯგუფი დომას დე სამარაში მიდის, აკაკი პაპავას შთამომავლებთან. სიონის გადასაფარებელი ახლა მათი ოჯახის რელიქვიაა, მათი „საქართველო“.

„მძიმეა ქართველისათვის ემიგრანტობა. მე ბევრჯერ მითქვამს, რომ არ არის ეს მისი საქმე, — ამბობს პაპავას ქალიშვილის მეუღლე ლეო ჭეიშვილი, აღიარებული მეცნიერი, დოქტორი, სილიკატური ქიმიის სპეციალისტი. — ყველას შეუძლია იყოს ემიგრანტი, მაგრამ ქართველს არა.“

„ჩემო ძვირფასო აკაკი — (გრ. რობაქიძის ეს წერილი თამარ და აკაკი პაპავეების არქივშია) — საქართველოში გაიარა ჩვენმა სიყმაწვილემ და მე აქაც საქართველოზე მოგონებებით ვცხოვრობ მხოლოდ.“

მარტო ვარ. სევდა. კვლავ სევდა. ჩემი განკურნება შესაძლებელია მხოლოდ თანამემამულეთა არეში. ჩემს სიცოცხლეში ასე მძაფრად არ მიგრძენია ტოური ნათესაობა ჩვენი, ჩვენი სისხლი, ჩვენი მიწა, ჩვენი ფესვები, ჩვენი ისტორია, ჩვენი ბედი.“

მასპინძლები თამარ და აკაკი პაპავას ანდერძს კითხულობენ: „ჩვენ გვსურს, რომ თუ ჩვენ ვერა, სხვებმა მაინც ეს განძი ჩვენი სახელით საქართველოში ჩაიტანონ და სამშობლოს არ დაუკარგონ.“

კედლიდან ხსნიან შუშაში საგანგებოდ ჩასმულ საფარველს. მგლოვიარე სახეებით გამოაქვთ ოთახიდან. ეს საფარველი წლების მანძილზე მათი სამშობლო და ხალოცავი იყო. ძნელია, მაგრამ ეთხოვებიან.

რეჟისორი ამ სახეებზე ხშირად აკეთებს ვიზუალურ აქცენტს, მაგრამ სიტყვებით ახსნას არ მიესწრაფვის, რამეთუ ადამიანთა განცდის სიდრმეების დიდი ნაწილი აუხსნელია და საიდუმლოებითაა მოსილი. ეს საიდუმლო, როგორც ბედისწერა, განუშორებლად თან ახლავთ ამ ადამიანებს...

ნოსტალგიის გარდა, კიდევ რა საიდუმლოს ატარებს ეს „სანთელი გვამისა“, ემიგრანტის სევდიანი, ჩამქრალი თვალები?

რა საიდუმლოს ატარებენ დაღუპებული ზარები, გაზარული მინანქრები, წაშლილი პალიმფსესტები!...

### იყიდება საქართველო?

სიონის საპატრიარქო ტაძარში წირვაა. არგენტინიდან ჩამოტანილმა საფარველმა საუკუნენახევრის განშორების შემდეგ საკურთხეველზე გაათია ღამე. წირავს სრულიად საქართველოს კათოლიკოს — პატრიარქი ილია II. ისმის ქართული გალობა. კინოდარბაზი სავსეა ხალხით. მაყურებელი უმაღლესი სიხარულის განცდით, ფეხზე ამდგარი უკრავს ტაშს. ალბათ, ესაა შემოქმედის ბედნიერება (რედაქცია ამ საფარველის შესახებ ამზადებს სეგანგებო წერილს, რომელიც ახლო მომავალში გამოქვეყნდება).

კინოდილოგია გრიგოლ რობაქიძის ჩვენ მიერ უკვე ციტირებული ლექსის სტრიქონებით თავდება. (ფრაგმენტი მისტერიიდან „ჯვარი ვახისა“ ქსორალი მეორე — „წმიდა ნინო“):

„დაო და დედაო!  
ღვთისმშობლის დობილო,  
შენზე ვართ დანდობილი,  
და შენი შენდობით  
არ გადავშენდებით...“

### 6. სოფერია

#### გატონო რეპაზ!

გულითადად და სიყვარულით გილოცავთ საიუბილეო თარიღს. მრავალფეროვანია და ჩვენი პრისატივის საამშრობო თვეები მოღვაწეობა, თვეები ცხოვრების გზა. თვეებს მიერ ერის საგანძურში შეტანილი ყველაზე დიდი წვლილი გაცნა, ალბათ, ის არის, რომ გაცოცხლებით წარსული; მის წინაშე პირისპირ დაგვაყენეთ და აგაზი ფიჭვი დაგვაწვებინეთ.

მშვენივრად ბრძანა წვილა ილია მართალმა (ჯავახიშვილი): „დიდებუნებოვან კაცთა და სახელოვან გმირთა მაგალითებით ისტორია სწორტინის მრსა, ზრდის და დიდებულნი საქმენი კიდევ გულს უკმითაან მოქმედებისათვის“.


თქვენ, გატონო რეპაზ, ამ საიუბილეოლო საქმეს მსახურებით; ამიტომ მაღლოვან გიხდით, მაგრამ გახსოვდეთ „სამგალი ფრიად არს“ კვლავაც. დეპრტმა დაგლოცოთ.

„მოგაგინე შენ უფალგან გულისაგან შენისა და შოკელი ზრახვად შენი აღვისრულენ (შს. 19.4.).“

ღრმა პატივისცემით

ილია II,

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.



## წმიდა ღვთისმშობლის ალმასხანა

### მეფე მართველთა (1089—1125)

ვიდრე მეფე ღვთისმშობლის III ტახტზედ ავიდოდა, საქართველო მეტად სამწუხარო მდგომარეობაში იყო. თორღულ ბუგმა (1047) და ალპ-არსლანმა (1064) აიკლეს მთლად საქართველო, იაგარ ჰვეს კვლესიები, გასწვიტეს მცხოვრებნი და შეიწყალეს მხოლოდ ისინი, ვინც მაჰმადიანობა მიიღო. ბერ-მონაზვნები და განდევნილებით მოღვაწენი იკვლოდნენ წმ. ტრაპეზუნდ და ყოველივე ქრისტიანული იმუსრებოდა მართლ-მადიდებელს სამეფოში ალყორანის სახელითა. თვით მეფე ბაგრატ IV (1027—1072), რაკი სასურველად ვერ მოეწყო მისთვის მაშინდელი საპოლიტიკო ვითარება, დატოვებულ იქნა თანამორწმუნე ბერძენთაგან. ბერძენები კიდევაც სდევნიდნენ ბაგრატს და ამიტომ ეს მეფე იძულებული იყო ეტვირთნა ბატონობა სელჯუკებისა, ეძლია მათთვის ხარჯი და თვისი ქრისტიანე ბიძაშვილიც—კი მიეთხოვებინა ცოლად არა—არსლანისათვის, შვილი ბაგრატ IV-ისა, გიორგი II, ნამდვილი რაინდი მაშინდელის დროისა, მხოლოდ არა მამა სამშობლოსი, ავიდა წინაპართა ტახტზედ და დიდი მწუხარება გამოსცადა — იხილა თვით სამეფო ქალაქი ტვილისი (1078 წ.) სელჯუკების ხელ-

ში და იძულებული შეიქმნა გაქცეულიყო აფხაზეთს და იქ შეეფარებინა თავი. თურქნი მრავლად დაესახლნენ ქართლსა და კახეთში და დაიჭირეს ყველა ნაყოფიერი ადგილები მტკვრისა, იორისა და ალაზნის ნაპირებად.

მწვემსნი ეკლესიისა ამ ბედ-შავ დროს ნაკლებად სცემდნენ ნუგეშს ერს, რომელიც მხოლოდ სახელით თუ იყო ქრისტიანი. მკრეხელობა, შური, ერთმანეთის გაუტანლობა, დალატი სარწმუნოებისა და ბიწიერება გავრცელდა ქართველთა შორის და ძირს უთხრიდა უბედურის ერის ზნეობას. გამარჯვებულნი მტერნი ყველგან და ყოველთვის მრავლად შოულობდნენ მომხრეებს და იმათის შემწეობით მოჰყავდათ სისრულეში ყოველი თავისი განზრახვა, მიმართული ქრისტეს მმოსავის ქვეყნის დასადუბავად. მონასტრები და სახლნი ღვთისანნი დაცალიერდა, გაუქმდა, ან არა და, მენეთებად იქნა გაქცეული. მახვილი თურქთა შეუწყალებლად ჰჟღერდა ქართველთა სამღვდლოებას, რომელიც სცდილობდა არ გამქრალიყო ერში სარწმუნოება. მღვდელნი და ბერ-მონაზონნი, რომელთაც—კი მტერი მოასწრებდა

მდღელ—მოქმედებისა და უსისხლო მსხვერპლის შე-  
წირვის დროს, თვით იწირებოდნენ მსხვერპლად. მო-  
ხუცი მამა—კაცი და დედა—კაციც კი არ ეცოდე-  
ბოდათ ბარბაროს მტრებსა, ქალთა და ასულთა აუბა-  
ტიურებდნენ და ჰხდიდნენ ნამუსს, ყმაწვილნი და ჭაბუ-  
კნი მიჰყავდათ ტყვედ. ხანგრძლივმა არეულობამ და სა-  
ზოგადო სიღატაკემ დაჰბადა ყოველგვარი უკანონობა და  
ბიწიერება.

კახეთის მფლობელმა აღსართან 1-მა (1058—1084)  
ულალატა მამა—პაპის სარწმუნოებას და კახეთის ქრის-  
ტიანე გვირგვინოსანთა შორის მან პირველმა დაანახვა  
ერს დამღუპველი მაგალითი სარწმუნოების დაღატაკისა,  
რენეგატობისა. ერთგულნი ძენი ეკლესიისა სტოვებდნენ  
თავიანთ ბინასა და სახლ—კარსა, იხიზნებოდნენ მთებ-  
ში, იმალებოდნენ ტყე-ღრესა და მიუდგომელ ადგილებ-  
ში და იმ სულთერს ნუგეშსაც-კი მოკლებულნი იყვნენ,  
რომ ვერ ჰხედავდნენ თავიანთ შორის ეკლესიის მწყემსთ.  
მტრის მახვილს გადარჩენილნი იხოცებოდნენ სიმშო-  
ლითა, რომელიც ბაღე გავრცელდა მთელს საქართვე-  
ლოში. აი ასეთ უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფებო-  
და მართლ-მადიდებელი ეკლესია ივერიისა. და კიდევ  
დიდხანს იბატონებდა ნახევარ—მთვარე ჯვარზედა, კი-  
დევი დიდხანს არ შესწვდებოდა ქრისტიანეთა სისხლის  
ღვრა, თუ რომ ქვეყნის საბედნიეროდა და ქრისტი-  
ანობის სანუგეშოდ, საქართველოს ტახტზედ არ ასუ-  
ლიყო დავით თვისის მამის მეფე გიორგი II-ს მა-  
გიერ, რომელსაც საქართველოს დიდებულებმა ძალა  
დაატანეს და უარი ათქმევინეს მეფობაზედ.

ბატონიშვილი დავით, ძე გიორგისა, მომავალი გვირ-  
გვინოსანი, აღმაშენებელი მართლ-მადიდებლის სამე-  
ფოსი და ეკლესიისა, იზრდებოდა მოსლემინთა შეუძინე-  
ვლად ქართლის ერთს მცირე სოფელ რუისში, გულადსა  
და თვისის ვაჟვაცობით განთქმულ აზნაურ მამაცაშვი-  
თების სახლში. დაცარიელებულ და მკვიდრთა რიცხვით  
ყოველად შემცირებულ საქართველოს ახალმა მეფემ  
ძლივს მოუყარა თავი ხალხს, რომელიც გახიზნული-  
ყო აქეთ—იქით მიუვალს მთებში და თავს იფარავდა  
ციხე—სიმაგრეებში. მართლ-მადიდებელნი დიდებულნი  
და უმაღლესნი მოხელენი დიდის ვაჭირებით ინახუ-  
ლებდნენ ხოლმე სელჯუკთა მოხარკე მეფეს წადვრის  
თავს, იმერეთის სამხდვრად, საცა მამის იმყოფებოდა  
თექვსმეტის წლის მეფე, რომელიც მხოლოდ სახელით  
იწოდებოდა მეფედ დაობლებულ და მოოხრებულ სა-  
ქრისტიანო ქვეყნისა, ახლა უკვე სრულწლოვანი შე-  
იქმნა. უზრუნველნი თურქნი არავითარს შიშს არა  
ჰგრძობდნენ. ან—კი რა საშიში იყო მათთვის ის ერი,  
რომელიც დაჰმორჩილებოდა მათს სარწმუნოებასა და  
ბატონობას? ის დიდებულნი, რომელთაც ისინი მფარვე-  
ლობას უწყევდნენ და აქეზებდნენ ყოველ-გვარ უკანონო  
მოქმედებისა ეს ამბოხებისა სათესად? დავითმა კარგად  
გამოიყენა ეს უზრუნველობა თურქთა: შეაგროვა ძლიერი  
ჯარი და თვისის სიამამის ყიფჩაყეთის მთავრის შემწე-  
ობით, რომელმაც თავისი ჯარი გამოუგზავნა მისამე-  
ლებლად, სძლია მთიელებს და გაიხადა თავის მოხარკედ.  
ამას გარდა 50 ათასი ოსი მოაქრისტიანა და ბევრნი  
მათ შორის, საქართველოში გადმოასახლა.

იერუსალიმის აღება ევროპიელ ქრისტიანეთგან დი-  
დად წააქეზა მეფე დავით, ალაგზნო მის გულში მხურვა-  
ლე გრძობა ქრისტიანობის დაცვისა მართლმადიდე-  
ბელს ქვეყანაში და, აი, დავითმაც შეჰკრიბა მხედრო-  
ბა წმ. ჯვარის სახელითა და აღმხედრდა თვისთა დამ-  
მონავებელთა წინააღმდეგ. მეფემ ბრძანა, წავიმძღვროთ  
წინ ხატი ღვთისა დედისა და ისე ვებრძოლოთ მტერსაო.  
საცა—კი დაეცა თავს მტერსა, ყველგან სძლია ჭაბუკმა  
მეფემ, თუმცა რიცხვით მტერი ბევრად მეტი იყო ხოლმე.  
დავითმა წაართვა თურქებს ტფილისის ქალაქი (1122 წ.)  
დაამშვიდა თვისნი ურჩნი დიდებულნი, მოსპო სამარ-  
ცხინო ხარჯი, რომელსაც აძლევდა საქართველო მოს-  
ლემინებსა და შეაკავშირა დაკინებულნი ნაწილნი ქვეყ-  
ნისა საზოგადო წეს—წყობილების დამყარებითა. სელ-  
ჯუკთ კვლავ სცადეს რამდენჯერმე დაეპყრათ საქარ-  
თველო, მაგრამ მათმა ცდამ ამაოდ ჩაიარა და მეფე  
დავით ყველგან გამარჯვებული რჩებოდა. თვით მოსლე-  
მანები ამბობდნენ, რომ სასწაულებრივ ვიძლეოლით ხო-  
ლმე და ჩვენს ჯარს საკვირველმოქმედებით ჰუღეტდა წმ.  
მთავარ—მოწამე გიორგიო. სამშობლოს გარეშეც გაი-  
ტანა თვისი მახვილი მამაცმა და ქრისტესმოყვარე რაინ-  
დმა მეფემ, ისმინა აჯა იმ დროს მეტად შევიწროებულ  
სომეხთა და წაართვა მოსლემინებს ანი, რომელიც სა-  
ტახტო ქალაქი იყო წინად სომეხთა სამეფოსი. იქ მეფემ  
ბრძანა, რომ ეკურთხებინათ ყველა ეკლესიანი ანისა,  
რომელნიც მეჩეთებად გადაეცია ქრისტეს მტერს.

მედეგი დავითის ბრწყინვალე ძლევაშისილებისა,  
რომლის ამბავიც მოეფინა ევროპასაც და აზიასაც, ის  
იყო, რომ სელჯუკთა სულტანმა, ძვირფასი ძღვენი გა-  
მოუგზავნა, ბერძენთა იმპერატორი ალექსი კომნენი  
(1081—1118) სცდილობდა მის დამეგობრებას. სომეხს  
კიდევ, ქართველთა მეზობლებს, რომელნიც დავითის  
შემწეობით კვიდებოდნენ მის დიდებულს სახელს, გუ-  
ლით უნდოდნენ შემოერთებოდნენ ქართველთა მართლ-  
მადიდებელს ეკლესიას. ამ აზრით იქმნა მოწოდებული  
კრება წმ. მამათა ანის ქალაქს. კრებას თავსჯდომარე-  
ობდა საქართველოს კათალიკოსი იოანე III. მხნე მონა-  
წილეობას იღებდა კრების საქმეებში მეფის მოძღვარი,  
სწავლული არსენი (თავად ვაჩნაძეთაგანი), ეპისკოპოსი  
ივალთოსი, მაგრამ ხანგრძლივი საღვთისმეტყველო კა-  
მათი სომეხთა და ქართველთა ეკლესიის დოღმატებისა  
და წესრიგის შესახებ ისე დასრულდა, რომ სასურველი  
შედეგი არ მოჰყვა და სომეხთა ეკლესია არ შემოუკერ-  
თდა საქართველოს. თავის სამეფოში დავითმა გაათანას-  
წორა უფლებანი სომეხთა და ქართველთა და სომეხთ ნე-  
ბას აძლევდა, სადაც უნდოდნენ იქ დასახლებულიყვნენ.  
ამ დიდებულს მეფეს, როგორც სამართლიანად ამბობს  
ისტორიკოსი თ. ბარათაშვილი, ალბათ ის აზრივე ჰქონ-  
და, როცა ათანასწორებდა უფლებით ქართველებსა და  
სომეხებს და როცა სომეხთ ნებას აძლევდა საქართველო-  
ში დამკვიდრებულნიყვნენ, რა აზრითაც ხელმძღვანელობ-  
დნენ შემაერთებელნი პოლონელთა და ლიტველთა და  
სხვათა მეზობელთა ერთა. მაგრამ დროთა განმავლობამ  
დაამტკიცა, რომ მეფე დავითს ისეთივე შეცდომა მოუ-  
ვიდა, როგორც შემდეგ კახიმი დიდს, რომელმაც ურიანი  
დაამკვიდრა პოლონეთში.

თუმცა ასეთ გამუდმებულს ზრუნვაში და ფიქრში იყო დავით მეფე და სცდილობდა ღვთისა, ეკლესიისა და ქვეყნის კეთილ-დღეობას, მაინც იმდენს დროს კიდევ ჰპოვებდა, რომ ესაზრდოვებინა თავისი სული სამღვთო წიგნებისა და წმ. მამათა ნაწერების კითხვითა. კითხვა ამ წიგნებისა ისე უყვარდა დავით აღმაშენებელს, რომ არ იშორებდა არც მაშინ, როცა სანადიროდ წავიდოდა, არც მაშინ, როცა ლაშქრობაში იყო. უფრო უყვარდა კითხვა ახალ აღთქმის წიგნთა შორის: სახარებისა, სამოციქულოისა და აპოკალიპსისა. მეფე დავითს ჩვეულებად ჰქონდა, რამდენჯერაც წაიკითხავდა სამოციქულოს თავიდან ბოლომდე, იმდენჯერ წიგნის ბოლოში ნიშანს დასვამდა. წლის გასულს, როგორც მოწმობს მატინე, ამისთანა ნიშანი თურმე 24 იყო. მაშასადამე, დავით კითხულობდა სამოციქულოს თავიდან ბოლომდე წელიწადში 24 ჯერ. სამღვთო წიგნების კითხვაც უყვარდა და თვითონაც სთხზავდა საგალობლებს. ერთი ამისთანა საგალობელი შედგენილია დავითის მიერ წმ. ანდრია კრიტელის ბენინების საგალობლის მსგავსად; ამ საგალობელში სულ ცხრა მუხლია და თითოეულს მუხლს ზედ დართული აქვს: „მიწყაღე მე, დმერთო, მიწყაღე მე“. ცხრა მუხლს საგალობლისას ცხრა სძლის პირის ზედ მისდევს აღფრთოვანებული პოეტური და ყვავილ-დასხმული ენა საგალობლისა, ღრმა ცოდნა საღვთო წერილისა. შიგ გამოხატული ჭეშმარიტი საქრისტიანო გრძნობა სიმდაბლისა სავსებით ახასიათებს დიდბუნოვანს მის შემოქმედს, დავით აღმაშენებელს და ვითარებას მისი სულისას, რომელიც ცა-მიმართ მიისწრაფოდა. აღსავსეს მადლითა უფლისათა და მითვე აღტკინებულსა მეფე დავითს თვის საგალობელში გულის სიდრმიდან ამოაქვს თვისი წრფელი და მეზნებარე ლოცვა წინაშე ღვთისა და მწარედ მოსთქვამს, მსგავსად თვისის მოსახელის დავით ფსალმუნთ-მგალობლისა, თვისთა ცოდვათათვის. დავით აღმაშენებელმა თავის სამხედრო დიდებას შეუერთა ბრწყინვალეობა ძველ საქართველოს აღყვავებულ-ლიტერატურისაცა, თვისის გვირგვინის აღმასებს ზედ დაურთო დაფნები ჰელიკონისაც და ამიტომ ჩვენის ძველის მწერლობის ისტორიამ სახელი მისი ჩაურთო მაშინდელ სახელგანთქმულ მწერალთა შორის.

ჯერ ისევ ძალ-ღონით სავსეს ჰასაკითა, სრულს ვაჟკაცობითა, მრავალის იმედითა, მოსაზრებითა და ზრუნვით შეპყრობილს სამშობლოსა და მართლ-მადიდებელს ეკლესიის საკეთილდღეოდ და სადღეგრძელოდ უახლოვდება ყოვლისა დამამშვიდებელი ჟამი სიკვდილისა. დიდხანს არ უცოცხლია ქველობით რაინდსა და სამშობლო ქვეყნისათვის დეაწლ-მოსილსა და კიდევ იმითმ იყო ასე ხანმოკლე მისი სიცოცხლე, რომ აუტანელმა და უზომო შრომამ დაჰლია მისი ღღენი. იგი მშვიდობით განვიდა უფლისა მიმართ 1125 წელს, იანვრის 24 დღესა, 54 წლისა დაბადებიდან და დასტოვა თვის შემდეგ ანდრძი დირსი დიდებულისა, ყოვლად-ბრძენისა, მშვიდისა, გულ-მტკივნეულისა და წმიდა მეფისა.

დავითის ბრძნულმა და ბრწყინვალე მეფობამ 36 წლის განმავლობაში გაუთქვა სახელი ამ მეფეს მაშინდელ ხელმწიფეთა შორის და შესძინა სახელი დიდის მეფისა, მრავალმა ძღვევამა და გამარჯვებამ მეხოხელ

ერთა საწინააღმდეგო ბრძოლაში — დაუკვიდრა სახელი ძღვევა მოსილისა, განახლება და აღდგენა იმ ქალაქებისა, რომელიც მის დროს მოოხრებული იყო, აგრეთვე აშენებამა და განახლებამ საქრისტიანო ძველებსამ სახელი აღმადგენელისა, აღმაშენებლისა; ხოლო გულმხურვალეობამ, დამოწმებულმა მრავლის სასწაულებითა, რომელიც აღწერილი აქვთ მის დროინდელ მწერალთ, სახელი წმიდანისა. მეფე დავითი დიდად იგლოვა მისმა მადლობელმა ერმა და დიდის ამბითა და გამოჩინებით დაასაფლავა ეკლესიაში, რომელიც მაშინ შესავალი კარი იყო გელათის მონასტრისა. მის საფლავის ქვის აქვს ასომთავრულის ხუცურით წარწერა, რომელიც აგრეთვე დიდის დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნებიდან არის ამოღებული: „ესე არს განსასვენებელი ჩემი უუნითი უკუნისამდე, მას დავეკვიდრო, რამეთუ მთნავს ესე“.

როცა თურმე დავით მეფე შევიდა ანის საკრებულო ტაძარში, — მოგვითხრობს სომეხთა ზეპირ-თქმულება, — მიუახლოვდა თვისის გვირგვინოსანის ბევის საფლავს, იმ ტაძრის აშენებლისას, რომელსაც კოტრატიმ ეწოდებოდა სახელად და რომელიც იყო მეუღლე გავიკ 1-ისა (989—1020) და უთხრა: „გიხაროდნენ, დედოფალო, დმერთმა იხსნა ეკლესია შენი აგარიანთაგან“, და პასუხად ამ სიტყვებისა მოესმა თურმე საფლავით: „დიდება დმერთსა!“ შემდეგ ძღვევა მოსილმა მეფემ დაიპყრო შირვანი, დაიჭირა დარუბანდი და მისი რკინის კარი (ზოგთა თქმით — ანისა), ვითა ნიშანი ძღვევისა, დასდგა გელათის მონასტერში. ამ სახით, დავითმა გასდგა საშხლვარნი თვისის სამეფოსი შავის ზღვიდან კასპიის ზღვამდე და ტრაპიზონიდან მესოპოტამიამდე, დიდი ჭკუა, მხნეობა და მამაცობა უნდა ჰქონოდა მეფეს, რომ აღედგინა თვისი დამოხობილი და მტერთაგან დაპყრობილი ქვეყანა, დაემკვიდრებინა უშიშარი ცხოვრება ნანგრევთა შორის, აღეყვავებინა დაქცეულნი ქალაქნი და მტკიცედ დაემყარებინა საკურთხეველნი უფლისანი.

სამხედრო ძღვევა მოსილება საქართველოს ძლიერის მეფის დავითისა მიბანება იყო ჯვაროსანთა ლაშქრობისა. ქართველნი, აღფრთოვანებულნი, რომ ყველგან ისე ბრწყინვალედ გაიმარჯვეს წმ. ჯვარის უუბოროტეს მტერზედ, ახლა გაემზადნენ აღთქმის ქვეყანაში გასაღამაშქრებლად: იქ პალესტინის ქრისტიანთა ბედის შემსუბუქებას შევეწვევით და დასავლეთის ქრისტიანეთა თანა გამოვიხსნით ურჯულოთა ხელიდან ქრისტეს წმიდა საფლავსაო. თუმცა აღელვებულმა ზღვამ შთანთქა ქველნი მხედარნი სარწმუნოებისა, მაგრამ ამ ბუნებრივის მიზეზით წარმომდგარმა უბედურებამ ვერ გაანელა გულმხურვალეობა ახალთა მხედართა, რომელთაც მშვიდობით მიადწიეს წმ. ადგილს და ასურეთის ქრისტიანებთან და სომხეთის თავადებთან ერთად არა მცირედ შემწეობა აღმოუჩინეს დასავლეთის ჯვაროსანთ, როცა ისინი ებრძოდნენ ქრისტიანობის მტრებს.


დავით მეფემ, რაკი გაათავისუფლა სამეფო თურქთა მონობისაგან, შეუდგა ახლა ეკლესიის და ერის მდგომარეობის განმართვასა და განკარგებასა. როგორც საფიქრელიც იყო, ეს საქმე იმით დაიწყო, რომ სამღვდელოებას მიაქცია ყურადღება და მის ზნე-რაცემულობას მოუნდომა წამლის პოვნა. წარსულ უწყსოებათა და ღელ-



ვა-შფოთვის გამო ივერიის ეკკლესია სამწუხარო მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი: უღირსნი მწყემსნი, რომელნიც შედიოდნენ ცხოვართა ბინად არა კართა ქრისტესითა, ჰფლობდნენ ეპარქიებს, ბიწიერება დამპყრობელთა და მეზობელ ერთა დამკვიდრებულიყო ქართველთა საზოგადოებასა და სამღვდელთაში. „მღვდელნი, მატინეს თქმით, შეიქმნენ წარმომადგენელნი ყოველგვარის უსჯულოებისა და უკეთურებისა და ღვთის შიშისა და სჯულის მაგიერ უქადაგებდნენ ერს ურწმუნოებასა და ყოველ-გვარს უზნეობას.<sup>1</sup> ამ ბოროტ-მოქმედებათა აღმოსაფხვრელად და ეკლესიის განსაწმედად, მეფე დავითმა 1103 წელს მოუწოდა რუის-ურბნისის შირის კრებას ეკლესიის ღვთისნიერსა და განათლებულ მწყემსთა და ამ კრებაზედ დაესწრო თვითონაც, არა ვითარცა მეფე, არამედ ვითარცა მონა.<sup>2</sup> ღვთივ-განბრძნობილთა მამათა და საქართველოს ეკლესიის ერთგულთა მსახურთა სახელმძღვანელოდ დაიდეს წესნი მსოფლიო კრებათა და აგრეთვე წეს-რიგნი საქართველოში ძველად მომხდარ კრებათაცა და წყევას მისცეს უღირსნი ეპისკოპოსნი, რომელნიც წესიერად არ იყვნენ მოსილნი ამ წოდებითა, ღვთის უარის-ყოფელნი დიდებულნი და ეკლესიის უღირსნი მწყემსნი ერისკაცებად გამოაცხადეს. გარდაწვევტილებანი ამ კრებისა (მეგლის-წერა), 15 მუხლად განყოფილნი, გააკრეს საყოველთაო საუწყებელად მცხეთის საპატრიარქო ტაძრის ქვის სვეტებზედა რუისის საკათედრო ტაძარში და ბოლოს ჩაურთეს ქართულს დიდს სჯულის კანონში. მეფე დავითმა იცოდა, რომ ივერიის სამეფოს დაცემა წარმოსდგა საქართველოს საერისთავოებად დანაწილებისა და ძლიერის არისტოკრატის განჩენის მიზეზით, ამიტომ უმთავრესი თვისი ყურადღება მიაქცია ამ ბოროტების აღმოფხვრას. ქრისტეანობის უარის მყოფელი ლიპარიტ ორბელიანი, რომელსაც არ უნდოდა დაპყრობილობა სამეფო უფლებას და

კრების გარდაწვევტილებას, საბერძნეთს იქმნა განდევნილი, ხოლო მისი აუარებელი ქონება შეირიცხა ხაზინისა და ეკლესიის სასარგებლოდ. ასეთივე ბედი ხვდა კახეთის გამგებელსა და მფლობელს აღსართან II-ს (1102—1105), კაცს ყოველად უნიჭოს, უხასიათოსა და ყოველს ღირსებას მოკლებულსა. დანარჩენი ფეოდალები, რაკი სასტიკი ღონისძიებანი იქმნა მიღებული მათ წინააღმდეგ, იძულებულნი შეიქმნენ შეეწყნარებინათ და დაპყრობილებოდნენ მეფის თვითმპყრობელობის უფლებასა.

კეთილ-მორწმუნე მეფე დავითი, საყვარელი ერის და ქებული მის მიერ, შეუდგა ახლა, რაკი ცოტად თუ ბევრად აღამაღლა და განასპეტაკა ზნეობა თვისთა ქვეშევრდომთა, დაცემული მაჰმადის თაყვანის-მცემელთა გავლენით, ეკლესიების განახლებას და შემოკობასა. ამ აზრით, პნიშნავდა ყოველგან ღვთისნიერ ეპისკოპოზებს, ამრავლებდა რიცხვს საკურთხეველის მსახურთა და მფარველობდა სასულიერო განათლებას. განათლების გავრცელებისათვის მეფის ბრძანებით ყოველ-წლივ იგზავნებოდნენ ახალგაზრდა ქართველნი საბერძნეთს უმაღლესის სწავლის მისაღებად. დავითმა კარგად იცოდა, რა დიდი განმანათლებელი მნიშვნელობაც აქვს მართლმადიდებელს მონასტრებს სამეფოსა და ეკლესიისათვის და ამიტომაც განაახლა დანგრეულნი მონასტრნი, — ეს განათლების ბუდენი, აღაშენა ბევრი ახალი მონასტერი, უმთავრესი ტაძარი ქვაბთა-ხევის მონასტრისა, გელათის მონასტერი, უმთავრესი ტაძარი შიო-მღვიმის მონასტრისა და სხვ. დავითმა განათავისუფლა სამღვდელთა, მონასტრები და ეკლესიები თავთავიანთ გლეხ-კაცობით ყოველ-გვარისა ბევრისა და გარდასახადისაგან. დავითი აშენებდა ქსენონებს ავადმყოფთათვის, თავისის ხარჯით გამოიხსნიდა ხოლმე ტყვეებს და ყოველ-დღე ურიკებდა ღარიბებს და გლახაკებს მოწყალებასა. სინას მთაზედ, სადაც მოსემ მიიღო ღვთისაგან



გელათი. წარწერა დავით აღმაშენებლის საფლავზე.

სჯული, დავითმა აღაშენა მონასტერი და დაადგინა მუნ მიტროპოლიტი. დავითს უყვარდა სათნოება და ქველობა, დიდად აფასებდა განათლებულ კაცთა დგაწლსა სამეფო საქმეთა მართვაში და ამიტომ გარს—შემოიკრიბა ნიჭიერნი, გამოცდილნი და ქველობით განთქმულნი ვეზირნი, რომელთაც ირჩევდა არა მარტო ქართველთა შორის, არამედ უცხოთა შორისაც. ამ სახით დავითის მოწაღლებით, საქართველოში კვლავ გაჩნდა სასულიერო განათლება და ამიტომ დრო ამ შესანიშნავის გვირგვინოსანის მეფობისა სამართლიანად ითვლება „ოქროს საუკუნედ“ სასულიერო განათლებისათვის. 1772 წლის გუჯარში მეფე სოლომონ 1 დიდი ამბობს, რომ დავით აღმაშენებელი მეორე ნოეა, საქართველოს დამხსნელი წყალთა რღვნისაგანაო.

ბოლოს ნეშტი ამ გვირგვინოსნის ლამპრისა და ქრისტეს ეკლესიის დამცველისა გადატანილ იქმნა მის მიერ დაარსებულ გელათის მონასტრის უმთავრეს ტაძარში და დაკრძალულ ტრაპეზის ქვეშა. ეკლესიამ შერაცხა იგი მშობელ ქვეყნის წმიდანთა და გვირგვინოსან ღვთის სათნო—მყოფთა შორის და დააწესა იდღესასწაულებოდეს ხსოვნა მისი 26 იანვარს. ეკლესიაშივე შეადგინა ცალკე საგალობელი მის სადიდებლად, რომელიც შემდეგ შევსებულ იქნა კათოლიკოსის ანტონ I-ის მიერ.


### XXX

იხარებს მსოფლიო ხსენებასა მართლ—მადიდებელთა ეკლესიისა ლამპარისასა, აღიტყველენით ხელითა ყოველი სულდგმული ქვეყანასა ზედა. ნუგეშინისცემულ—იქმნენ მართლ—მადიდებელი ეკლესია დიდისა მებრძო-

ლისა და ყოვლად ქებულისა და მფარველისა დიდისა დავითის—მიერ. შეუვრდეთ ჩვენცა ძენი შეურყევლისა ეკლესიისა დიდებულსა დავითს და ვევედრნეთ დაგვიფაროს ხილულთა და უხილავთა მტერთაგან, მზურვალე გულითა გვექმნას წინაშე საყდრისა მეფისა მეფეთასა და უფლისა უფალთასა და ესრეთ სიხარულით უგალობდეთ: გიხაროდენ, ნუ გეშინისცემო ივერიისაო, გიხაროდენ ერისა შენისა დიდებო. გიხაროდენ, მეფობათა შევენებო, გიხაროდენ მართლ—მადიდებლობისა მცველო. გიხაროდენ ერისა შენისა კეთილ მორწმუნებასა ზედა დამამყარებლო, გიხაროდენ ქრისტეს ეკლესიისა ზღუდო და სიმტკიცეო, გიხაროდენ, დიდებო საყდართაო და თვით მპყრობელო, მებრძოლო ერთ მთავრობისათვის ქრისტეს მოყვარეთა ხელმწიფეთაო. გიხაროდენ, სულითა და ზორცითა, ყოვლად ბრძენო, გიხაროდენ, თავ—ზარ—დამცემო და მძლეველო ქრისტეს მოძულეთა აგარიანთაო, გიხაროდენ, შემმუსვრელო ჰაოსიანთა ერისა უკეთურებისაო, გიხაროდენ, საღმრთო საყვირო მართლმადიდებლობისაო, გიხაროდენ ღვთისამიერ შეყვარებულ და ქებულ პირსა ზედა ქვეყნისასა. გიხაროდენ, სამეფოისა შენისა ანგელოზო მფარველო. გიხაროდენ, სუნელი სამოთხისაო და სანთელი სახარებისაო, გიხაროდენ, ჩვენის ცხოვრებისა შემამკობელო, გიხაროდენ, დიდო დიდებო და სიქადულო ერისა შენისაო. გიხაროდენ სულთა ჩვენთა განმანათლებელო, გიხაროდენ დავით!


### კორონი II

სრულიად საქართველოს კათალიკოს—პატრიარქი თბილისი. სტამბა შარაძისა და ამხანაგობისა, ნიკოლოზის ქუჩა. № 21. 1899 წ.



# მამოხათხოვარი

## დეკანოზი ილია მელია



თბილისის სიონის საპატრიარქო ტაძარში კვირას 16 მარტს წირვის შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-ემ მრევლს აუწყო, რომ ღვთივ განისვენა პარიზში მოღვაწე წმიდა ნინოს სახელობის ტაძრის წინამძღვარმა, დეკანოზმა ილია ანტონის ძე მელიამ და განსვენებულის სახელზე პანაშვიდი გადაიხადა. პანაშვიდს დაესწრო დიდძალი მრევლი, მათ შორის იყვნენ განსვენებულის ახლობლებიც.

ღირსი მამა ილია 1915 წლის 20 თებერვალს დაიბადა ქ. ქუთაისში. მისი ოჯახი ქ. ბათუმში ცხოვრობდა და თავადაც იქ იზრდებოდა. 1922 წელს ილიას მამა ანტონი სავაჭრო ურთიერთობისათვის კონსტანტინოპოლს მიავლინეს. მან თან იახლა მეუღლე და სამი შვილი — ილია, ანტუანი და მერი, ხოლო ქალ-ვაჟი ნინო და ოთარი ბებიასთან იზრდებოდნენ ბათუმში. კონსტანტინოპოლიდან ანტონსა და მის ოჯახს ბელგიაში მოუხდათ გამგზავრება და იქ, ქალაქ ნამიურის წმ. გიორგის სახელობის პანსიონატში მიაბარეს ბავშვები. 1926 წელს ილიას მშობლები სამშობლოში დაბრუნდნენ, ხოლო

ილია და—მძასთან ერთად იქვე დატოვეს სწავლის გასაგრძელებლად. მამა ილიას ძმის, ბატონ ოთარის გამოცემით, პატარა ილიას ცნობილი საეკლესიო მოღვაწე გრიგოლ ფერაძე მფარველობდა. 1935—39 წლებში ილია მელიამ სერჟის ორთოდოქსული თეოლოგიის ინსტიტუტი დაამთავრა და სასულიერო მოღვაწეობა დაიწყო ქ. ბელფორის მაცხოვრის აღდგომის სახელზე აგებულ ტაძარში. 1943 წლის 19 აგვისტოს იგი დიაკვნად აკურთხეს და შემდგომ, 1943—45 წლებში სხვადასხვა ქალაქებში მოღვაწეობდა, ვიდრე პარიზის წმიდა ნინოს ეკლესიაში არ დამკვიდრდა, სადაც 1950 წელს დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთის საეკლესიო ადმინისტრაციის მისი მღვდლად ხელდასხმა; ამიერიდან უფრო პრაქტიკული და დაუცხრომელი ხდება დეკანოზი მამა ილიასი, რომელიც უცხოეთში გაბნეულ ქართულ სამწყსოს იკრებდა და მწყსიდა ყოველთა მწყემსის შემწეობით.

პარიზის წმ. ნინოს სახელობის ეკლესია 1947—48 წლებში გაუხსნიათ იქ მცხოვრებ ქართველ მართლ-

მადიდებლებს. თავდაპირველად ღვთისმსახურება კერძო მესაკუთრისაგან ნაქირავებ პატარა სამლოცველოში სრულდებოდა; მოგვიანებით, მამა ილიას ლოცვითა და გარჯით, მრევლის მცდელობითა და სასოებით, 1964—65 წლებში როზიერების ქუჩაზე ქართველმა მართლმადიდებლებმა შეიძინეს მრავალსართულიანი ბინის ქვედა სართული. იქ გაიხსნა წმ. ნინოს სახელობის ეკლესია, სადაც დღემდე ჭამისწირვა ქართულ ენაზე შეიწირვის და ქართული საგალობლები აღევლინება. სალოცავი გააფორმა არქიტექტორმა ალექსი კობახიძემ. წმ. ნინოს ეკლესია უცხოეთში მკვიდრ ღვთის სიტყვას მონატრებულ ქართველ მართლმადიდებელთა საყუდელია, ხოლო წინამძღვარი ხსენებული ეკლესიისა, აწ განსვენებული მალაღირსი მამა ილია გაბნეულ ცხოვართა ჭკუშმარტიად ღვთივგანჩინებული მოძღვარი იყო, რამეთუ მოყვასთა შორის ხიდად ეგო, ხოლო ღრმთისა მიმართ—მეოხად. მამა ილია სულიერად თუ მატერიალურად შეეწოდა თავის მრევლს; მის გარეშე ერთიანდებოდნენ ქართველები; მან დააწესა „ხუთშაბათობა“ დღე; ამ დღეს პარიზში მცხოვრებ ქართველთა ბავშვებისათვის დეკანოზი ილია თავის ბინაზე სასულიერო გაკვეთილებს ატარებდა. მოგვიანებით ეს დღე ქართველთა შეკრებების დღედ გადაქცეულა. მამა ილიას სულიერი შვილის და ოჯახის ახლობლის—ქალბატონ რუსუდან კალატოზი შვილის გადმოცემით ხუთშაბათი დასვენების დღე იყო და მამა ილიასთან ბავშვებთან ერთად უფროსებიც იკრიბებოდნენ. შემდგომ უკვე ფართო ხასიათი მიცემია ამ შეკრებებს და ამიტომ „ხუთშაბათობა“ მორიგეობით ქართულ ოჯახებშიც ეწეობოდა, სადაც იმართებოდა საუბრები, საღამოები და მჭიდროვდებოდა უცხოეთში გაბნეულ ქართველთა შორის კონტაქტები. ხუთშაბათობის გარდა დიდი სადღესასწაულო შეხვედრებიც დააწესა მამა ილიამ, კერძოდ: 25 დეკემბერს საშობაო წირვის მერმე შეიყრებოდნენ ქართველები და მართავენ „შობის ხეს“;

მრავალმხრივი და დაუცხრომელი იყო მამა ილიას ღვაწლი; 1951 წელს იგი რადიოთი უქალაგებს და ულო-

ცავს მრევლს ახალ წელს, აღდგომას; 1963 წელს ეკუმენური საპატრიარქოს საეგზარქოსომ მას დეკანოზობა მიუბოძა; ხოლო 1964 წლიდან ილია მეღია ორთოდოქსული თეოლოგიის ინსტიტუტში ლექციებს კითხულობს ეკლესიის ისტორიისა და თეოლოგიის ცალკეულ საკითხებზე; 1971—79 წლებში მამა ილია, როგორც მთავარი ორთოდოქსი—დელეგატი, მონაწილეობდა სემინარებში, სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში. მონაწილეობდა ათენში, მადრიდში, კანადასა და სტოკჰოლმში გამართულ ეკუმენურ შეხვედრებში. რადიო-ტელევიზიით გამოდიოდა ეკუმენიზმისა და მართლმადიდებლობის შესახებ. დეწლმოსილი მოძღვარი ოჯახის კეთილდამმართელიც იყო. მას პარიზში დარჩა მეუღლე ალლა და სამი შვილი: ილია, ნინო და ქეთევანი. თბილისში მცხოვრებ და—ძმასთან, — თათარ და ნინო მეღიებთან მუდმივი კავშირი ჰქონდა და სწორედ მათგან მივიდეთ მის შესახებ მასალები.

მძიმე იყო ჯვარი უცხოეთში მცხოვრებ ქართველთა ღვთივგანჩინებული მწყემსის, მალაღირსი მამის ილიასი, რომელიც დიდ ადამიანურ ტკივილს ეზიდებოდა — მშობლიურ მიწის მონატრებისას. ერთგვის, პარიზში მასთან სტუმრად ჩასულ დისთვის — ნინოსთვის გაუმხელია: „ჯერ დედა დამაკლდა ა შემდეგ დედა—სმშობლო“.

პარიზელი მრევლი განსვენებულის ოჯახს ატყობინებს: დეკანოზ ილიას სახით ჩვენ ჭკუშმარტიმამა დავკარგეთ და ობლად დავრჩით“.

...„ხოლო ესევეთარი ნუგეშინის—ცემაჲ გაქუნდინ, ძმანო, რამეთუ არა მიგელო თქვენ მოძღვარი თქვენი, არცა წარვიდა თქვენგან, არამედ შორის თქვენსა მღვთმარე არს, დაღაცათუ თქვენ არა ხედავთ მას“... „ესევეთარისა ამის კაცისა სიკუდილი პატისან არს წინაშე ღმრთისა. და უფროჲსდა, არცა თუ სიკუდილი არს, არამედ განხეთქაჲ საკვრველთაჲ“.

„სახსენებლად საუკუნოდ იყოს მართალი“,  
ამინ.



„რამდენი მართლმადიდებელი ბერძენისთვისაა ცნობილი საქართველოს საპატრიარქოს არსებობა? რამდენმა იცის, რომ კავკასიონის სამხრეთით, ეგვიპტის პონტოსა და კასპიის ზღვას შორის ცხოვრობს 5 მილიონი მართლმადიდებელი ხალხი, საკუთარი ენით, განსაკუთრებული საეკლესიო მსახურებითა და საგალობლებით... თავისთავადი (თვითმყოფადი), ცოცხალი მართლმადიდებლური ეთიკითა და ტრადიციებით? რომ ამ ხალხის ისტორია ისეთივე ძველია, როგორც ჩვენი და რომ ამ ქვეყნის პირველ ქრისტეან მეფეს კავშირი და მიმოწერა ჰქონდა ბიზანტიასთან, მის, იმპერატორ — კონსტანტინე დიდთან. და ბოლოს, რამდენისთვისაა ცნობილი ის ასობით გაღებული მსხვერპლი, მოწამეთა სიმრავლე და სისხლის მდინარეები მართლმადიდებლური რწმენის დასამკვიდრებლად და დასაცავად რომ იქნა გაღებული ამ შორეულ ქვეყანაში, რომელიც მუდამ სულის შეხუთვამდე გარშემორტყმული იყო სხვა რელიგიის ხალხებით — მონღოლებით, თათრებით, სპარსელებით, თურქებით?“


აი, ამ კითხვებით მიმართავს „საქართველოს წმიდანების“ ბერძნულ ენაზე მთარგმნელი, ათონის მთის პარაკლიტონის მონასტრის არქიმანდრიტი ტიმოთე ბერძენი მორწმუნეებს წიგნის შესავალში. როგორც თვით მთარგმნელი გვამცნობს, ქართველი წმიდანების ცხოვრების თარგმნას ახალ ბერძნულ ენაზე მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს — პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით შესდგომა. მთარგმნელს რამდენიმე ტომად ჰქონია განზრახული ამ ცხოვრებათა გამოცემა. ჩვენს ხელთ არსებულ პირველ ტომში შეუტანია ცხოვრებანი: წმიდისა მოციქულთა-სწორისა ნინოსი, წმიდისა შუშანიკისა, წმიდისა იოანე ზედაზნელისა და წმიდისა დიდმოწამისა ქეთევან დედოფლისა.

წიგნს დართული აქვს შესავალი, რომელშიც განმარტებულია მისი გამოცემის მიზანი და დასახულია სამომავლო ამოცანები. წარმოდგენილია საქართველოს ეკლესიისა და საქართველოს ისტორიის მოკლე ექსკურსი, რომელშიც გაშუქებულია უმნიშვნელოვანესი ეტაპები და მოვლენები ქართველი ერის ცხოვრებიდან.

წიგნი შესანიშნავადაა გაფორმებული და ილუსტრირებული; მოტანილია ნიმუშები ცნობილი ხატების, ფრესკების, ჩუქურთმის, წარწერის. დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ფრესკული გამოსახულებების... ჩართულია საქართველოს რუკა და ქართული ანბანი.

გულდასაწყვეტი მხოლოდ ის არის, რომ ზოგჯერ საკუთარი სახელები და ტოპონიმები რუსული ფორმით არის გადატანილი. ასე მაგ. წმიდა ნინა, დირსი იოანე ზედაზნისკი, და სხვა.

ამ მხრივ სრულიად გამართული და უშეცდომოა „შუ-



# ΑΓΙΟΙ ΤΗΣ ΓΕΩΡΓΙΑΣ

1

ΕΚΔΟΣΕΙΣ Ι. ΜΟΝΗΣ ΠΑΡΑΚΛΗΤΟΥ

შანიკის წამების“ მეორე თარგმანი, რომელიც ნიკოპოლის მიტროპოლიტს მელეტიოსს კეთენის. მთარგმნელს პარაგრაფებად დაუყვია ტექსტი, რათა უფრო გასაგები და ხელმისაწვდომი გაეხადა მკითხველისათვის; ასე მაგ: 1. წმიდა შუშანიკი, 2. მისი მეუღლე სარწმუნოებას უარყოფს, 3. შუშანიკის წინააღმდეგობა, 4. ვარსკენისა და შუშანიკის დაპირისპირება, 5. ვარსკენის მრისხანებს, შუშანიკი ურყევად დგას, 6. მოწამეობის დასაწყისი, 7. საპყრობილეში, 8. ახალი მოწამეობა, 9. ხალხის თანაგრძნობა, ვარსკენის უგულობა. 10. დაე მოკვდეს!, 11. ხალხის რწმენა წმიდანის მიმართ. 12. მინდობა მთელი


გულით, 13. წმიდანს მოსწონს სატანჯველი, 14. ასკეტური ცხოვრება საპყრობილეში, 15. ჯოჯიკის მონანიება, 16. წმიდანის უკანასკნელი ნება, 17. გარდაცვალება, 18. არ დაგვაფიწყდეს.

ამ წიგნსაც ერთვის პატარა შესავალი, რომელშიც მესხეთე საუკუნის ქართლის ისტორიული ვითარებაა გაშუქებული და ყურადღება „შუშანიკის წამების“ მნიშვნელობასა და სიდიადეზეა გამახვილებული. ტექსტს ერთვის სქოლიოები. მთარგმნელს ყოველ შესაძლო შემთხვევაში მოჰყავს შესაბამისი ადგილები წმიდა წერილიდან და, აგრეთვე, პარალელები ბერძენ და სხვა ქრის-

ტიან წმიდანთა ცხოვრებიდან. ჩვენი ყურადღება მიიპყრო ასეთმა შენიშვნამ: „ტრადიცია იმისა, რომ მიცვალებულთ ფსალმუნს ვუკითხავდეთ, როგორც ჩანს, ძალზე ძველია. დიდის სიმკაცრით დავიცვათ იგი და თუკი სადმე ასეთი ტრადიცია არ არსებობს, ისწავლონ და ამიერიდან დაამკვიდრონ“.

მადლობის მეტი რა გვეთქმის მთარგმნელთა მიმართ. წარმატებები ვუსურვოთ ამ შესანიშნავ წამოწყებას.

**თამარ მუსხი.**



— მიონი მხურვალე, და ზღუდე უბრძოლველ, წყარო მთქალეხი-საო, და შესავლერეხელო ყოვლისა სო-ვლისაო, კედრები ვკხმოვთ შენდა მომართ, მთავალ მწიფნ ჩვენ, დედუ-ვალე ღვთისმშობალე, და გვიხსნან ჩვენ ჭირთაგან, მხოლოე კურთხეუ-ლო, და მოწრაფე იქმენ კედრეხად, და განმზაღებულ მეოხეხად, და ღმო-ბირ ხელის აღმკრ(ო)ბელ, რომელი ევე მარადის იღვწი აბივისმცემელ-თა შენთათვის, ღვთისმშობალე.

# ს ა მ კ ლ მ ს ი ო ც ხ ო მ რ მ ბ ა

19 მარტს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა რუსთაველის საზოგადოების დამფუძნებელი სხდომა, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. მას თან ახლდნენ მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორი, წილკნელ-ურბნელი ეპისკოპოსი ზოსიმე და სიონის ტაძრის პროტოპრესვიტერი გურამ შალამურიძე. მკითხველს ვთავაზობთ მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, ილია II-ის სიტყვას, რომელიც მან კონფერენციაზე წარმოთქვა.



## კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის სიტყვა

ჩვენ, მართლმადიდებელ ქრისტიანებს, გვიწოდებენ დიოფიზიტებს, ე. ი. ქრისტიანებს, რომელნიც ვადიარებთ იესო ქრისტეს ორბუნებოვნებას — ღვთაებრივსა და ადამიანურს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ თვითონ ადამიანიც ორბუნებოვანია, ადამიანშიც არის ორი საწყისი — სულიერი და მატერიალური; და როცა ვლაპარაკობთ პიროვნების თუ ხალხის სულიერ განვითარებაზე, უნდა გვწამდეს კიდევ სულის არსებობა. ვფიქრობ, რუსთაველის საზოგადოების დაარსება ხელს შეუწყობს მთელი ჩვენი ერის სულიერ და კულტურულ განვითარებას.

რაც შეეხება ეკლესიას, კარგად მოგეხსენებათ, რომ ყოველი ქართველი მოძღვარი, სასულიერო პირი — იყო მწიგნობარი, განათლებული ადამიანი. ამას ჩვენ ჯაღწევდით იმიტომ, რომ მაღალ დონეზე იდგა სამონასტრო ცხოვრება. მონასტრები წარმოადგენდა არა მარტო სულიერი და ასკეტური მოღვაწეობის საგანებს, არამედ დიდ მეცნიერულ და კულტურულ ცენტრებს. ისიც, კარგად იცით, თუ წარსულში რა ტრადიციები არსებობდა საქართველოში სასულიერო განათლებისა.

დიდი სიხარულით გაცნობებთ, რომ წელს ჩვენთან გაიხსნება სასულიერო აკადემია, რომელიც ხელს შეუწყობს სასულიერო პირთა ცოდნის დონის ამაღლებას. ეს ფრიად საჭიროა. ჩვენი ეკლესია ხომ ავტოკეფალური, დამოუკიდებელი ეკლესიაა, ფართო კონტაქტები გვაქვს სხვა ქვეყნის საპატრიარქოებთან და რელიგიურ ცენტრებთან, ამიტომაც მრავალმხრივი განათლება ყოველად აუცილებელია.

ყველამ ვიცით, რომ შოთა რუსთაველი დაკავშირებული იყო ჯვრის მონასტერთან. ამ მონასტრის დაბრუნების საკითხი უკვე დასმულია. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა მოვახსენო ჩვენი რესპუბლიკის ხელისუფლებას, ამ საშვილიშვილო საქმეში მხარდაჭერისთვის. მართალია, ჯვრის მონასტერი იერუსალიმის ეკლესიის ხელშია, მაგრამ საკითხის დადები-

თად გადაწყვეტისათვის აუცილებელია დიპლომატიური არხების გამოყენებაც. აუცილებელია ჩვენი ხელისუფლების ჩარევა და ჩვენ ერთხელ კიდევ კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ ეს ხორციელდება. ვფიქრობთ, რუსთაველის საზოგადოებაც ეცდება თავისი წვლილი შეიტანოს ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტაში.

ესეც უნდა ითქვას: საერთოდ, ძველ კულტურულ ქვეყნებს, ერებსა და ხალხებს ახასიათებთ წარსულით სიამაყე. ჩვენც გვახასიათებს ეს; ძალიან ხშირად ვლაპარაკობთ, თუ რა გააკეთეს ჩვენმა წინაპრებმა და ეს გვახარებს. ეს გრძნობა სამართლიანია, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვიფიქროთ იმაზე, დღეს რას ვაკეთებთ, ან ჩვენი მომავალი თაობა რას გააკეთებს; რა შეიძლება უცხოეთში გავიტანოთ და რა შემოვიტანოთ.

დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურის გაცნობას უცხოელებისათვის. ყველამ უნდა იცოდეს, ვინ ვართ, რა წვლილი შევიტანეთ მსოფლიო საგანძურში. ამ მხრივ ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ უცხოელ ქართველოლოგებს. მათთან ურთიერთობა კი მოსაგვარებელია. იგი რაღაც თვითდინებას არის მიცემული. ამას აღნიშნავს ყველა ის ქართველოლოგი, ვისთანაც მისაუბრია. ისინი გამოთქვამენ გულისტკივილს, რომ მათი მუშაობა არ არის კოორდინირებული. ძალიან ხშირია შემთხვევა, როცა ორი მეცნიერი მუშაობს ერთსა და იმავე თემაზე და მათ კი ეს არ იციათ. ამიტომ, ვფიქრობთ, ჩვენს მეცნიერებათა აკადემიასთან, ან უნივერსიტეტთან უნდა შეიქმნას ცენტრი, რომელიც გაუწევს კონსულტაციას სახელმწიფოებრივ მცხოვრებ ქართული კულტურის საკითხებით დაინტერესებულ პირებს, მისცემს საჭირო თემებს დასამუშავებლად და დაინტერესებს მათ ჩვენთვის მნიშვნელოვანი საკითხებით. ეს აუცილებელია, როგორც საერთო საქმისათვის, ისე ეროვნული თვალსაზრისით.

ბოლოს, მინდა, დავლოცო რუსთაველის საზოგადოება, დავლოცო სრულიად საქართველო.

## ტ ა ძ რ ე ბ ი ს ა ხ ა ლ ი ს ი ც ო ც ხ ლ ე

ღვთის განგებითა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ლოცვა—კურთხევით, 1987 წლის ოქტომბრის თვეში ამოქმედდა და ახალი სიცოცხლე დაიწყო ქალაქ გორის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიამ, რითაც აღსრულდა გორის რაიონის მორწმუნეთა დიდი ხნის ოცნება. რამდენიმე ათეული წლის წინ გაუქმებული ტაძარი წლების განმავლობაში სამეურნეო დანიშნულებით გამოიყენებოდა, რამაც მას საეკლესიო ნაგებობის სახე დაუკარგა. გახსნამდე საჭირო იყო მისი შეკეთება და თავდაპირვანდელი სახის დაბრუნება. ქალაქის მორწმუნეთა საზოგადოებამ თავის უპირველეს მიზნად სწორედ ტაძრის კეთილმოწყობა დაიხასა, რათა უმოკლეს ვადაში შესაძლებელი გამხდარიყო მასში ღვთისმსახურების ჩატარება და ეკლესიური ცხოვრება. მღვდელმთავრის ლოცვა—კურთხევითა და ტაძრის სამღვდელოების თანადგომით მორწმუნეებმა შეძლეს ტაძრის სახურავის გამოცვლა, შიდა ტიხარების მოშლა და კედლების შეღებვა. ეკლესიის ეზო მთლიანად გაიწმინდა. შეძენილი იქნა საჭირო საეკლესიო ინვენტარიც. ტაძრის წინამძღვრის ელისე ჯოხაძის დიდი მონდომებით ახალი ქვის კანკელიც გაიმართა, რომელმაც ტაძარს მეტი სილამაზე მისცა.

მორწმუნენი მოუთმენლად ელოდნენ მაცხოვრის შობის დღესასწაულს, როცა უნდა მომხდარიყო ტაძრის კურთხევა. მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის ლოცვა—კურთხევით ამ მნიშვნელოვანი მისიის აღსასრულებლად გორში სამღვდელოებითურთ ჩაბრძანდა წილკენელ—ურბნელი ეპისკოპოსი ზოსიმე, რომელსაც გორის მრევლი სიხარულით შეხვდა. შეხვედრისა და სამწყსოს დალოცვის შემდეგ შესრულდა ეკლესიის კურთხევა, ჩატარდა პირველი წირვა, რომლის დასასრულსაც ეპისკოპოსმა ზოსიმემ ტაძარში შეკრებილთ სიტყვით მიმართა.



გორი. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის ტაძარი. წირვის შემდეგ.



## პიხარებლი და პიშვებლი აბას შინა...

ქრისტეს მიერ საყვარელნი! კვლავ დაგვიდგა დღე ბედნიერი და სანუკვარი. კვლავ ჩამორეკეს ბეთლემს ზეციური ზარები, — და ისევ გაისმა სასიხარულო საგალობელი წმიდა ანგელოზთა. „დიდება მადალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნობა“. აღმოსავლეთის ცაზე ისევ გამოჩნდა კაშაშა ვარსკვლავი უზენაესი მეუფის ქვეყნად მობრძანების მუწყებელი. უცხო შიშა და განკვირვებას მოუცავს ველად ანგელოზების მხილველნი მწყემსნი. დღეს კვლავ ბეთლემის გამოქვაბულისკენა მიპრობილი ყურადღება მთელი სამყაროსი. ანგელოზნი არ შორდებიან ბაგას. უბრალო მწყემსნიც მასთან მისულან. ზეცის უსხეულო არსებანი, ასე იშვილად რომ ეცხადებოდნენ ადამიანთ, ეხლა ბეთლემის პატარა გამოქვაბულს შესტრფიან და შეჰხარებენ. ზეციური სიხარული მწყემსთაც გადასდებიან და იმათაც, ამ სიხარულით გამთბარნი, საკუთარი საზრუნავი დაიწყებიათ და ბეთლემის გამოქვაბული-სათვის მიუშურებიათ.

ჰოი საკვირველებ! დიდი! ბეთლემის ერთ პატარა ბაგას ცა და დედამიწა გაუერთიანებია. როგორ შეძლო უბრალო გამოქვაბულმა საქმე განსაცვიფრებელი და საკვირველი? როგორ მიიზიდა მან ერთიანად მკვიდრნი ცისა და ქვეყანისანი? იქნებ უხვი ქვეყნიური საგანძური დაიტია მან თავის წილში? მაგრამ მარტო სიკეთე ქვეყნიური ვერ გახდებოდა საბაბი ზეციურ ანგელოზთა სიხარულის: ქვეყნიურ საგანძურს შეეძლო მიეზიდა მარტო ქვეყნის მკვიდრნი. მაშ, რით მიიპყრო მან ესოდენი ყურადღება? იქნებ ჯობდეს იუდეველ მწყემსებთან ერთად ჩვენც შევიდეთ გამოქვაბულში, გავხედეთ თანაზიარნი იდუმალი, კაცთათვის ჯერ განუცდელი სიხარულისა?

შევადით, საყვარელნი, ბეთლემის ბაგის კარი. იქ ჩეულებრივ დამის სიბნელეს მოუცავს ირგვლივ ყველაფერი. თუმცა, საიდანღაც რაღაც ნათელი მაინც გამოკრთის. ნათელთან ახლოს მოჩანს საკვირველი ქალწული და იქვე მოხუცი კაცი. მათ ზეადამიანური სიხარულით გაბრწყინებული სახეები. რაღაც ძვირფასს მისჩერებიათ მათი თვალები. ბაგის სიბნელეში ჭირს რაიმეს გარჩევა, მაგრამ ისევ უხილავი ნათელი გვეხმარება და ვარჩევთ სახეებში შეხვეულ მანათობელ ჩვილს. ჰოი საკვირველებავ; ჩვრებიდან იმზირება თვით უფალი ღმერთი, ქვეყნად განხორციელებული.

ენით აუწერელ სითბოს და სიმშვიდეს აფრქვევს ირგვლივ... გეუფლება სურვილი, — მოიდრიკო მუხლი და სცე თაყვანი. ასეც მოიქცნენ მწყემსნი და შემდეგ აღმოსავლეთიდან მოსულნი მოგვნიც, რომელთაც ყრმას მეფეთა შესაწირი: ოქრო, გუნდრუკი და მური მიათრევს.

განკვირვებასა და სიხარულს მოუცავს ძმანი ჩვენი გულბიცი. იუდეველ მწყემსებთან ერთად ქვეყნად შობილ უფალს ჩვენც გვინდა ვცეთ თაყვანი, მოგვების მსგავსად, ჩვენც მივართვათ მას ძღვენი საკადრისი — ჩვენი გულების სითბო და სიყვარული. წარმართი მოგვებისათვის ოქრო იყო ძვირფასი შესაწირი. მათთვის ჯერ კიდევ უცხო იყო ის საგანძური, ადამიანებს ქრისტეს მობრძანებით რომ მიენიჭათ. ჩვენთვის კი, უფალო, სიყვარულია ყველაზე ძვირფასი. შენ თვითონა ხარ სიკეთეცა და სიყვარულიც. შენ ხომ იმიტომ ინებე გარდმოსვლა ქვეყნად, რომ კაცთათვის მშვიდობა და სიხარული მოგეტანა. შენით მოგვენიჭა მაცხოვარო, ადამიანებს სიკეთე ჭეშმარიტი. ამიტომაც ვხარობთ შენი ქვეყნიური შობით და მოგმართავთ წინასწარმეტყველ დავითის სიტყვებით: „ვინ არს ღმერთი დიდი, ვითარ ღმერთი ჩვენი, შენ ხარ ღმერთი, რომელმან ჰყავ საკვირველი.“ (ფს. 76,12).

განსაკუთრებით ძვირფასია, საყვარელნი, დღევანდელი შობის დღესასწაული ჩვენთვის, — გორის რაიონის მორწმუნეთათვის. დღეს ხელახლა იშვება ყოველად წმიდა ღვთისმშობლის შობის ტაძარი, დღეს ახალ სიცოცხლეს იწყებს ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ქართლის გულში. ბაგაში შობილმა დღეს აღმოგვიბრწყინა განსაკუთრებული ნათელი. დიდ სიხარულს მოუცავს ჩვენი გულები. ამაზე მეტყველებს სიხარულის ცრემლები, ყოველ ჩვენგანს რომ აქვს თვალებზე მომდგარი. ეს მადლობის გამოხატულებაა ყოველად წმიდა ღვთისმშობლისა და მისგან შობილისადმი, მათდამი რომელთაც ისმინეს მრავალრიცხოვან მორწმუნეთა სათხოვარი და ინებეს ქრისტიანული ტაძრის ამოქმედება მდიდარი ეკლესიური ტრადიციების მქონე ქალაქში. ვმადლობთ უფალს ჩვენზე გაღებული დიდი წყალობისათვის. მადლობას მოვახსენებთ საერო ხელისუფალთ, რომელნიც გაისარჯნენ ამ ღიდებულ საქმისათვის და დააკმაყოფილეს მორწმუნეთა სურვილი.

ბოლოს მინდა გადმოგცეთ ლოცვა—კურთხევა და კეთილი სურვილები მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს—პატრიარქ ილია II-ისა. მისი მწყემსმთავრული ლოცვა გეწოდეთ თქვენს ცხოვრებაში. ყოველად წმიდა ღვთისმშობელი იყოს თქვენი და სრულიად საქართველოს მფარველი.

ა მ ი ნ!

**წილენელ-ურბნელი ეპისკოპოსი ზოსიმე (შოთაშვილი)**

გორი



## არღვიწყმა მობლიურ მხარის




ცხრაწაროს უღელტეხილს იქით, საიდანაც იწყება ჯავახეთის ზეგანი, მთების უბეში შეყუჟულა პატარა, მაღალმთიანი სოფელი — ბალანთა. ამ სოფლის მკვიდრთა წინაპრები 1830—35 წლებში სამცხე—ჯავახეთის თურქეთის მოსახლვრე სოფლებიდან აყრილან და მაღალი მთების ძირში, ძველი ბალანთის ნასოფლარზე დასახლებულან.

სოფელს ზემოდან დაჰყურებს პატარა გორა; აქ ძველ ნაკლესიარზე სასწრაფოდ ახალი პატარა ეკლესია აუშენებიათ. ეკლესია წმ. გიორგის სახელობისაა. იქაურები „ზედა საყდარს“ ეძახიან მას. ამ გორასაც „ზედა საყდრის“ სახელით იხსენიებენ. „ზედა საყდარი“ 1928—29 წლებში ხელმეორედ გადაუკეთებიათ. სახურავი ახალი ხის მასალით გადაუხურავთ და ძველებურ ოდა—ბანურით დაუხურავთ. მაგრამ დროთა განმავლობაში საყდრის შენობა დაზიანდა. აღარავინ ზრუნავდა მისთვის. დანგრევის პირზე მისულს საშველად ამ სოფლის მკვიდრი მიტროპოლიტი კონსტანტინე (დიმიტრი მელიქიძე)

მოველინა. მისი თაოსნობითა და ღვაწლით გაბზარულ ეკლესიის გასამაგრებლად შენობას მთლიანად ცემენტის ხსნარის სარტყელი გაუკეთდა. გამოიცვალა სახურავის კოჭები და სხვა ნაწილები. მიტროპოლიტი თითონაც ფიზიკურად მუშაობდა და სოფლელებმაც მხარი აუბეს ამ კეთილ საქმეს. აწ განსვენებულმა ეკლესიის მეთვალყურემ, ნინო ზედგენიძემ მუშებს შიფერი გაუგზავნა. დამშენდა პატარა სამლოცველო. ეკლესიის შიგნით აღმოსავლეთით გაკეთდა ტრაპეზი. საკურთხევის გამოსაყოფად გაკეთდა ტიხარი—კანკელი, რაც ამავე სოფლელებმა წმიდანთა ხატებით შემოსეს. ეკლესიას გაუკეთდა იატაკი და კარ—ფანჯრები.

საგულისხმოა, რომ ამ მხარეში სხვაც რამდენიმე ეკლესიაა. სოფელს ზემოდან დაჰყურებს პატარა ბაზილიკა, ვერძის ქანდაკებებით. მის სამხრეთით შემორჩენილია ძველი ქართული სასაფლაოს ნაშთები. საფლავების ლოდებზე ქვისაგან გამოქანდაკებული ცხენ-ვერძები და აკვნები აღმართულან.



მიტროპოლიტი კონსტანტინე.

ქვემოთ, სოფლის შუაში, 1871 წ. აუშენებიათ უფრო მოზრდილი ზომის ეკლესია. ეს ეკლესია ღვთისმშობლის სახელობისაა. ეკლესიას ამშვენებს დასავლეთით, სახურავზე დადგმული პირამიდული ტიპის გუმბათი (სამრეკლო).

1917 წლიდან 1920 წლის ბოლომდე სამცხე-ჯავახეთში თურქი დამპყრობლები თარეშობდნენ. ამ მხარის მოსახლეობამ ისევ განიცადა ძარცვა-გლეჯა, შიში და სხვა უბედურებანი. დამპყრობლებს უთარეშო ბალანთაშიც. გაუძარცვავთ მოსახლეობა, გაურეკიათ აუარებელი პირუტყვი და შეურაცხუვით წმიდა ადგილები. სროლა დაუწყიათ „ქვედა საყდრის“ სამრეკლოს ჯვარისათვის; თურმე ესროდნენ მანამდე, სანამ ჯვარი არ ჩამოაგდეს. ესროდნენ ხატებს თვალბში. მიუხედავად რესტავრაციისა, კედლებს დღესაც ატყვია მათი სიაკაცის კვალი.

ეკლესიას აკლდა ყურადღება. „ზედა საყდრის“ მსგავსად „ქვედა საყდარიც“ დაზიანებული იყო. ამ ეკლესიასაც მიაქცია ყურადღება მეუფე კონსტანტინემ. გაუკეთა თუნუქის სახურავი. იატაკზე დაიგო მოზაიკა. სათანადოდ შეიღება კედლები და კანკელ—ტრაპეზი. ახლაც მიმდინარეობს მუშაობა. უნდა გაკეთდეს კაპიტალური გალავანი (ზღუდე—კედელი).

ღვთაებრივი სიყვარულით გამთბარ ადამიანზე ითქმის: „არ არის საკმარისი მარტო რწმენა; ღმერთი უნდა

ვადიდოთ სიტყვით და საქმით უშიშრად, ყველას წინაშე“. (სრულიად საქართველოს კათოლიკოს—პატრიარქი ილია II, — 1988 წ. სამოხალე ეპისტოლე).

მიტროპოლიტ კონსტანტინეს მოღვაწეობის ასპარეზი მარტო თავის სოფლისადმი ყურადღებით არ შემოიფარგლება.

განახლებულ მესხეთში საჭირო და აუცილებელია ენთოს ლამპარი რწმენისა და სამშობლოს სიყვარულისა. სწორედ, ამას ემსახურება ახალციხის და სამცხე—ჯავახეთის ეპარქია და მისი სამღვდლოება.

საგულისხმოა, რომ ბალანთაში ეკლესიების განახლებამ სიახლე შეიტანა ჩვენს მხარეში. მეზობელი სოფლებიც დაინტერესდნენ, იმათაც აღეძრათ სურვილი, იზრუნონ თავიანთი სოფლების ეკლესიებისათვის. ამჟამად კი, ამ საქმეს სათავეში უდგას ამ მხარის ეპისკოპოსი ანანია (ჯაფარიძე).

სოფელს უყვარს თავისი შეილი, სიმდაბლით მოსილი, ხალხისათვის დიდი სიხარულია მასთან ყოველი შეხვედრა. თითქოს ზარებს შემოკრესო, მაშინვე ყველა გაიგებს, მის მობრძანებას. დიდი თუ პატარა შემოეხვევა. ისიც შუაში ჩამდგარი თანასოფლელებს უხსნის და ესაუბრება ჩვენი წინაპრების გმირულ წარსულზე, რწმენასა და ურთიერთსიყვარულზე.

რ. მაღრაძე

სამამულო ომისა და შრომის ვეტერანი





## კ უ რ თ ხ ე კ ა ნ ი

### ჯილდოები

6 მარტს იეროდიაკონი იობი აქიაშვილი სიონის საპატრიარქო ტაძარში ეკურთხა მღვდლად. ხელდასხმის საიდუმლო შეასრულა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ.

20 მარტს იეროდიაკონი დამიანე თოღაძე მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში ეკურთხა მღვდლად. მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის ლოცვა-კურთხევით, ხელდასხმა შეასრულა წილკნელ-ურბნელმა ეპისკოპოსმა ზოსიმემ.

2 აპრილს, ლაზარობას, სიონის ტაძრის მგალობელი ამირან ამირანაშვილი ეკურთხა დიაკვნად. ხელდასხმა შეასრულა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ.


3 აპრილს, ბზობას, სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში დიაკვნად ეკურთხა მცხეთის სასულიერო სემინარიის მესამე კურსის სტუდენტი ბერი აბრამ გარ-

მელია. მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის ლოცვა-კურთხევით, ხელდასხმა შეასრულა წილკნელ-ურბნელმა ეპისკოპოსმა ზოსიმემ.

7 აპრილს, ხარება დღეს, საქართველოს ეკლესიაში თავდადებული სამსახურისათვის გორის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის ტაძრის წინამძღვარი მღვდელი ელისე ჯოხაძე აღყვანილ იქნა დეკანოზის ხარისხში.


7 აპრილს, ხარება დღეს, საქართველოს ეკლესიაში თავდადებული სამსახურისათვის გორის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის ტაძრის მღვდელი მალხაზ კუმელაშვილი დაჯილდოვდა მოქიროვილი ჯვრის ტარების უფლებით.

24 აპრილს სიონის საპატრიარქო ტაძარში მღვდლად ეკურთხა დიაკონი გიორგი გამრეკელი. ხელდასხმის საიდუმლო შეასრულა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II.



მცხეთა. სამთავრო. მცირე ტაძრის ახალი კანკელი.

1 იენისს, — წმიდა ნინო ქართველთ განმანათლებლის საქართველოში შემოსვლის დღესასწაულზე, მთავარანგელოზ გაბრიელის სახელობის სამთავროს ტაძარში საზეიმოდ ეკურთხა ახალი ქვის კანკელი, რომელიც კარგად შეერწყა ძველი ტაძრის არქიტექტურას. კანკელის კურთხევა შეასრულა მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორმა, წილკნელ—ურბნელმა ეპისკოპოსმა ზოსიმემ.



## ს ტ უ მ რ ე ბ ი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-ემ თავის რეზიდენციაში მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების სენატორი უილიამ ბრედლი, რომელიც საბჭოთა კავშირში სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის მოწვევით იმყოფებოდა.

მიღებას ესწრებოდა რელიგიების საქმეთა საბჭოს რწმუნებული საქართველოს სს რესპუბლიკაში, ანხორ წიკლაური.

მკითხველს ვთავაზობთ სენატორ ბრედლისა და კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ეს შორის გამართული საუბრის შინაარსს:

**კათოლიკოს-პატრიარქი ილია II** — მობარული ვარ თქვენი სტუმრობისა. სასიამოვნოა, რომ გაქვთ საშუალება გაეცნოთ ჩვენს ხალხს, ეკლესიას. (მისმა უწმიდესობამ სტუმარს მოკლედ გააცნო საქართველოს ეკლესიის ისტორია, მისი დღევანდელი მდგომარეობა. რედ.).

ჩვენი ეკლესია წყვრილია ისეთი საერთაშორისო ეკუმენური ორგანიზაციებისა, როგორებიცაა: ეკლესიათა მსოფლიო საბჭო, ევროპის ეკლესიათა კონფერენცია და ქრისტიანული სამშვიდობო კონფერენცია. ძალიან კარგი დამოკიდებულება გვაქვს ამერიკის ეკლესიებთანაც. კარგად ვიცნობ ამერიკის შეერთებული შტატების ქრისტეს ეკლესიათა ეროვნულ საბჭოს თავჯდომარეს ბატონ არი ბრაუერს. სამჯერ გახლდით ამერიკაში. ვყოფილვარ ქრისტიანების ოჯახებშიც, გავსაუბრებდევარ თქვენს ხალხს; დრმა პატივისცემით ვარ გამსჭვალული მათდაში.

ქართული ეკლესია ტრადიციული ეკლესიაა. ის კულტურა, რომელიც ჩვენიან აღმოცენდა, ძირითადად ქრისტიანობაზეა დაფუძნებული. ისტორიას თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ჩვენი წინაპრები მუდამ ბრძოლაში იყვნენ. ჩვენ მუდამ ვიცავდით მამულს, რწმენას, დედაენას. ამ ბრძოლაში ქართველი ერი და ეკლესია მუდამ ერთად იყვნენ. ჩვენი ეკლესია დიდ ყურადღებას აქცევს მშვიდობის დაცვის საქმეს. დღეს ისეთ დროს ვცხოვრობთ, როცა ეკლესიას არა აქვს უფლება მხოლოდ სულიერი საკითხების გადაწყვეტით დაკმაყოფილდეს. ჩვენ უნდა ვეცადოთ გადავწყვიტოთ ის პრობლემები, რომელიც აწუხებს კაცობრიობას. ამიტომ დიდ ყურადღებას ვაქცევთ მშვიდობის დაცვის საქმეს. ჩვენი წარმომადგენლები ღებულბენ მონაწილეობას ყველა იმ საერთაშორისო ფორუმებში, სადაც ამ საკითხს იხილავენ. ვაშინგტონში, უმაღლესი დონის მოლაპარაკების დროს, იყვნენ საბჭოთა კავშირის ეკლესიების წარმომადგენლებიც, რომელთა შორის გახლდათ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დავითი. პირადად მე გავაგზავნე დეპუტა და დავლოცე ბატონი გორბაჩოვი და ბატონი რეიგანი. ვფიქრობ, ის, რაც ამ შეხვედრის დროს გაკეთდა, ძალიან ბევრს ნიშნავს. მინდა დავლოცოთ თქვენ, დავლოცო ჩვენი ქვეყნები და ადამიანები. ჩვენი ქვეყნები ძირითა-

დად ქრისტიანული ქვეყნებია. ჩვენ უნდა ვიყოთ ერთად. II მსოფლიო ომის დროს ჩვენ ხომ გამოვხახეთ საერთო ენა. არანაკლები საშიშროება ემუქრება კაცობრიობას დღეს. ამიტომ ამჟამადაც, ერთად უნდა ვითანამშრომლოთ. ღმერთმა გაგიმარჯვოთ, გისურვებთ დიდ წარმატებებს თქვენს საქმიანობაში. ღმერთმა დალოცოს თქვენი ოჯახი და ჩვენი ქვეყნები.

**სენატორი უილიამ ბრედლი** — მაღლობას გიხდით მიღებისათვის, აგრეთვე იმისთვის, რომ მოგვეცით საშუალება, დავსწრებოდით წირვას. თუ ნებას მომცემთ, მსურს რამდენიმე კითხვით მოგმართოთ...

**კათოლიკოს-პატრიარქი ილია II** — ბრძანეთ...

**სენატორი უ. ბრედლი** — როცა სამშობლოში დაებრუნდებით, ხალხი მკითხავს ჩვენი შეხვედრის შესახებ. მე ნიუ-ჯერსის შტატიდან ვარ. ნიუ-ჯერსი მეტად მრავალფეროვანია. როგორ ხდება საქართველოში, დღეს ქრისტეს განდიდება?

**კათოლიკოს-პატრიარქი ილია II** — ქართული ეკლესია მართლმადიდებელია. ჩვენი უპირველესი მოვალეობაა ქრისტიანობის ქადაგება ეკლესიებში. მცხეთაში არის სასულიერო სემინარია. წელს ვხსნი თ სასულიერო აკადემიასაც. გვაქვს საეკლესიო გამომცემლობა. ახალ, თანამედროვე ქართულ ენაზე ვამზადებთ ბიბლიის გამოცემას, რომლის ტექსტზე მუშაობდნენ, როგორც ეკლესიის წარმომადგენლები, ისევე საერო პირნი, მეცნიერები. აი, ძირითადად, ასეთი საქმიანობა მიმდინარეობს.

**სენატორი უ. ბრედლი** — თქვენ გჯერათ, რომ მორწმუნეთა რიცხვი იზრდება?

**კათოლიკოს-პატრიარქი ილია II** — დიახ. ვფიქრობ, ეს ასეა. მორწმუნეთა რიცხვი იზრდება. ჩვენ ვცხოვრობთ, ისეთ დროს, როცა ხალხს აღარ აკმაყოფილებს მხოლოდ მატერიალური კეთილდღეობა. რამდენიმე ათეული წლის მანძილზე ადამიანი სულიერ კმაყოფილებას მატერიალურ სიკეთეში ეძებდა. რაც უფრო მეტი დავგროვდა ეს მატერიალური სიკეთე, მით უფრო მეტად ვიგრძენით სულიერი სიცარიელე. დაიწყო ძიება. ეს პროცესი ხშირად მძიმე და მტკივნეულია. ეს კარ-

გად ჩანს ახალგაზრდების მაგალითებზე, რომლებიც ამ ძეგნაში ხშირად მიმართავენ აღმოსავლურ რელიგიებს, მაგრამ ამითაც არ კმაყოფილებიან. ეს არის მოსამხადებელი პერიოდი ქრისტიანთან შესახვედრად. ვფიქრობ, ეს საერთო მოვლენაა. მე კმაყოფილი ვარ, რომ გვყავს მოაზროვნე ახალგაზრდობა. ეს დიდი იმედია.

**სენატორი უ. ბრედლი** — როგორ ფიქრობთ, ახლო მომავალში ჩამოვა თუ არა საქართველოში რომის პაპი?

**კათოლიკოს — პატრიარქი ილია II** — 1980 წელს მე შეეხვდი რომის პაპ იოანე პავლე II-ს ვატიკანში. ეს იყო ისტორიული შეხვედრა. საქართველოს ეკლესიასა და რომის ეკლესიას შორის ურთიერთობის ისტორია 1 საუკუნიდან იწყება. შუა საუკუნეებში ჩვენთან მრავლად იყვნენ კათოლიკე მისიონერები. მიუხედავად ამისა, ჩვენი შეხვედრა იყო პირველი შეხვედრა. ჩამოვა თუ არა უახლოეს ხანში რომის პაპი საქართველოში, ვერ გეტყვით, არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ასეთი ვიზიტი არ იგეგმება. მაგრამ ისეთ დროს ვცხოვრობთ, როდესაც ყველაფერი სწრაფად ცვალებადობს. ყველაფერი შესაძლებელია. საერთოდ, მიმოწერა გვაქვს; გვიხდება დელეგაციების გაცვლა და სხვა. თქვენ რომელ ეკლესიას ეკუთვნით?

**სენატორი უ. ბრედლი** — პროტესტანტულს.

**კათოლიკოს — პატრიარქი ილია II** — პროტესტანტული ეკლესია, ალბათ, ყველაზე ძლიერია ამერიკის შეერთებულ შტატებში?

**სენატორი უ. ბრედლი** — დიახ. ბევრი დენომინაციაა. მაინტერესებს, საქართველოს მოსახლეობის ზოგიერთ ნაწილში არსებობს თუ არა დაინტერესება ისლამით?

**კათოლიკოს — პატრიარქი ილია II** — საქართველოში ისლამი არსებობს, მაგრამ ძლიერი არაა. ისლამს ძირითადად აღიარებენ აზერბაიჯანში. თუმცა, თურქეთის მოსახლეობა ქართულ მხარეში აჭარაში, რომელიც შექვიდმეტე—მეთვრამეტე საუკუნემდე მთლიანად ქრისტიანული იყო. თურქთა ბატონობის ხანაში ფეხი მოიკიდა მუსულმანობამ, რომელიც დღემდე მოსახლეობის მცირე ნაწილს შემორჩა. მუსულმანური მეჩეთი არსებობს თბილისში და ბათუმში. ასე რომ, მათაც აქვთ საშუალება შეასრულონ თავიანთი წესები და დაიკმაყოფილონ რელიგიური მოთხოვნები.

საქართველო მრავალეროვანი, რესპუბლიკაა.

ისტორიულად ყველასთან კარგი ურთიერთობა გვაქვს, განსაკუთრებით ებრაელებთან. რამდენიმე თვის წინათ იერუსალიმის პატრიარქის მოწვევით გახლდით ისრაელში. ძალიან თბილი შეხვედრები გვქონდა იქ ქართველ ებრაელებთან. მათგან ძალიან ბევრი მოვიდა აეროპორტში ჩემს გასაცემლებლად.

ადგილობრივი რელიგიის სამინისტროს წარმომადგენლები ამბობდნენ, ბევრი ქრისტიანი პატრიარქი მიგვიღია და ვაგვიცილებია, მაგრამ არასოდეს გვინახავს, რომ ებრაელებს, რომელიმე მათგანი გაეცილებინოთ. ებრაელები კი ამბობენ, საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც არ ყოფილა ანტისემიტიზმიო. ეს მართლაც ასეა. ისინი ჩვენთან 2600 წელია ცხოვრობენ.

**სენატორი უ. ბრედლი** — რამდენი მრევლი გვაკვთ?


**კათოლიკოს — პატრიარქი ილია II** — საქართველოში მოსახლეობა 5 მილიონზე მეტია. საერთოდ, საბჭოთა კავშირში არ არსებობს სტატისტიკური მონაცემები მორწმუნეთა რაოდენობის შესახებ. ე. ი. არ მიმდინარეობს მათი აღრიცხვა. ისე, ვფიქრობ, რომ ცოტა არაა.

**სენატორი უ. ბრედლი** — რაღაც ერთის ნება რომ გქონდეთ, რას უსურვებდით ამერიკელ ხალხს?

**კათოლიკოს — პატრიარქი ილია II** — ქართველ კაცს ოდითგანვე ახასიათებდა სწრაფა რწმენისა და ცოდნისაკენ. ეს განსაკუთრებით ძლიერ მონასტრებში იყო გამოხატული, სადაც სულიერ კულტურასთან ერთად, დიდი საქმენიერო კერებიც ჰყვავოდა. რწმენისა და ცოდნის ურთიერთობის პრობლემა უძველესი პრობლემაა. ჯერ კიდევ კლიმენტი ალექსანდრიელი წერდა იმის შესახებ, თუ რა არის პირველი, რწმენა თუ ცოდნა? და ამბობს, რომ რწმენაა პირველი. რომ მორწმუნე ცოდნის გარეშე ღვთის მონაა, ხოლო განათლებული მორწმუნე მეგობარია ღვთისა. ინტერესი რწმენისა და ცოდნისადმი დღესაც იგრძნობა ჩვენთან. დღეს ამბობენ, რომ კაცობრიობამ მეცნიერებასა და ტექნიკაში წინგადადგმული ნაბიჯით წარმოქმნა საშიშროება. ეს არ არის სწორი. უბრალოდ, მოხდა ხალხის ცალმხრივი განვითარება. ადამიანის სულიერი განვითარება ჩამორჩა მატერიალურს და ამ მეცნიერულ პროგრესს ადამიანი მოუშადადებელი შეხვდა. უნდა ვიდევანოთ და ვიზრუნოთ იმისათვის, რომ ადამიანის მეცნიერულ—ინტელექტუალური და სულიერი განვითარება ერთ სიმაღლეზე დადგეს. მხოლოდ ამ შემთხვევაში მივიღებთ კეთილ ნაყოფს. აი ამას ვუსურვებდი ამერიკელ ხალხსაც.

**სენატორი უ. ბრედლი** — მინდა მადლობა მოგახსენოთ, რომ დაგვითმეთ დრო და მიგვიღეთ.

ბოლოს მისმა უწმიდესობამ ილია II-მ აღნიშნა, რომ ეს ვიზიტი ოფიციალური ვიზიტი კი არ არის, არამედ სასულიერო ცენტრში მისვლა და ლოცვა—კურთხევის აღება. ამიტომ შევთხოვე დამერთს, — თქვა მისმა უწმიდესობამ — რომ მოგცეთ სულიერი ძალა, რომელიც ასე საჭიროა თქვენს საქმიანობაში. ჩემთვის ცნობილია ის დიდი ღვაწლი, რომელსაც ეწვევით თქვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. ღმერთი იყოს თქვენი შემწე.



## ДЖВАРИ ВАЗИСА №2

«крест из виноградной лозы»

Журнал открывается Пасхальным Посланием Католикоса—Патриарха всея Грузии Илии II.

23—24 апреля в Тбилиси Находился Государственный секретарь Соединенных Штатов Америки Дж. Шульц. 24 апреля утром господин Шульц с супругой прибыл на богослужение в Патриарший Собор Сиони, где Католикос—Патриарх всея Грузии Илия II и господин Шульц обменялись приветственными речами. Журнал знакомит читателей с этим важным визитом. Здесь же печатается письмо господина Шульца, направленное им патриарху Илие II перед отъездом из Тбилиси.

9—13 марта с. г. в Грузии находился Папа и Патриарх Александрии и всея Африки Парфениос III. В журнале публикуется информация об этом визите.

Под рубрикой «Богословие» напечатано письмо «Для молитвы».

«Проповеди... Учения...» В этой рубрике читатель знакомится с двумя проповедями епископа Зосимы — «Неделя Мытария и Фарисии», и «Возвращение блудного сына», а также с письмом протоиерея Иоанна Лукашвили «Идеал священника».

Среди существующих за рубежом грузинских обителей, как для Грузинской церкви, так и для всего грузинского народа, особое значение в прошлом имел Крестовый монастырь, где наряду с многими святынями находится фреска и предположительное место погребения великого Шота Руставели.

Прошло более века, как Крестовый монастырь перестал принадлежать Грузинскому народу. Его Святейшество Илия II при поддержке правительства республики поставил вопрос перед властями Израиля о его передаче Грузинской Церкви. В настоящее время ведутся переговоры и имеется надежда, что там вновь восстановится грузинское богослужение. В журнале печатается письмо историка В. Гургенидзе «Грузинский Крестовый монастырь в Иерусалиме», также глава из книги писателя И. Руруа «Пути—дороги дальние». Здесь же публикуются изречения грузинских деятелей и стихотворение поэта-академика Ираклия Абашидзе «Голос у стен Крестного монастыря».

В текущем году известному писателю и кино-

документалисту Резо Табукашвили исполнилось 60 лет. К нему грузинские верующие испытывают особую любовь. В его фильмах будто беспрерывно слышны голоса Святых Отцов, исходящие из глубин прошедших веков, оживляются великие деятели Грузинской церкви, разбросанные за пределами Грузии и собранные по частям иконы, книги, рукописи... В письме «Светлый путь» содержится обзор огромных заслуг Резо Табукашвили перед Грузинской церковью. Здесь же публикуется поздравление Католикоса—Патриарха Илие II по случаю юбилейной даты.

В рубрике «Труд неоценимый» печатается исследование ныне усопшего Католикоса—Патриарха всея Грузии Кириона II «Святой царь Давид Строитель».

В рубрике «Прощальное» читатель знакомится с жизнью и деятельностью скончавшегося недавно настоятеля парижской Церкви «святой Нины» Ильи Мелия.

В прошлом и текущем годах в жизни Грузинской Церкви произошли значительные перемены. По воле Божьей и благословению Пресвятой Богородицы стали действовать и обрели новую жизнь несколько церквей. Журнал дает сведения об открытии Церкви Рождения Пресвятой Богородицы в г. Гори. Публикуется также выступление епископа Зосимы в день открытия церкви.

Грузинская церковь как и всегда, приняла многих гостей, среди которых был сенатор США Уильям Бредли. Публикуем запись его беседы с Католикосом—Патриархом Илией II.

Недавно архимандрит Параклитонского монастыря на горе Афон Тимофей издал на современном греческом языке «Жизнеописание грузинских Святых». Как он сообщает, эту работу он проделал по благословению Святейшего Илие II. Переводщица греческого языка Т. Месхи в своем письме «Грузинская агиография на греческом языке» предлагает читателю обзор этой книги. автор с благодарностью отзываясь о труде переводчиков, подчеркивает профессиональный уровень и указывает на малейшие неточности.

В рубрике «Церковная жизнь» публикуются повести, информации, хроники из жизни грузинской церкви.



## „DJVARI VAZISA“ CROSS OF VINE



The journal opens with the Easter Epistle of His Holiness and Beatitude ILIA II, Catholicos-Patriarch of All Georgia. The Primate of the Georgian Church greets his flock with the Easter Feast and speaks of the mystery of death and life, of the great victory of life over death. He calls his parishioners to follow Christ, s way, leads them to love and peace; His Holiness and Beatitude underlines the importance of love, understanding and justice, wishing all of them the Divine Transfiguration. /p. 15/

April 23—24 the State Secretary of the United States of America George Shulz was staying in Tbilissi. April 24 — in the morning Mr. and Mrs Shulz attended the Service at the Sioni Patriarchal Cathedral. After the Service His Holiness and Beatitude ILIA II, Catholicos-Patriarch of All Georgia and Mr. Shuls addressed one another with speeches. The journal presents the important moments of the visit and the greeting speech delivered by His Holiness and Beatitude ILIA II. Here we can also read the letter sent by Mr. Shulz before his leaving Tbilisi. /p. 15/.

March 9—13 His Beatitude Parthenios III, Pope and Patriarch of Alexandria and All Africa was staying in Tbilisi. The journal gives the information of this visit of honour. /p. 19/

Under the heading „Theology“ we can read a letter „For Prayer“... „Preaches... Studies“. In this part of the journal readers get acquainted with two preaches by Bishop Zosima, and by Archpriest Ioanne Lukashvili. /24/.

Among the Georgian shrines abroad the most important for the Georgian Church and the nation is the Monastery of the Holy Cross, where along with other relics the fresco of our pride—Shota Rustaveli is kept, and we hope that his grave is there too... /p. 35/.

More than a century the Monastery does not belong to the Georgians... His Holiness and Beatitude ILIA II addressed the Governments of Izrael and the USSR asking them to help in returning the Monastery to Georgia. The talks are going on and with God,s help we hope that soon Georgian services will be heard in the monastery. In this connection we read in the journal: „The Georgian Monastery in Jerusalem“ by V. Gurgendze and „Among the Antiquities of Palestine“ by I. Rurua. Various viewpoints about the Monastery of the Cross“ and the verse by I. Abashidze, poet-academician, are also printed here.

This year we congratulated Rezo Tabukashvili, outstanding writer and cinematograph with his 60th birthday. He has gained special love among the Georgian believers. His films mainly concern the roots of the Georgian Church; hearing the voices of suffer of the Saint Fathers of Georgia, we get acquainted with great public-men who lived and worked in the different parts of the world. In his films we see crosses and icons, books and manuscripts kept in different shrines... In the letter „Bright sign“ Rezo Tabukashvili,s merits to the Georgian Church are observed. Here we can read congratulations from the Catholicos—Patriarch ILIA II to Rezo Tabukashvili. /p. 51/.

March 18—there was a Constituent Assembly dedicated to the problems of the Rustaveli Society in Tbilisi. His Holiness and Beatitude ILIA II, Catholicos-Patriarch of All Georgia participated in the work of the Assembly. The journal presents his speech at the Assembly.

Church-Life Since last year many important changes have been fulfilled in the life of the Georgian Church... by God,s will and the Virgin,s blessing several churches became active; the Church of the Nativity of the Holy Virgin was opened in Gori. Here we can read the speech by Bishop Zosima on this occasion. /p. 65/.

Under the heading „Farewell“ we read about the great merits and life of archpriest Ilia Melia, late Dean of St. Nino Church in Paris, France. /p. 61/.

Under the heading „Labour Will Turn into Treasure“ we can read the work „St. King David the Builder“ by late Catholicos-Patriarch Cyrion II. /p. 56/.

As Usual the Georgian Church has received many guests; among them we enjoyed the visit of Mr. William Bradley, the USA Senator. We can read about the dialogue between Senator Bradley, and the Catholicos-Patriarch of All Georgia. /p. 72/.

Archimandrite Timothy from the Monastery of Paraklitos on the Holy Mount Athos has published „Life of the Georgian Saints“ in Greek. This work was fulfilled by the blessing of His Holiness ILIA II. In the journal T. Meskhi gives a brief review of the book in her letter „The Georgian Agiography in Greek“. The author expresses gratitude to the translators and underlines their professional level, indicating insignificant inaccuracies. /p. 63/.

**შ ი ნ ა ა რ ს ი**

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II	
საადღვომო ეპისტოლე . . . . .	5
<b>ნ ა შ რ ი მ ი გ ა ნ ძ ა დ დ ა შ თ ე ბ ი ს</b>	
<b>ვაჟა-ფშაველა. წმიდა ნინო (ლექსი)</b> . . . . .	
<b>მ შ ვ ი დ ო ბ ა ე ო ვ ე ლ თ ა</b>	
ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი, ბატონი	
<b>ჯ. შულცი</b> თბილისში . . . . .	15
<b>ვიყუარებოდეთ ურთიერთას</b>	
ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპი და პატრიარქი <b>პართენიოს III</b>	
საქართველოში . . . . .	19
<b>ღვთისმეტყველება</b>	
ლოცვისათვის . . . . .	21
<b>ქადაგებანი, სწავლანი</b>	
<b>ეპისკოპოსი ზოსიმე.</b> უძღები შვილის კვირა. მეზვერისა და ფარისევლის კვირა . . . . .	24
დეკანოზი <b>იოანე ლუკაშვილი.</b> მღვდლის იდეალი. (არქივიდან) . . . . .	26
<b>ქართული ეკლესია - მონასტრები საზღვარგარეთ</b>	
ქართველთა ჯვრის მონასტერი იერუსალიმში . . . . .	35
<b>ვ. გურგენიძე.</b> ჯვრის მონასტერი . . . . .	37
<b>აკაკი შანიძე.</b> ჯვრის მონასტერში . . . . .	44
<b>ილია რურუა.</b> პალესტინის სიძველეთა შორის . . . . .	46
<b>ი. აბაშიძე.</b> ჯვრის მონასტრის გალავანთან (ლექსი) . . . . .	50
<b>ნ. ხოფერია.</b> კვალი ნათელი . . . . .	51
<b>მეოხ გვყავ</b>	
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი <b>კირიონ II.</b> წმიდა ღვთის	
აღმაშენებელი - მეფე ქართველთა . . . . .	56
<b>გამოსათხოვარი</b>	
დეკანოზი ილია მელია . . . . .	61
<b>თ. მესხი.</b> ქართული აგიოგრაფია ბერძნულ ენაზე . . . . .	63
<b>საეკლესიო ცხოვრება</b>	
<b>სტუმრები</b> . . . . .	72
რეზიუმე რუსულ ენაზე . . . . .	74
რეზიუმე ინგლისურ ენაზე . . . . .	75

**ჯვარი ვაზისა № 2 1988**

საგამომცემლო განყოფილების თავმჯდომარე—ეპისკოპოსი **ზოსიმე** (შიოშვილი)  
 ჟურნალის რედაქტორი **თ. კობალაძე**  
 საქართველოს საპატრიარქო  
 თბილისი. 1988 წ. სიონის ქ. № 4. ტ. 72—04—53.  
 შეკვეთა № 1663  
 საქართველოს სსრ. მეცნ. აკადემიის სტამბა. თბილისი. 380060. კუტუზოვის ქ. 19.

«Джвари вазиса» (Лозовый крест) № 2. 1988  
 Грузинская Патриархия  
 Заказ № 1663  
 Набрано способом фотонабора  
 Типография АН Груз. ССР. Тбилиси. 380060. ул. Кутузова 19.

# ქართული ანბანი

ა	უ	ა	a	1	ს	ს	ს	s	200
ბ	ყ	ბ	b	2	ე	რ	თ	t	300
გ	ვ	გ	g	3	კ	ყ	ვ	y	
დ	ძ	დ	d	4	ღ	ყ	უ	u	400
ე	ჩ	ე	e	5	ფ	ფ	ვ	p	500
ვ	წ	ვ	v	6	ქ	ქ	ქ	k	600
ზ	ც	ზ	z	7	ნ	წ	წ	č	700
თ	ძ	ც	ë	8	ყ	ყ	ყ	g	800
ი	თ	თ	t	9	გ	ყ	ყ	š	900
კ	რ	ი	i	10	ხ	რ	ჩ	č	1000
ლ	კ	კ	k	20	ც	რ	ც	c	2000
მ	თ	ლ	l	30	ძ	ძ	ძ	z	3000
ნ	ძ	მ	m	40	ჩ	წ	ც	ç	4000
ო	წ	ნ	n	50	ს	ს	ჭ	č	5000
პ	ყ	ო	j	60	ე	რ	ბ	x	6000
ჟ	უ	პ	o	70	ყ	ყ	ჭ	q	7000
რ	ყ	ჟ	p	80	ჩ	ჩ	ჯ	ž	8000
ს	ყ	რ	ž	90	ღ	რ	ჰ	h	9000
ტ	ჩ	ს	r	100	ჭ	ჩ	ჭ	ω	10000

